



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

27 მაისი 2020 წელი

N 20/36

ეგზ.: N1

შპს „საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია“

2017-2018 წლების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები.....	4
შემაჯამებელი მიმოხილვა	5
გაცემული რეკომენდაციები	10
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	13
აუდიტორის პასუხისმგებლობა	13
აუდიტის საგანი	13
აუდიტის მასშტაბი	14
აუდიტის კრიტერიუმები.....	14
აუდიტის მიზანი.....	15
აუდიტის მეთოდოლოგია.....	15
ორგანიზაციის ზოგადი მიმოხილვა.....	16
აუდიტის მიგნებები.....	17
1. ბიუჯეტის დაგეგმვისა და ათვისების ნაკლოვანებები.....	17
1.1 ბიუჯეტის დაგეგმვის ნაკლოვანებები	17
1.1.1 კრედიტის და თანადაფინანსების წილის არასწორად განსაზღვრა	17
1.1.2 ბიუჯეტიდან ზედმეტად მიღებული თანხები.....	18
1.1.3 ავანსებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები	19
1.2 ბიუჯეტის ათვისების ნაკლოვანებები	20
1.2.1 მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ათვისების ნაკლოვანებები.....	20
1.2.2 ნულოვანი ათვისების მქონე პროექტები.....	22
1.2.3 საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით დამატებით წარმოქმნილი ხარჯები	23
2. ბიუჯეტის ფორმირებასა და ბიზნესგეგმებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.....	25
2.1 ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებული ხარვეზი	25
2.2 ბიზნესგეგმებთან დაკავშირებული ხარვეზები	26
3. სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის პროცესის ნაკლოვანებები.....	27
3.1 სასმელი წყლის უსაფრთხოების გეგმები არ არსებობს	27
3.2 სასმელი წყლის ხარისხზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარვეზები	28
3.3 სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის და მონიტორინგის პროცესის მართვის ნაკლოვანებები	29
3.4 სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი – რეგლამენტის შეუსაბამოდ.....	29
3.5 გადახრები სასმელი წყლის ხარისხის ნორმატივებიდან.....	32
3.6 სასმელი წყლის ხარისხის საოპერაციო მონიტორინგის სამუშაო პროგრამების ნაკლოვანებები.....	34
3.7 სასმელი წყლის ხარისხის შიდა და გარე კონტროლის ხარვეზები	35
4. შემოსავლების ფორმირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.....	38
4.1 სულადობის მიხედვით აბონენტების აღრიცხვის ნაკლოვანებები	38
4.2 სააბონენტო გადასახადის არასწორად დარიცხვა.....	38
5. შესყიდვებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები	39
5.1 სახელმწიფო შესყიდვები.....	39
5.1.1 ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული ხარვეზები	39
5.1.2 სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დაუსაბუთებლად გაცემული ავანსები	40
5.1.3 სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული კონტროლის ნაკლოვანებები.....	41
5.1.4 ხელშეკრულებებში სათანადო დასაბუთების გარეშე შეტანილი ცვლილებები	41
5.1.5 გაშვებული საგარანტიო ვადები	42
5.1.6 გვიან გამოცხადებული ტენდერები	42
5.1.7 არაერთგვაროვანი მიდგომა.....	43

5.1.8 სახელმწიფო შესყიდვების კანონთან შეუსაბამოდ გაფორმებული ხელშეკრულება	44
5.2 დონორების სახსრებით განხორციელებული შესყიდვების შედეგად გაფორმებული კონტრაქტების მართვის ნაკლოვანებები.....	44
5.2.1 კონტრაქტების მართვის გეგმები არ არსებობს	44
5.2.2 ხელშეკრულებების გაფორმება / ცვლილების შეტანა მთავრობასთან შეუთანხმებლად.....	45
5.2.3 ხელშეკრულებების ცვლილებები სამართლებრივი ექსპერტიზის გარეშე.....	45
5.2.4 ADB-ს მიერ დაფინანსებული ვადაში დაუსრულებელი პროექტები	47
6. ძირითადი აქტივების აღრიცხვის და მართვის ნაკლოვანებები	53
6.1 ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები	53
6.2 კომპანიის საკუთრებად დაურეგისტრირებელი ქონება	54
7. წინა აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	55

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

კომპანია ან ორგანიზაცია – შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

რეგლამენტი – საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი“.

სამინისტრო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

მინისტრი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

სააგენტო – სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

ბიუჯეტი – შესაბამისი წლის კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ბიუჯეტი.

ADB (Asian Development Bank) ან ბანკი – აზიის განვითარების ბანკი.

SDR (Special Drawing Rights) – ხელოვნურად შექმნილი სავალუტო ინსტრუმენტი, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი ადგენს 5 წამყვანი ვალუტის ყოველდღიურ კურსებზე დაყრდნობით. მაგალითად: 2019 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით 1 SDR=1.38 USD.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები და ნაკლოვანებები:

ბიუჯეტის ათვისების ნაკლოვანებები

- „რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, მთავრობის განკარგულებებით ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები კომპანიამ სრულად ვერ აითვისა. 2017 და 2018 წლების ბოლოსთვის ათვისებული თანხების ჯამმა შეადგინა 14,243,474 ლარი. ამის გარდა, „ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის“ 5 პროექტისათვის 2017 წელს გამოყოფილი 28,444,310 ლარი, კომპანიამ საერთოდ ვერ აითვისა. ზემოაღნიშნული პრობლემები საინვესტიციო პროექტების არაჯეროვანი მართვის შედეგია. შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტების სამიზნე მომხმარებლებს ოზურგეთში, ყვარელში, ხარაგაულში, ფასანაურში, გუდაურში, ფოთში, მარნეულსა და ბაკურიანში თავდაპირველად დადგენილ ვადებში არ მიეწოდათ გაუმჯობესებული კომუნალური მომსახურებები.

- 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აზიის განვითარების ბანკთან გაფორმებული 6 სასესხო ხელშეკრულებით დამტკიცებული 477,533,244 აშშ დოლარის რესურსიდან, ათვისებულია მხოლოდ 217,173,863 აშშ დოლარი (45%). ამასთანავე, პროექტების განხორციელების ვადების გახანგრძლივების შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი საკრედიტო რესურსების შემცირების ხარჯზე, პროექტებს პროცენტის სახით დამატებით დაერიცხება, სულ მცირე – 7,446,152 ლარი. ზოგიერთ პროექტს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის ათვისებლობის საურავის სახით დაერიცხა 2,203,543 ლარი.

კომპანიისა და სამინისტროს აპარატის არასაკმარისმა ქმედებებმა ვერ უზრუნველყო ინფრასტრუქტურული პროექტების თავდაპირველ ვადებში დასრულება. ამასთანავე, მასშტაბური საკრედიტო რესურსების გამოყოფის პირობებში, სასესხო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების თავდაპირველი ვადების რამდენჯერმე გახანგრძლივების შედეგად, გაიზარდა საპროცენტო ხარჯები და ამ პროექტების ბენეფიციარების უმეტესმა ნაწილმა დროულად ვერ მიიღო გაუმჯობესებული ურბანული წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელებით მომსახურება. შესაბამისად, ვერ იქნა მიღწეული ქვეპროგრამის ძირითადი მიზანი – პროექტის ბენეფიციართა სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

ბიუჯეტის ფორმირებისა და ბიზნესგეგმებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

- ბიზნესგეგმის შედგენისას კომპანიაში არ ხორციელდება მარეგულირებელი ნორმებით გათვალისწინებული კალკულაცია და სათანადო დოკუმენტირება. ცალკეული მუხლების არასათანადო დაგეგმვის გამო, კომპანია საანგარიშგებო წელს ცვლილებებს ხშირად ახორციელებს, რაც კომპანიის განმარტებით, გამოწვეულია პროექტების მასშტაბურობიდან გამომდინარე გათვალისწინებული ხარჯების სიხშირით და მათ დასაფარად საკმარისი საოპერაციო შემოსავლების არარსებობით.

ამასთანავე, კომპანიას მინისტრის ბრძანებისა და შესაბამისი დანართების გათვალისწინებით არ აქვს წარდგენილი როგორც 2013-2018 წლების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე ბიზნესგეგმის დასამტკიცებლად გათვალისწინებული სრული ინფორმაცია.

სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის ხარვეზები

- არ არის შემუშავებული სასმელი წყლის უსაფრთხოების გეგმები, რაც კომპანიას მისცემდა სასმელი წყლის ხარისხის შეფასების, სისტემის დაცვის და მიწოდების პროცესის სრულყოფილი კონტროლის

შესაძლებლობას. წყლის უსაფრთხოების გეგმების არარსებობა ზრდის სისტემური ჩავარდნის რისკს, ვინაიდან წინასწარ არ არის განსაზღვრული გაუთვალისწინებელ ვითარებაში წყლის ხარისხზე გავლენის მქონე მოვლენებზე (გვალვები, ძლიერი ნალექი ან წყალდიდობა და სხვ.) საპასუხო ღონისძიებები. შესაბამისად, კომპანიის მიერ სასმელი წყლის ხარისხზე კონტროლი არ შეიძლება ჩაითვალოს სათანადოდ ორგანიზებულად და ყოვლისმომცველად.

- კომპანიის მიერ სასმელი წყლის კონტროლის და მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე არ არის შექმნილი ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზა. ასევე არ არის უზრუნველყოფილი კონტროლის შედეგების პროაქტიული ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისთვის. ამასთანავე, ერთიანი ინფორმაციის არარსებობა ართულებს აღნიშნული მონაცემების სრულყოფილ სტატისტიკურ დამუშავებას და რისკების სათანადოდ შეფასებას.

- წყლის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასებისა და ანალიზის მიზნით, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების არარსებობის გამო, შეუძლებელია მენეჯმენტის იმ გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება, რომლებიც მიღებულია წყლის ხარისხის კონტროლის შედეგებზე დაყრდნობით.

- კომპანიის მიერ სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის პროცესი არ მიმდინარეობს რეგლამენტით გათვალისწინებული საკონტროლო მაჩვენებლების შესაბამისად, კერძოდ:

- o კომპანიის მიერ მიწოდებული სასმელი წყალი რეგლამენტით დადგენილი 50-ზე მეტი მაჩვენებლიდან, 5 მაჩვენებელზე ან არ კონტროლდება, ან შედეგები სათანადოდ არ დოკუმენტირდება;
- o კომპანიის მიერ მიწოდებული სასმელი წყალი, 3 მაჩვენებელზე კონტროლდება რეგლამენტთან შეუსაბამო ნორმატივებით.

- კომპანიაში არ არის გაწერილი და დამტკიცებული ინსტრუქცია წყლის ხარისხის გადახრების აღმოჩენის შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურების შესახებ. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, გამოვლენილ გადახრებზე ტარდება შემდეგი ღონისძიებები: დაზიანების შეკეთება, განმეორებითი ანალიზი, ქლორის დოზის მომატება, წყლის მიწოდების შეწყვეტა/ალტერნატიული მიწოდება და სხვ., თუმცა აღნიშნულის დამადასტურებლად დოკუმენტაცია 58 შემთხვევიდან¹ კომპანიამ წარმოადგინა მხოლოდ 5-ზე. შესაბამისად, ვერ დავრწმუნდით, ხორციელდება თუ არა სათანადო რეაგირება საკონტროლო მაჩვენებლების რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან შეუსაბამობის ფაქტებზე.

- კომპანიის სამუშაო პროგრამებში არ არის გაწერილი იდენტიფიცირებული პოტენციური საფრთხეები და შემოწმებათა საჭირო რაოდენობა რეგლამენტით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიხედვით, ასევე სანიტარული დაცვის ზონების და რეზერვუარების მდგომარეობის შემოწმებების მიზნით, ადგილზე ვიზუალური ინსპექტირებები და მათი პერიოდულობა. შესაბამისად, სამუშაო პროგრამები არსებული სახით ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელებას რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად და არ ითვლება პასუხისმგებელი პირებისთვის ზუსტ საოპერაციო მონიტორინგის გეგმად.

- წყლის ხარისხის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების და ხარვეზების აღმოფხვრის მექანიზმები არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად.

¹ აუდიტის მიზნებისთვის შერჩეულია 58 გადახრა, მათ შორის, სუნთან დაკავშირებულია - 4, გემოსთან - 2, ნიტრიტებთან - 13, საერთო კოლიფორმულ ბაქტერიებთან - 5, E.Coli-სთან - 34.

- o წყლის ხარისხთან დაკავშირებით გამოვლენილი 16 შემთხვევიდან 15-ში სააგენტოსა და კომპანიის შემოწმების შედეგები ერთმანეთს არ დაემთხვა;
- o კომპანია სინჯებს არ ამოწმებს აკრედიტებულ ლაბორატორიებში. აღნიშნული გარემოება არ იძლევა კომპანიის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგების სანდოობაში დარწმუნების შესაძლებლობას;
- o 16-დან 10 შემთხვევაში სააგენტოს მიერ გამოვლენილი დარღვევა კომპანიის მხრიდან რეაგირების გარეშე დარჩა;
- o სააგენტო მომხმარებლებს გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას აცნობებს მხოლოდ მათი მოთხოვნით ჩატარებული კვლევების შემთხვევაში, სხვა დროს კი აბონენტების ინფორმირების რეკომენდაციას გასცემს წყლის მიმწოდებელ კომპანიებზე;
- o ვერ მივიღეთ დასაბუთება, კომპანიის მხრიდან ხდება თუ არა მომხმარებლების ინფორმირება სააგენტოს მიერ გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით;
- o სააგენტო განმეორებით შემოწმებებს არ ახორციელებს;
- o სააგენტო წყლის ხარისხთან დაკავშირებულ დარღვევებს, რიგ შემთხვევაში, კომპანიას დაგვიანებით აცნობებს.

შემოსავლების ფორმირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

- მისაღები შემოსავლების სათანადოდ აღრიცხვის მიზნით, კომპანია ვერ უზრუნველყოფს სულადობის მიხედვით აბონენტების რაოდენობის სისრულისა და სიზუსტის მუდმივ მონიტორინგს.

აბონენტების სულადობის ცვლილება შესაძლებელია კომპანიის მიერ განხორციელებული ინსპექტირების ან აბონენტების მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. 2017 და 2018 წლებში ასეთი სახის ინსპექტირება ჩატარდა მხოლოდ ერთხელ და შეეხო ქუთაისის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ოზურგეთის სერვისცენტრებს. შესაბამისად, სულადობის შემცველ მონაცემებში ცვლილებების განხორციელება ძირითადად მიხედობოდა აბონენტებზე, რაც ზრდის კომპანიის ბაზაში უზუსტობების რისკს.

- გარდა ზემოაღნიშნული პრობლემისა, დადგინდა, რომ კომპანია რიგ შემთხვევებში აბონენტებს არასწორად დაარიცხავს გადასახადს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შერჩევით გადაამოწმა იურიდიულ პირებზე დარიცხვები, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ 2 შემთხვევაში აბონენტებს დარიცხული აქვთ ჯამურად 31,459 ლარით ნაკლები გადასახადი. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ კომპანია კარგავს მნიშვნელოვან შემოსავლებს.

შესყიდვებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კომპანიამ 2017-2018 წლებში, სულ 535,515,047 ლარის 664 შესყიდვა განახორციელა, საიდანაც დონორების წესებით შესყიდვების მოცულობამ 471,875,454 ლარი შეადგინა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით – 63,639,593 ლარი.

აუდიტის ჯგუფმა შერჩევით შეისწავლა 83 ელექტრონული ტენდერი, რის შედეგადაც გამოვლინდა სხვადასხვა სახის ნაკლოვანება ძირითადად შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- o ბაზრის კვლევა;
- o გაცემული ავანსები;
- o კონტრაქტორების მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;
- o კონტრაქტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებები;
- o საგარანტიო ვადები;
- o ტენდერების ორგანიზება;

- o არაერთგვაროვანი მიდგომები;
- o პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასება;
- o ხელშეკრულების გაფორმება.

კერძოდ:

- 49 შემთხვევაში კომპანიას არ ჩაუტარებია ბაზრის კვლევა პოტენციური მიმწოდებლებისგან ფასების გამოკითხვის, შესასყიდი საქონლის არსებული პოტენციური მიმწოდებლების განსაზღვრის და მათი შესაძლებლობების შეფასების მიზნით. შესაბამისად, მინიმუმ, 55 მილიონი ლარის სავარაუდო ღირებულების შესყიდვა ბაზრის კვლევის გარეშე განხორციელდა, რაც ზრდის არაეკონომიური ხარჯვის რისკებს.
- კომპანიამ 20 გაცემული ავანსიდან 17 შემთხვევაში, რაც ჯამურად 6,058,657 ლარს შეადგენს, ვერ შეძლო სათანადო დასაბუთების წარმოდგენა. ასევე კონტრაქტორებს კომპანიისთვის არ წარუდგენიათ ავანსის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნული ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მოთხოვნებს და წარმოშობს ფულადი სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს.
- შემოწმებული 29 სამშენებლო შესყიდვიდან,² 10 შემთხვევაში, 17,837,421 ლარის სახელშეკრულებო ღირებულების შესყიდვებზე, კომპანიამ ვერ წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და მოცულობების პერიოდული ინსპექტირების დასკვნები.
- ჯამურად 2,018,272 ლარის ღირებულების რვა კონტრაქტის შემთხვევაში, კომპანიამ ვერ უზრუნველყო სახელშეკრულებო უფლების გამოყენება საგარანტიო ვადის პერიოდში მისთვის მიყენებული შესაძლო ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კომპანიამ დაკარგა შესაძლებლობა ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, კონტრაქტორისთვის მოეთხოვა მათი გამოსწორება.
- 993,385 ლარის ღირებულების 2 ტენდერში, ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, კომპანიას შესაძლებლობა ჰქონდა გამარტივებული ტენდერის ნაცვლად შესყიდვა განეხორციელებინა ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, რასაც შესაძლოა გაეზარდა კონკურენცია და დაეზოგა კომპანიის სახსრები.
- 2 შესყიდვასთან დაკავშირებით, რომელთა ჯამურმა სავარაუდო ღირებულებამ 8,283,450 ლარი შეადგინა, კომპანიამ არ გამოიყენა კანონმდებლობით მოთხოვნილი ერთგვაროვანი მიდგომის პრინციპი და მსგავსი შესყიდვები მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით გამოაცხადა. მაგალითად: 8,000,000 ლარის ღირებულების შესყიდვაზე სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრა 6 თვე, როდესაც მსგავს შესყიდვებზე პრეტენდენტებს კომპანიის მხრიდან 18 თვე ეძლეოდათ. აღნიშნულმა შეამცირა კონკურენცია, შესაბამისად, გაიზარდა სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკი.

დონორების სახსრებით განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების მართვის ნაკლოვანებები

- კომპანია უცხოელ კონტრაქტორებთან, ისეთ სამშენებლო ხელშეკრულებებს (და მათში ცვლილებებს), რომლებიც დავის გადაწყვეტის მექანიზმად ითვალისწინებდა საერთაშორისო არბიტრაჟის გამოყენებას, აფორმებდა შესაბამისი ხელშეკრულებების/ცვლილებების პროექტების საქართველოს მთავრობასთან წინასწარი შეთანხმებისა და ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების წინასწარი შეფასების გარეშე.

² 2017-2018 წლების 19 სამშენებლო შესყიდვა, 2015 წლის შემდეგ გაფორმებულიდან 10 შესყიდვა (29 კონტრაქტის სახელშეკრულებო ღირებულება - 51,335,142 ლარი). ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შესაბამისად აუდიტმა სამშენებლო შესყიდვების 100% დაფარა.

- კომპანია ხელშეკრულებებს აფორმებს/ცვლილებები შეაქვს დადებითი სამართლებრივი ექსპერტიზის დასკვნის არარსებობის პირობებში და სათანადოდ არ უზრუნველყოფს იმ ხელშეკრულებათა პროექტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას, რომლებიც ითვალისწინებენ მხარეთა შორის დავის გადაწყვეტას არბიტრაჟის ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ.

- აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული 16 პროექტიდან 9 შემთხვევაში პროექტების შესრულების ვადები მნიშვნელოვნად გახანგრძლივდა, რისი ძირითადი მიზეზებიც იყო:

ა) სამშენებლო ნებართვების დაგვიანებით აღება;

ბ) ხარვეზი საპროექტო სამუშაოებში;

გ) ზედამხედველის რეკომენდაციების უგულებელყოფა;

დ) თავდაპირველად დაუგეგმავი ცვლილებები პროექტებში და მათი შეთანხმების გახანგრძლივება;

ე) კომპანიის მიერ წინასაექსპლოატაციო ტესტირებების არასათანადო დაგეგმვა;

ვ) კონტრაქტორის არასათანადო მზაობა.

პროექტის დასრულების ვადების გახანგრძლივებასთან ერთად, 8 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება გაიზარდა 30 მლნ-ზე მეტი ლარით, ხოლო ერთი პროექტის შემთხვევაში შემცირდა, დაახლოებით, 2 მლნ აშშ დოლარით. შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინება დაგეგმვის ეტაპზე, კომპანიამ არგუმენტირებული განმარტება ვერ წარმოადგინა.

2017-2018 წლებში საზედამხედველო კომპანიების მომსახურებაში გადახდილია 29 მლნ ლარზე მეტი, თუმცა კომპანია სათანადოდ არ რეაგირებს საზედამხედველო კომპანიების მიერ პროექტების მიმდინარეობასთან დაკავშირებით მომზადებულ ანგარიშებზე, სადაც აღწერილი საკითხები საჭიროებენ ოპერატიულ გადაწყვეტას. ამდენად, კომპანია სათანადოდ არ იყენებს საზედამხედველო მექანიზმს პროექტების გახანგრძლივების და არაჯეროვანი შესრულების თავიდან ასაცილებლად.

კომპანიის მიერ კონტრაქტორი დაჯარიმდა 751,374 აშშ დოლარით, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავების საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული ჯარიმა გაბათილდა და კომპანიას პირიქით დაეკისრა კონტრაქტორისთვის პროექტის ვადის გახანგრძლივების გამო 124,747 აშშ დოლარის კომპენსაციის გადახდა.

აღსანიშნავია, რომ კომპანიამ გასწია ზედმეტი ხარჯები. მაგალითად: მშენებლობის პროექტის ექსპლოატაციაში შესვლის დაყოვნების გამო გადაიხადა 210,288 აშშ დოლარი, კონტრაქტორის ნაცვლად ანაზღაურა მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანი – 295,199 ლარი, ოფისის მშენებლობისთვის გამოუყენებელ პროექტში გადაიხადა 97,665 ლარი. ამასთანავე, კომპანია სათავო ოფისის მშენებლობის გახანგრძლივების გამო იჯარაში ყოველწლიურად 1 მლნ ლარზე მეტს იხდის.

ძირითადი აქტივების აღრიცხვის ნაკლოვანებები

- კომპანიის მიერ არ განხორციელებულა 2017-2018 წლებში ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია და შესაბამისად, არ არსებობს რწმუნება კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების სისრულის და არსებობის შესახებ. ამასთანავე, მიმდინარე ინვენტარიზაციის შედეგად კომპანია ინფორმაციას მიიღებს თავის საკუთრებაში არსებულ მხოლოდ მოქმედ ძირითად აქტივებზე. შესაბამისად, იზრდება ორგანიზაციის დაარსების დღიდან სახელმწიფოს მიერ კომპანიის კაპიტალში შეტანილი უმოქმედო აქტივების დაკარგვის რისკი.

- ბალანსზე არსებული ძირითადი აქტივების გარკვეული ნაწილი არ არის რეგისტრირებული კომპანიის საკუთრებად.

- 3 შემთხვევაში მიწის ნაკვეთები კომპანიის მიერ აღრიცხულია დუბლირებულად და ამასთანავე, სხვადასხვა ღირებულებით.

გაცემული რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გააანალიზოს აზიის განვითარების ბანკის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების თავდაპირველ ვადებში დაუსრულებლობის მიზეზები და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“ ერთად, აღნიშნულ პროექტებში არსებული ჩამორჩენის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, მოამზადოს დეტალური სამოქმედო გეგმა.

რეკომენდაცია N2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

სასმელი წყლის ხარისხის შეფასების, სისტემის დაცვის და მიწოდების პროცესის სრულყოფილი კონტროლის მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, შეიმუშაოს და დანერგოს წყლის უსაფრთხოების გეგმები.

რეკომენდაცია N3. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

სასმელი წყლის ხარისხის შემოწმების შედეგების სრულყოფილი აღრიცხვისა და მიღებული ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ შექმნას ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის და მონიტორინგის შედეგების ამსახველი ინფორმაციის ერთიანი ელექტრონული ბაზა და უზრუნველყოს დაინტერესებული პირებისთვის აღნიშნული ინფორმაციის პროაქტიული საჯაროობა.

რეკომენდაცია N4. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირების, გაუმჯობესების გეგმების შემუშავების და ინფორმირებული მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ შიდა საზედამხებდევლო მექანიზმების და შიდა აუდიტის მეშვეობით, უზრუნველყოს წყლის ხარისხის კონტროლის მონაცემების რეგულარული დამუშავება, შეფასება, პერიოდული ანგარიშების მომზადება და მიღებული შედეგების გამოყენება მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაგეგმვის პროცესში.

რეკომენდაცია N5. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

კომპანიამ მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგი და კონტროლი უზრუნველყოს რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში, მოამზადოს წინადადებები რეგლამენტში ცვლილებების დადგენილი წესით ინიცირებისათვის.

რეკომენდაცია N6. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

კომპანიის სამუშაო პროგრამების ქმედითობისა და სამუშაოთა რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, დაგეგმვა-განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ სამუშაო პროგრამების შემუშავებისას გაითვალისწინოს იდენტიფიცირებული საფრთხეები და რეგლამენტით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიხედვით – კონკრეტულად მიუთითოს კომპანიის პასუხისმგებელი პირების მხრიდან შემოწმების საჭირო რაოდენობა, ასევე სანიტარული დაცვის ზონების და რეზერვუარების მდგომარეობის შემოწმების მიზნით, ადგილზე ვიზუალური ინსპექტირებების საჭიროება და მათი პერიოდულობა.

რეკომენდაცია N7. სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო მაკონტროლებლის ფუნქციის სრულყოფილად განხორციელების და სახელმწიფო კონტროლის შედეგების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად,

სისტემატურად გადაამოწმოს მის მიერ გამოვლენილ შეუსაბამობაზე გაცემული მითითებების შესრულების მდგომარეობა.

რეკომენდაცია N8. სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ დანერგონ კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ მომხმარებლების და მიმწოდებლების დროულ ინფორმირებას და ხარვეზების აღმოსაფხვრელად სათანადო ზომების გატარებას.

რეკომენდაცია N9. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

შიდა კონტროლის შედეგების საიმედოობის უზრუნველსაყოფად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი განახორციელოს აკრედიტებული ლაბორატორიების მეშვეობით.

რეკომენდაცია N10. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

კომპანიამ აბონენტების სულადობის სიზუსტის დასადაგენად, განახორციელოს სულადობის მიხედვით აბონენტების ბაზის სამოქალაქო რეესტრის ბაზასთან ინტეგრაცია. ასევე, უზრუნველყოს სულადობის მიხედვით აბონენტების სრული ინვენტარიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

რეკომენდაცია N11. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“, სახსრების ეკონომიურად ხარჯვისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, დანერგოს ბაზრის კვლევის ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს ბაზარზე არსებული პოტენციური მიმწოდებლების განსაზღვრას, საკმარისი ინფორმაციის მიღებას სატენდერო წინადადების შემუშავებისა და საბაზრო ღირებულებასთან მაქსიმალურად მიახლოებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დასადაგენად.

რეკომენდაცია N12. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში მხარეთა მიერ საკონტრაქტო პირობების შესრულების შემაფერხებელი საკითხების ადრეული აღმოჩენისა და დროული რეაგირების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ თითოეული კონტრაქტის გაფორმებისას შეიმუშაოს კონტრაქტის მართვის გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება პოტენციური რისკები, კონტრაქტის ეტაპები, შესრულების ინდიკატორები და მათი გაზომვის გზები.

რეკომენდაცია N13. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

საზედამხედველო კომპანიის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, სათავო ოფისის მშენებლობის დროს გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით კომპანიამ უზრუნველყოს დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება.

რეკომენდაცია N14. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, კერძო პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი კომპანიის - COBRA Instalaciones Y Servicios SA ნაცვლად მის მიერ გადახდილი 295,199 ლარის დაბრუნების მიზნით.

რეკომენდაცია N15. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ კონტრაქტებით განსაზღვრული სამუშაოების თავდაპირველად დაგეგმილ ვადებში შესრულების მიზნით, გააანალიზოს სამუშაოთა გახანგრძლივების მიზეზები და გაატაროს ღონისძიებები ანალოგიური მიზეზებით სამუშაოების დაუსრულებლობის თავიდან ასაცილებლად, ასევე სამუშაოების დაწყებამდე, ზედამხედველი კონსულტანტების მეშვეობით უზრუნველყოს დეტალური დიზაინის განხილვა, შეცდომების და არათანმიმდევრულობის აღმოფხვრა და კონტრაქტორის დაქირავება საბოლოოდ შეთანხმებული დეტალური დიზაინის შესაბამისად. ამასთანავე, კომპანიამ აქტიურად მართოს კონტრაქტები, ადეკვატური რეაგირება განახორციელოს ზედამხედველის ანგარიშებში მითითებულ ფაქტებზე და შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით და კონტრაქტით გათვალისწინებული რეაგირების მექანიზმები.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით შეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები დასკვნის გამოსატანად იმის შესახებ, შეიცავს თუ არა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2017-2018 წლების აუდიტის საგნით გათვალისწინებული საქმიანობა დადგენილ კრიტერიუმებთან მიმართებაში არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან შეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა შემდეგი საკითხები:

- ბიუჯეტიდან კომპანიისთვის გამოყოფილი ასიგნებები;
- ბიზნესგეგმები;
- სასმელი წყლის ხარისხი;
- შემოსავლები;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის საფუძველზე გახორციელებული შესყიდვები;
- ADB-ს სახსრებით განხორციელებული შესყიდვები:
 - კონტრაქტების მართვის გეგმები;
 - ADB-ს მიერ განხორციელებული შემოწმებების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა;
 - უცხოელ კონტრაქტებთან ხელშეკრულებების და მათში ცვლილებების საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების მდგომარეობა;
 - ხელშეკრულებებში ცვლილებების იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმების საკითხი;

- 2017-2018 წლებში მოქმედი სამშენებლო ხელშეკრულებების³ დადგენილ ვადებში შესრულების მდგომარეობა.
- ძირითადი აქტივები;
- სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ 2017-2018 წლებში განხორციელებული საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი – საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს კანონები 2017 და 2018 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N637 ბრძანებით დამტკიცებული - „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდეზს შორის თანხების გადანაწილების წესი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებები;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინი (2017);
- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დებულება;
- შესყიდვების რეგულაციები ADB მსესხებლებისთვის;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის N139 დადგენილება „უცხოელი კონტრაქტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N58 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება - „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება - „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2011 წლის 1 მარტს დადებული დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულება (გეო: ურბანული მომსახურების გაუმჯობესების („საინვესტიციო პროგრამა“).
- საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2011 წლის 10 მაისს გაფორმებული N2749-GEO სასესხო ხელშეკრულება და მისი შესაბამისი ქვესასესხო ხელშეკრულება;
- საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2011 წლის 1 დეკემბერს გაფორმებული N2807-GEO სასესხო ხელშეკრულება და მისი შესაბამისი ქვესასესხო ხელშეკრულება;

³ ხელშეკრულებები, რომლებშიც 2017-2018 წლებში შევიდა ცვლილებები ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

- საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2013 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N3078-GEO სასესხო ხელშეკრულება და მისი შესაბამისი ქვესასესხო ხელშეკრულება;
- საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2015 წლის 5 თებერვალს გაფორმებული N3238-GEO სასესხო ხელშეკრულება და მისი შესაბამისი ქვესასესხო ხელშეკრულება;
- საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2015 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული N3291-GEO და N3292-GEO სასესხო ხელშეკრულებები და მათი შესაბამისი ქვესასესხო ხელშეკრულებები;
- საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 15 დეკემბერს გაფორმებული N3441-GEO სასესხო ხელშეკრულება და მისი შესაბამისი ქვესასესხო ხელშეკრულება;
- სხვა კრიტერიუმები (რაც მითითებულია ძირითად ტექსტში).

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: გამოკითხვა, შემოწმება, გარე დადასტურება, ხელახალი გაანგარიშება, ძირითადი აუდიტორული პროცედურები, ანალიზური პროცედურები.

ორგანიზაციის ზოგადი მიმოხილვა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოა,⁴ რომელსაც მართავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.⁵ კომპანიის სტრუქტურაში შედის სათავო ოფისი, 6 რეგიონული ფილიალი და 50 სერვისცენტრი, რომელთა მეშვეობითაც წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელით მომსახურება ხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ქალაქების: თბილისის, მცხეთის, რუსთავის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა.

წესდების თანახმად, კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ┌ წყლის მოპოვება, მოსახლეობის და დაწესებულებების სასმელი და ტექნიკური წყლით მომარაგება;
- ┌ წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემების პროექტირება, მშენებლობა, შეკეთება და ექსპლოატაცია.

კომპანიამ 2017-2018 წლები დაასრულა უარყოფითი ფინანსური შედეგებით (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N1. კომპანიის ფინანსური შედეგები 2017-2018 წლებში⁶

დასახელება	2017	2018
საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები	39,518,099	38,522,345
საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები	(102,993,139)	(78,831,687)
ფინანსური შედეგი	(63,475,040)	(40,309,342)

2017-2018 წლებში სამინისტროს მიერ კომპანიის კაპიტალში ფულადი შენატანების მოცულობამ 92,088,030 ლარი შეადგინა.

⁴ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 11 იანვრის N1-1/13 ბრძანება.

⁵ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის 100%-იანი წილი სამინისტროს მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N978 განკარგულების საფუძველზე.

⁶ მონაცემები აღებულია კომპანიის 2017-2018 წლების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან, რაზეც წარმოდგენილია აუდიტორული კომპანიის - შპს „ბიდიოს“ 2019 წლის 29 აგვისტოს დასკვნა. ფინანსური ანგარიშგების შემოწმება არ არის შესაბამისობის აუდიტის საგანი.

აუდიტის მიგნებები

1. ბიუჯეტის დაგეგმვისა და ათვისების ნაკლოვანებები

1.1 ბიუჯეტის დაგეგმვის ნაკლოვანებები

1.1.1 კრედიტის და თანადაფინანსების წილის არასწორად განსაზღვრა

აზიის განვითარების ბანკთან გაფორმებული სასესიო ხელშეკრულებების⁷ პირობების⁸ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის⁹ მიხედვით, დონორი ორგანიზაციის კრედიტით დასაფინანსებელი თანხა წლიურ ბიუჯეტში განსაზღვრული უნდა იყოს პროექტის მთლიანი ასიგნებების, არანაკლებ, 84.75%-ის¹⁰ ოდენობით.

2017-2018 წლებში კომპანიისთვის¹¹ ბიუჯეტით¹² გათვალისწინებულ თანხებში¹³ კრედიტით დასაფინანსებელი ასიგნების მოცულობა დამტკიცებულია ზემოთ აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლისგან (არანაკლებ, 84.75%) განსხვავებული მოცულობით – 81%-ის ოდენობით, რამაც თანხობრივად 11,288,500 ლარით ნაკლები შეადგინა (დეტალური ინფორმაცია იხ. N1 დანართში). შედეგად, კომპანიას თანადაფინანსების ნაწილში ზედმეტად დაუმტკიცდა, შესაბამისად, 2017 წელს – 5,163,500 ლარის, ხოლო 2018 წელს – 6,125,000 ლარის ოდენობის საბიუჯეტო სახსრები.

ამასთანავე, კომპანია ვალდებულია,¹⁴ პროექტების ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად მოამზადოს და შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ასახვის მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, სამინისტროს ყოველწლიურად წარუდგინოს ინფორმაცია, აზიის განვითარების ბანკის სასესიო ანგარიშიდან პროექტების განხორციელებისთვის საჭირო მისაღები თანხების შესახებ. აღნიშნული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი ინფორმაცია, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, კომპანიამ ვერ წარმოადგინა.¹⁵

დასკვნა

კომპანიას, პროექტების თანადაფინანსების ნაწილში, 2017-2018 წლებში ზედმეტად და დაუსაბუთებლად დაუმტკიცდა 11,288,500 ლარით მეტი საბიუჯეტო რესურსი, რაც მოგვიანებით გადანაწილდა¹⁶ სხვა პროგრამულ კოდებზე. აღნიშნული გარემოება ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზია და წარმოშობს სახელმწიფო საბიუჯეტო რესურსების არასამართლიანი განაწილების რისკებს.

⁷ ასევე ამ ხელშეკრულებების საფუძველზე გაფორმებული ქვესასესიო ხელშეკრულებების პირობების თაახმად.

⁸ სასესიო ხელშეკრულებების დანართი N3.

⁹ საბიუჯეტო კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁰ არანაკლებ 84.75%-ს, ვინაიდან სასესიო ხელშეკრულებები ასევე მოიცავს პროექტის განხორციელების პერიოდში დასაკაპიტალიზებელი პროცენტის მოცულობას, რომელიც ყველა სასესიო ხელშეკრულების პირობების მიხედვით 100%-ით ფინანსდება დონორების სახსრებით, რაც ასევე უნდა აისახოს წლიურ ბიუჯეტში.

¹¹ თანხები გამოყოფილია სამინისტროს 2016 წლის 27 ივლისის N65/ო, 2016 წლის 30 დეკემბრის N135/ო და 2017 წლის 30 ივნისის N94/ო ბრძანებებით დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების (სადაც ცალკეული ობიექტის ჭრილში განსაზღვრულია პროგრამების შესრულების შეფასების მიზნობრივი მაჩვენებლები) დასაფინანსებლად.

¹² პროგრამული კოდი: 25 04 04.

¹³ 2017 წელს – 138,600,000 ლარი; 2018 წელს – 150,000,000 ლარი.

¹⁴ სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და კომპანიას შორის გაფორმებული ქვესასესიო ხელშეკრულებების მოთხოვნა.

¹⁵ კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2017 წლის 21 მარტის ელექტრონული წერილი სამინისტროს მიმართ: შეეხება 2017 წლის დამტკიცებული გეგმის პარამეტრების კვარტლებად ჩაშლის საკითხს და იგი არ უკავშირდება ქვესასესიო ხელშეკრულებებით კომპანიისთვის დადგენილ იმ ვალდებულებების შესრულებას, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში სასესიო თანხების ასახვის საკითხს.

¹⁶ გადანაწილება განხორციელებულია საბიუჯეტო წლის დასრულებამდე მნიშვნელოვნად ადრე.

1.1.2 ბიუჯეტიდან ზედმეტად მიღებული თანხები

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი და ძირითადი თანხა, ყოველი დასაგეგმი წლის ბიუჯეტში უნდა აისახოს შესაბამისი პერიოდისთვის სასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ოდენობით.

რეგიონებში წყალმომარაგების მხარდაჭერის ღონისძიებების ქვეპროგრამით¹⁷ ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების მიზანია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდა.

კომპანიამ რამდენიმე შემთხვევაში ბიუჯეტიდან მიიღო სამკარისზე მეტი ოდენობის თანხა, კერძოდ:

- 2017 წლის ბიუჯეტში 1 დეკემბერს შესული ცვლილებით, ზედმეტად დამტკიცდა და 2017 წლის ხარჯად აღირიცხა 12,000,000 ლარი, რაც არ შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებს.¹⁸ აღნიშნული თანხიდან 9,927,685 ლარით დაფარულია 2018 წლის ვალდებულებები, ხოლო 2,072,315 ლარი, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დარჩა აუთვისებელი.

- კომპანიის ინფორმაციით, საბანკო ანგარიშებზე რიცხულ აუთვისებელ საბიუჯეტო რესურსებს 2017 და 2018 წლებში დაერიცხა, შესაბამისად, 1,775,596 და 2,809,018 ლარის ოდენობის საპროცენტო სარგებელი. კომპანიას, აღნიშნული თანხებით ნაკლები დაფინანსება უნდა მოეთხოვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემდგომი პერიოდებისათვის.

- რეგიონებში წყალმომარაგების ქვეპროგრამის დასაფინანსებლად 2019 წლის ბიუჯეტში დამტკიცებულია 29,000,000 ლარი, სადაც გათვალისწინებულია 2,407,711 ლარი აზიის განვითარების ბანკისთვის გადასახდელი პროცენტი.¹⁹ 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე ცნობილი იყო, რომ კომპანიას ბანკისთვის აღნიშნული პროცენტის თანხა 2019 წელს გადასახდელი არ ექნებოდა.²⁰

დასკვნა

კომპანიამ 2017-2018 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღო სამკარისზე 18,992,325 ლარით მეტი თანხა, რაც შედეგაა არასწორი პერიოდისთვის მოთხოვნილი 12,000,000 ლარისგან, საბანკო ანგარიშებზე არსებულ საბიუჯეტო რესურსებზე დარიცხული 4,584,614 ლარის პროცენტისგან და 2019 წელს პროცენტის გადასახდელად მოთხოვნილი 2,407,711 ლარისგან.

ზემოაღნიშნული 18,992,325 ლარიდან, 9,064,640 ლარი²¹ კომპანიას და სამინისტროს უნდა გაეთვალისწინებინა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, შესაბამისი წლების მიხედვით. შედეგად, ბიუჯეტიდან მისაღები თანხის მოცულობა 9,064,640 ლარით შემცირდებოდა.

¹⁷ 25 04 05 (2019 წელს 25 04 08) ქვეპროგრამა, განმახორციელებელი - სამინისტროს აპარატი და კომპანია.

¹⁸ საქართველოს კანონი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 11: „ბიუჯეტის გადასახდელები საანგარიშო პერიოდში გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა“.

¹⁹ აზიის განვითარების ბანკთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების პირველ პროექტზე დასაკაპიტალიზირებელი საპროცენტო თანხა -1,336,562 ლარი, მესამე პროექტზე - 1,071,148 ლარი (მესამე პროექტზე წლიური დასაკაპიტალიზირებელი პროცენტის ნახევარი).

²⁰ კომპანიას 2018 წლის ბოლოს I და III პროექტებზე პროცენტის კატეგორიაში აუთვისებელი ნაშთი გააჩნდა იმ ოდენობით, რაც სამკარისი იყო 2019 წელს პროცენტის დასაკაპიტალიზებლად.

²¹ ზედმეტად მოთხოვნილი 12,000,000 ლარის აუთვისებელი ნაწილი - 2,072,315 ლარი; აუთვისებელ საბიუჯეტო რესურსებზე დარიცხული პროცენტი - 4,584,614 ლარი და 2019 წლის ბიუჯეტში ზედმეტად გათვალისწინებული პროცენტის თანხა - 2,407,711 ლარი.

1.1.3 ავანსებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

საბიუჯეტო კოდექსის²² მოთხოვნების მიხედვით, საბიუჯეტო წელს გადახდა შესაძლებელია მხოლოდ ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში. ასევე, მოზიდული და საბიუჯეტო სახსრებით გაფორმებული ხელშეკრულებების შეწყვეტის შემთხვევაში, დასაბრუნებელი ავანსის შესაბამისი გარანტიის ამოქმედება კომპანიამ უნდა მოითხოვოს უმცირეს ვადაში.

ბიუჯეტით გათვალისწინებული საავანსო გადახდები

2017-2018 წლებში, კომპანიის მიერ განსახორციელებელ 3 პროექტზე, ბიუჯეტით ასიგნება არ იყო გათვალისწინებული, თუმცა, ფინანსური წლების ბოლოს ასეთ პროექტებზე საავანსო გადახდებმა 26,777,344 ლარი შეადგინა. დეტალური ინფორმაცია მოცემულია N2 ცხრილში:

ცხრილი N2. 2017-2018 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული ავანსები

დასახელება	ასიგნება 2017-2018 წლების ბიუჯეტში	ავანსის ხარჯი - 2017-2018 წლებში	სხვაობა საბიუჯეტო გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	კონტრაქტის გაფორმების თარიღი
ფოთის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა	-	649,059 ²³	(649,059)	21.11.2017
ზუგდიდის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა	-	3,802,584	(3,802,584)	11.12.2017
მარნეულის სასმელი წყლისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა (2018 წელი)	-	22,325,701	(22,325,701)	20.11.2018
სულ:	-	26,777,344	(26,777,344)	-

ავანსების საფუძველზე გაზრდილი შესრულების მაჩვენებლები

პროექტების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ 2017-2018 წლების ანგარიშები,²⁴ რეალურად არ ასახავს ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების მოცულობას, რადგან ათვისებულ საბიუჯეტო ასიგნებებში უდიდესი წილი საავანსო გადახდებზე მოდის. მაგალითად: 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფოთის და ზუგდიდის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების²⁵ მშენებლობაზე საავანსო გადახდებმა, შესაბამისად, შეადგინა ათვისებულად აღრიცხული თანხების 73% და 41%, ხოლო ზუგდიდის კანალიზაციის ქსელების მშენებლობის პროექტზე საავანსო გადახდებზე მოდის – 43%.²⁶

საავანსო თანხის დაგვიანებით დაბრუნების შედეგად დამატებით დარიცხული საპროცენტო გადასახდელი

ფოთის კანალიზაციის სისტემების მშენებლობის პროექტის კონტრაქტის შეწყვეტის თარიღის შემდგომ, კომპანიას, დაახლოებით, ერთი წლისა და 5 თვის განმავლობაში ბანკისთვის არ დაუბრუნებია

²² მე-6 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი.

²³ 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა, მხოლოდ ბიუჯეტის თანადაფინანსების წილი, ბანკის წილის მონაწილეობის გარეშე.

²⁴ ფინანსთა სამინისტროს, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და კომპანიას შორის გაფორმებული ქვესასესხო ხელშეკრულებების მოთხოვნა.

²⁵ ფოთის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა - ხელშეკრულება - N POT-02; ზუგდიდის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა - ხელშეკრულება N REG-03a.

²⁶ POT-02 - ათვისებული თანხა - 6,048,455 ლარი, მათ შორის, ავანსი - 4,384,916 ლარი; REG-03a - ათვისებული თანხა - 9,274,595 ლარი, მ.შ., ავანსი - 3,802,584 ლარი; ZUG-02 - ათვისებული თანხა - 40,748,576 ლარი, მ.შ., ავანსი - 17,543,015 ლარი.

შეწყვეტილი კონტრაქტის ფარგლებში გადახდილი ავანსის თანხა – 3,173,424 აშშ დოლარი, რის გამოც კომპანიას საპროცენტო ხარჯი გაეზარდა 64,468 აშშ დოლარით.²⁷ აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი იყო კომპანიისათვის საავანსო თანხის ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 თვის დაგვიანებით დაბრუნება,²⁸ თუმცა საბანკო გარანტიის პირობების მიხედვით, აღნიშნული შესაძლებელი იყო კონტრაქტის შეწყვეტიდან 5 საბანკო დღის ვადაში.²⁹ ამასთანავე, კომპანიამ ბანკის მოთხოვნით, დაგვიანებით დააბრუნა 180,947 აშშ დოლარი, რის გამოც კომპანიას საპროცენტო ხარჯი გაეზარდა 4,585 აშშ დოლარით. აზიის განვითარების ბანკთან სათანადო კომუნიკაციის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა ამ რესურსების ბანკის სასესხო ანგარიშზე დროული აღდგენა და მითითებულ პერიოდში პროცენტის ხარჯის თავიდან აცილება.³⁰

დასკვნა

2017-2018 წლებში, კომპანიის მიერ განსახორციელებელ 3 პროექტზე, ბიუჯეტით ასიგნება არ იყო გათვალისწინებული, თუმცა ფინანსური წლების ბოლოს ასეთ პროექტებზე საავანსო გადახდებმა ჯამურად 26,777,344 ლარი შეადგინა.

ამასთანავე, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შემთხვევებშიც, რამდენიმე პროექტთან დაკავშირებით, წლიური ანგარიშების ფორმების შესაბამისად, კომპანიის მიერ ათვისებულად აღრიცხულ რესურსებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს საავანსო გადახდებს, რაც პროექტების შესრულების შესახებ არ იძლევა სამართლიან ინფორმაციას. მაგალითად: ფოთის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაზე საავანსო გადახდებმა ათვისებულად აღრიცხული თანხების 73% შეადგინა.

ხელშეკრულებების სათანადო კონტროლის პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა 69,053 აშშ დოლარის ოდენობის პროცენტის ხარჯის თავიდან აცილება, რომელიც დაერიცხა ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში გამოუყენებელ და ბანკის სასესხო ანგარიშზე დაუბრუნებელ საკრედიტო რესურსებს.

1.2 ბიუჯეტის ათვისების ნაკლოვანებები

1.2.1 მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების ათვისების ნაკლოვანებები

რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებების დასაფინანსებელი თანხების განსაზღვრა და განკარგვა ხორციელდება შესაბამისი წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილ ვადებში და მიზნობრივად.³¹

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, „რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებების“ ქვეპროგრამის³² დასაფინანსებლად, მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი და კომპანიის საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხული საბიუჯეტო რესურსებიდან, მნიშვნელოვანი თანხები ვერ იქნა ათვისებული დაგეგმილი პროექტების განსახორციელებლად. 2017 წლის 31 დეკემბრის

²⁷ კონტრაქტი შეწყდა 2016 წლის 14 სექტემბერს, ხოლო ახალ კონტრაქტორს ავანსი გადაერიცხა 2018 წლის 8 თებერვალს.

²⁸ კომპანიას ავანსის გარანტიის თანხა ჩაერიცხა 2017 წლის 16 თებერვალს.

²⁹ ხელშეკრულების თანახმად შეიქმნა დავების საბჭო, რომელიც განიხილავდა კომპანიასა და კონტრაქტორს შორის წარმოშობილ უთანხმოებას. აღნიშნული საბჭოს მიერ უარყოფითი დასკვნის გამოცხადების შემთხვევაში, სწორი მენეჯმენტის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა თანხის ხელახლა გამოთხოვა და მოდავისთვის გადარიცხვა.

³⁰ 3,173,424 აშშ დოლარს სულ დაერიცხა 71,211 აშშ დოლარი, თუმცა ბანკისთვის თანხის დროულად დაბრუნების შემთხვევაში, დაერიცხებოდა მხოლოდ 6,743 აშშ დოლარი (0.15% სასესხო თანხის ათვისებლობის საურავი). 180,947 აშშ დოლარს სულ დაერიცხა 4,947 აშშ დოლარი, თუმცა ბანკისთვის თანხის დროულად დაბრუნების შემთხვევაში დაერიცხებოდა მხოლოდ 362 აშშ დოლარი (0.15% სასესხო თანხის ათვისებლობის საურავი).

³¹ საბიუჯეტო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები.

³² პროგრამული კოდი: 25 04 06.

მდგომარეობით აუთვისებელმა საბიუჯეტო რესურსმა შეადგინა 8,830,964 ლარი, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 5,412,510 ლარი.³³ (იხ. ცხრილი N3)

ცხრილი N3. აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების მაგალითები

დასახელება	მთავრობის განკარგულება	გამოყოფილი თანხა	კომპანიისთვის ჩარიცხვა	აუთვისებელი საბიუჯეტო რესურსი კომპანიის ანგარიშზე 31.12.2018	განთავსებულია კომპანიის ანგარიშზე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაითურში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებამდე მისაყვანი წყალსადენისა და წყალანირების სისტემის მშენებლობა ³⁴	N1118; 26.08.2013	6,893,824	სექტემბერი, 2013	2,092,162 ³⁵	5 წელი
სოფელ გუდაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები ყვარელში, ხარაგაულსა და ფასანაურში, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვა	N777; 05.05.2016	5,000,000	მაისი, 2016	1,847,530	2.5 წელი
	N2589; 14.12.2017	4,000,000 ³⁶	დეკემბერი, 2017	1,733,000	1 წელი

აღსანიშნავია, რომ ცხრილში N3 წარმოდგენილი პირველი პროექტის შესრულება, ძირითადად, 2 მიზნის გამო, რამდენიმე წლით გახანგრძლივდა:

- კომპანიას არ ჰქონდა სრულყოფილად მომზადებული მშენებლობის პროექტი;
- კომპანიას არ გააჩნდა მიწის ნაკვეთი საკუთრებაში, რაზეც უნდა განხორციელებულიყო მშენებლობა.³⁷

კონტრაქტორის მიერ პროექტი განხორციელდა ნაწილობრივ³⁸ და ხელშეკრულება საბოლოოდ შეწყდა 2018 წელს.

დასკვნა

„რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით, მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი და კომპანიის საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხული საბიუჯეტო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში³⁹ არ გამოყენებულა ამავე განკარგულებებით განსაზღვრული მიზნებისათვის. შედეგად, მომხმარებლებმა თავდაპირველად დადგენილ ვადებში ვერ მიიღეს შესაბამისი გაუმჯობესებული კომუნალური მომსახურება.

³³ აღნიშნულ თანხაში არ შედის 2018 წლის 31 დეკემბრის სხვა პროექტებზე გადანაწილებული 1,950,000 ლარი.

³⁴ შპს „ზიმო“.

³⁵ აღნიშნული საბიუჯეტო რესურსიდან 2018 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N191 განკარგულების საფუძველზე, სხვადასხვა პროექტზე გადანაწილდა 1,950,000 ლარი.

³⁶ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყვარლისა და ფასანაურის პროექტებზე დაკონტრაქტებული 2,267,000 ლარიდან საკასო შესრულება შეადგენს მხოლოდ 248,100 ლარს; ხარაგაულთან დაკავშირებით – ხელშეკრულება საერთოდ არ გაფორმებულა.

³⁷ წყარო: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება - საქმე N050210116001520342.

³⁸ 2018 წლის 20 თებერვალს შპს „ზიმოსა“ და კომპანიას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით შესრულებულად აღიარებულია 3,095,292 ლარის სამუშაოები.

³⁹ ერთიდან 5 წლამდე პერიოდით იყო განთავსებული კომპანიის ანგარიშებზე.

1.2.2 ნულოვანი ათვისების მქონე პროექტები

სამინისტროს შესაბამისი ბრძანებებით⁴⁰ დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრულია პროგრამების შესრულების შეფასების მიზნობრივი მაჩვენებლები ცალკეული ობიექტის კრილში. აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად, ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა წინასწარ განსაზღვრული ფინანსური რესურსი.

2017 წლის ბიუჯეტით 5 პროექტზე დამტკიცებული 28,444,310 ლარის საბიუჯეტო რესურსი, კომპანიამ საერთოდ ვერ აითვისა, შესაბამისად, სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით⁴¹ დამტკიცებული მიზნები – არ შესრულდა. აღნიშნულის ძირითადი მიზეზია კონტრაქტორებთან ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი დაგვიანებით გაფორმება. დეტალური ინფორმაცია ცალკეულ პროექტზე წარმოდგენილია ცხრილში N4.

ცხრილი N4. 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული და აუთვისებელი ასიგნებები

დასახელება	ასიგნება 2017 წლის ბიუჯეტით	2017 წლის საკასო ხარჯი	სასესხო ხელშეკრ. გაფორმების თარიღი	კონტრაქტის გაფორმების თარიღი	კონტრაქტის დაგვიანებით გაფორმება
ფოთის კანალიზაციის სისტემების მშენებლობა	6,423,012	-	05.02.2015	20.12.2017	1,049 დღე
მარნეულის სასმელი წყლისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა	9,634,519	-	15.12.2016	20.11.2018	705 დღე
გუდაურის სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა	5,036,402	-	20.10.2016	04.01.2019	806 დღე
გუდაურის კანალიზაციის სისტემების მშენებლობა	2,992,364	-	25.06.2017	04.01.2019	558 დღე
ბაკურიანის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა	4,358,013	-	20.10.2016	-	არ არის გაფორმებული
სულ:	28,444,310	-	-	-	

ცხრილში აღნიშნულის გარდა, სხვა პროექტებზე ასევე ფიქსირდება დაბალი ათვისების შემთხვევები. ნულოვანი და დაბალი ათვისების გამო, 2017-2020 და 2018-2021 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის შესრულებული. დეტალური ინფორმაცია ქვეპროგრამის შესრულების შეფასების ინდიკატორებთან⁴² დაკავშირებით, წარმოდგენილია N2 დანართში.

დასკვნა

2017 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი 28,444,310 ლარი კომპანიამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ აითვისა კონტრაქტების მნიშვნელოვანი დაგვიანებით გაფორმების გამო, რაც ორგანიზაციის მიერ საინვესტიციო პროექტების არაჯეროვან მართვაზე მიუთითებს. შესაბამისად, ინფრასტრუქტურული

⁴⁰ მინისტრის 2016 წლის 27 ივლისის N65/ო, 2016 წლის 30 დეკემბრის N135/ო და 2017 წლის 30 ივნისის N 94/ო ბრძანებები.

⁴¹ მინისტრის 2016 წლის 27 ივლისის N65/ო, 2016 წლის 30 დეკემბრის N135/ო და 2017 წლის 30 ივნისის N 94/ო ბრძანებებით დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით.

⁴² მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები: საბაზისო მაჩვენებელი, მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები.

პროექტების სამიზნე მომხმარებლებს ფოთში, მარნეულში, გუდაურსა და ბაკურიანში თავდაპირველად დადგენილ ვადებში არ მიეწოდათ გაუმჯობესებული კომუნალური მომსახურებები.

1.2.3 საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით დამატებით წარმოქმნილი ხარჯები

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2011 წლის 1 მარტს გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულებით⁴³ განისაზღვრა საინვესტიციო პროგრამის⁴⁴ შესრულების სამიზნე ნიშნულები, რომელთა მიხედვით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კომპონენტის ნაწილში 2019 წლისთვის უნდა აშენებულიყო:

- რეზერვუარები – 60,000 კუბ.მ მოცულობის;
- წყალგადამცემი მაგისტრალი – 110 კმ;
- სადისტრიბუციო ქსელების რეაბილიტაცია/აშენება – 350 კმ;
- წყლის გამწმენდი ნაგებობები – 36 მლნ ლ/დღეში მოცულობის.

აღნიშნული მშენებლობების მიზანი იყო მოსახლეობის წყალმომარაგების და წყალარინების მომსახურებების გაუმჯობესება.

ზემოთ აღნიშნული საინვესტიციო პროგრამის ხარჯთაღრიცხვა განისაზღვრა 625 მლნ აშშ დოლარით, საიდანაც 500 მლნ – ბანკის სესხით, ხოლო 125 მლნ – საქართველოს ბიუჯეტით უნდა დაფინანსდეს (იხ. ცხრილი N5). აღნიშნული 500 მლნ მოიცავს პროგრამის შემადგენელი პროექტების განხორციელების პერიოდში დასარიცხი პროცენტის თანხასაც, რომელიც აღიარდება სესხად და ემატება ძირ თანხას.

ამასთანავე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებული 500 მლნ სასესხო რესურსიდან, აზიის განვითარების ბანკთან 2011 წლიდან გაფორმდა 477,533,244 აშშ დოლარის მოცულობის 6 სასესხო ხელშეკრულება, საიდანაც ათვისებულია მხოლოდ 217,173,863 აშშ დოლარი (45%).

ცხრილი N5. ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის ხარჯთაღრიცხვა (მლნ აშშ დოლარი)

კომპონენტი 1. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	463.83
კომპონენტი 2. ინსტიტუციური ეფექტიანობა	13.50
კომპონენტი 3. პროექტის განხორციელების მხარდაჭერა	13.77
გათვალისწინებული ხარჯები	117.95
დაფინანსების ხარჯები განხორციელების პროცესში	15.95
სულ:	625.00

სამინისტროს აპარატმა და კომპანიამ, 2011-2016 წლებში გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროექტები ვერ დაასრულეს ხელშეკრულებით თავდაპირველად დადგენილ თარიღებამდე,⁴⁵ რის გამოც ბანკის მიერ სესხების დახურვის ვადები⁴⁶ გაგრძელდა 2021 წლის 29 მარტამდე. ფაქტობრივად, პროექტების დასრულება გახანგრძლივდა 1.5-დან 4.5 წლამდე ვადებით. (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. დანართი N3).

⁴³ ხელშეკრულების N2 დანართი.

⁴⁴ აზიის განვითარების ბანკთან 2011 წლის 1 მარტს გაფორმებული დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულება.

⁴⁵ 2016-2019 წლები.

⁴⁶ აღნიშნული თარიღის შემდგომ, აზიის განვითარების ბანკი სესხს აღარ გასცემს.

პროექტების გახანგრძლივების შედეგად გაზრდილი დასაკაპიტალიზებელი საპროცენტო ხარჯები

აღებული სესხით დასაფინანსებელი პროექტების ვადების გახანგრძლივება იწვევს პროექტის განხორციელების განმავლობაში დასარიცხი პროცენტის ზრდას, მინიმუმ,⁴⁷ 7,446,152 ლარის ოდენობით,⁴⁸ რაც ამავე თანხით ამცირებს პროექტების ინფრასტრუქტურული კომპონენტის განსახორციელებლად გამოყოფილ საკრედიტო რესურსებს.

რესურსების ვადებში აუთვისებლობის გამო დარიცხული საურავი

ზოგიერთ სასესხო ხელშეკრულებებში, აუთვისებელ თანხებზე გათვალისწინებულია საურავის გადახდა 0.15%-ის ოდენობით.⁴⁹ შესაბამისად, სესხების ათვისების ვადების დარღვევა ზედმეტი ხარჯის გაწევასთანაა დაკავშირებული. აუთვისებელ თანხებზე დარიცხული საურავების შესახებ ინფორმაცია მოცემული N6 ცხრილში:

ცხრილი N6. სასესხო რესურსების დადგენილ ვადებში აუთვისებლობის გამო დარიცხული საურავები (აშშ დოლარი)

პროექტი	სესხის ხელშეკრ. და დახურვის თარიღები	კონტრაქტის ღირებულება / აუთვისებელი	დღეების ჯამური რაოდ.	დარიცხ. საურავი	ათვისების ვადების დარღვევის მიზეზები
4 - N3238	05.02.2015 / 30.06.2018	108,000,000 / 73,004,644	1,252	380,846	კონტრაქტორთან ხელშეკრულებები გაფორმდა დაგვიანებით: ქ. ზუგდიდის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობაზე კონტრაქტი გაფორმდა 26.10.2015; ფოთის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტზე - 21.10.2017; ფოთის კანალიზაციის სისტემის მშენებლობაზე - 20.12.2017; გუდაურის ⁵⁰ სასმელი წყლის ქსელის და კანალიზაციის სისტემის მშენებლობაზე 4.01.2019.
5 - N3291	26.10.2015 / 30.06.2019	43,000,000 / 40,121,083	1,103	184,388	ხელშეკრულება არ გაფორმებულა 31.12.2018-ის მდომარეობით მესტიის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაზე; ხელშ. გაფორმდა დაგვიანებით: ზუგდიდის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობაზე - 11.12.2017.
6 - N3441	15.12.2016 / 30.09.2019	99,000,000 / 86,852,287	713	258,028	ხელშეკრულება არ გაფორმებულა 31.12.2018-ის მდომარეობით: მარნეულის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტზე; ხელშ. გაფორმდა დაგვიანებით: მარნეულის სასმელი წყლისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობის და ზოლნისის კანალიზაციის სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტზე კონტრაქტორთან ხელშეკრულება გაფორმდა სასესხო ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლისა და თერთმეტი თვის შემდეგ.
სულ:				823,262	

⁴⁷ 2018 წლის 15 ივლისის მდგომარეობით, ათვისებული სასესხო თანხების მოცულობიდან გამომდინარე, დაერიცხება სულ მცირე – 834,092 SDR (208,523 SDR X 4); (15.07.2019, 15.01.2020, 15.07.2020, 15.01.2021); 2018 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით ათვისებული სასესხო თანხების მოცულობიდან გამომდინარე, დაერიცხება, სულ მცირე – 516,170 SDR (103,234 SDR X 5); (15.03.2019, 15.09.2019, 15.03.2020, 15.09.2020, 15.06.2021). კომპანიის 2017 წლის 19 ოქტომბრის N13253/1 და 2017 წლის 2 აგვისტოს N8824/1 წერილები სამინისტროსადმი, სამშენებლო კატეგორიიდან პროცენტის კატეგორიაში, შესაბამისად, 400,000 SDR-ის და 250,000 SDR-ის გადატანის შესახებ.

⁴⁸ 2,000,262 SDR; SDR/USD კურსი 1,39079; დოლარის კურსი - 2,6766 (ეროვნული ბანკის კურსი 31.12.2018).

⁴⁹ სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან 60 დღის შემდეგ.

⁵⁰ გუდაურის პროექტი სასესხო ხელშეკრულებაში დაემატა 2016 წლის 20 ოქტომბერს შესული ცვლილებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დარიცხული საურავის თანხის მოცულობა პროექტის განხორციელების პერიოდის განმავლობაში ემატება სესხის ათვისებული ნაწილის მოცულობას და ზრდის შესაბამის პერიოდში დასარიცხი პროცენტის ბაზას.

დასკვნა

- 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აზიის განვითარების ბანკთან გაფორმებული 6 სასესხო ხელშეკრულებით დამტკიცებული 477,533,244 აშშ დოლარის რესურსიდან, ათვისებულია მხოლოდ 217,173,863 აშშ დოლარი (45%). ამასთანავე, პროექტების განხორციელების ვადების გახანგრძლივების შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი საკრედიტო რესურსების შემცირების ხარჯზე, პროექტებს პროცენტის სახით დამატებით დაერიცხება სულ მცირე – 7,446,152 ლარი. ზოგიერთ პროექტს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის ათვისებლობის საურავის სახით დაერიცხა – 2,203,543 ლარი.⁵¹

- კომპანიამ და სამინისტროს აპარატმა ვერ უზრუნველყვეს ინფრასტრუქტურული პროექტების თავდაპირველ ვადებში დასრულება. ამასთანავე, მასშტაბური საკრედიტო რესურსების გამოყოფის პირობებში, სასესხო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების თავდაპირველი ვადების რამდენჯერმე გახანგრძლივების შედეგად, გაიზარდა საპროცენტო ხარჯები და ამ პროექტების ბენეფიციარების უმეტესმა ნაწილმა დროულად ვერ მიიღო გაუმჯობესებული ურბანული წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელებით მომსახურება.

რეკომენდაცია N1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გააანალიზოს აზიის განვითარების ბანკის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების თავდაპირველ ვადებში დაუსრულებლობის მიზეზები და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან“ ერთად, აღნიშნულ პროექტებში არსებული ჩამორჩენის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, მოამზადოს დეტალური სამოქმედო გეგმა.

(ზემოაღნიშნული სასესხო რესურსებით გაფორმებული ცალკეული სამშენებლო კონტრაქტების მართვის მდგომარეობა იხ. ანგარიშის 5.2 ქვეთავში).

2. ბიუჯეტის ფორმირებასა და ბიზნესგეგმებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

2.1 ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებული ხარვეზი

ბიზნესგეგმის პროექტის მოსამზადებელი ბიუჯეტირების პროცესი უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის წლიური ბიუჯეტის ფორმირების მარეგულირებელ ნორმებს.⁵²

კომპანიის დირექტორის ბრძანებებისა და წარმოდგენილი განმარტების თანახმად, ბიზნესგეგმების მომზადების პროცესში ჩართულია ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი – სერვისცენტრების მიერ სათანადო ინფორმაცია მიეწოდება რეგიონულ წარმომადგენლობებს, რომელთა კონსოლიდირებაც ხდება ფინანსური ანგარიშგებისა და ბიუჯეტირების სამსახურის მიერ. ბრძანებით განსაზღვრული,

⁵¹ 823,262 აშშ დოლარი (კურსი - 2.6766, 31.12.2018).

⁵² შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წლიური ბიუჯეტის ფორმირების პროცედურების დამტკიცების შესახებ დირექტორის 2016 წლის 10 აგვისტოს ბრძანება N128; 2016 წლის 19 სექტემბრის ბრძანება N151; 2017 წლის 19 ივლისის ბრძანება N201; შესაბამისი დანართები N1 – „ინსტრუქცია დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის წარმოსადგენი ინფორმაციის (დანართების შევსების) შესახებ“ და N2 – „შესავსები დანართები“.

ზემოაღნიშნული პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და კალკულაცია კომპანიამ ვერ წარმოადგინა.

2.2 ბიზნესგეგმებთან დაკავშირებული ხარვეზები

კომპანიის მიერ ბიზნესგეგმის პროექტის შემუშავების, განხილვის, კორექტირებისა და შესრულების პროცესი უნდა წარმართოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანების⁵³ საფუძველზე.

ასევე, კომპანიამ მინისტრის ბრძანების⁵⁴ შესაბამისად, სამინისტროში უნდა წარადგინოს წინა საანგარიშგებო პერიოდის ყოველწლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის მიერ წარდგენილ 2017-2018 წლების ბიზნესგეგმების პროექტებში, დირექტორის ბრძანების შესაბამისი დანართით⁵⁵ გათვალისწინებული მოთხოვნების ცალკეული ნაწილები არ არის ასახული. კერძოდ, „საწარმოს ბიზნესგეგმის სტრუქტურისა და ძირითადი მაჩვენებლების“, საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის, პროდუქციის (მომსახურების) ბაზრისა და მარკეტინგული სტრატეგიის შესახებ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, ხოლო აღნიშნული დანართით გათვალისწინებული ბიზნესგეგმის პროექტის, წარმოების, მართვის და პერსონალის, ასევე ფინანსური გეგმის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ნაწილობრივ.

დაგეგმვის პროცესში ზემოაღნიშნული ხარვეზების გამო სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბიზნესგეგმების ცალკეული მუხლები, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლება, სადაც საბოლოო დაზუსტებული მონაცემები თითქმის უტოლდება შესრულების მაჩვენებლებს, ხოლო სამინისტროს მიერ წლის დასაწყისში დამტკიცებული მონაცემები მკვეთრად განსხვავდება საბოლოო შესრულებისგან. (იხ. ცხრილი N7)

ცხრილი N7. კომპანიის ბიზნესგეგმის მონაცემები 2017-2018 წლებში

დასახელება	2017 წლის ბიზნესგეგმა			2018 წლის ბიზნესგეგმა		
	დამტკიცებული	დაზუსტებული	შესრულება	დამტკიცებული	დაზუსტებული	შესრულება
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	173,478	3,148,450	2,787,747	4,598,467	21,004,668	21,889,604
სულ ფულადი ნაკადების შემოღება საოპერაციო	41,907,481	48,088,000	46,864,065	49,342,000	69,563,823	69,893,413
ფულადი სახსრების გადინება	41,734,003	44,939,551	44,076,318	44,743,533	48,559,155	48,003,809
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(52,272,897)	(41,889,191)	(40,194,683)	(93,744,713)	(66,787,146)	(63,141,561)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	38,800,000	72,369,434	77,647,298	42,447,600	36,414,655	36,827,257
წმინდა ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	269,720	47,197,832	53,809,500	7,110,848	44,441,671	49,384,795

⁵³ მინისტრის 2016 წლის 19 დეკემბრის N120/ო ბრძანება.

⁵⁴ მინისტრის 2016 წლის 19 დეკემბრის N120/ო ბრძანების მე-5 მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

⁵⁵ 2016 წლის 19 დეკემბრის N120/ო ბრძანების დანართი N2.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კომპანიას შესაბამისი პერიოდებისთვის არ აქვს წარდგენილი 2013-2018 საანგარიშგებო წლების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები.⁵⁶

დასკვნა

ბიზნესგეგმის შედგენისას კომპანიაში არ ხორციელდება მარეგულირებელი ნორმებით გათვალისწინებული კალკულაცია და სათანადო დოკუმენტირება. ცალკეული მუხლების არასათანადო დაგეგმვის გამო, კომპანია საანგარიშგებო წლის განმავლობაში ცვლილებებს ხშირად ახორციელებს. კომპანიის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია პროექტების მასშტაბურობიდან გამომდინარე გათვალისწინებული ხარჯების სიხშირით და მათ დასაფარად საკმარისი საოპერაციო შემოსავლების არარსებობით.

ამასთანავე, კომპანიას მინისტრის ბრძანებისა და შესაბამისი დანართების გათვალისწინებით არ აქვს წარდგენილი როგორც 2013-2018 წლების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე ბიზნესგეგმის დასამტკიცებლად გათვალისწინებული ინფორმაციის ცალკეული კომპონენტი.

3. სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის პროცესის ნაკლოვანებები

3.1 სასმელი წყლის უსაფრთხოების გეგმები არ არსებობს

დებულების თანახმად,⁵⁷ კომპანია სასმელი წყლის ხარისხის კონტროლს უნდა უზრუნველყოფდეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების და ეროვნული რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული რეკომენდაციების მიხედვით, უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტია წყლის უსაფრთხოების გეგმები (WSP),⁵⁸ რომლებიც არის წყლის მიწოდებული კომპანიის მენეჯმენტის გეგმები – ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და მომხმარებლისთვის მისაღები წყლის მიწოდების უზრუნველსაყოფად. წყლის უსაფრთხოების გეგმა მოიცავს:

- სისტემის შეფასებას და დიზაინს;
- კონტროლის მექანიზმების ოპერაციულ მონიტორინგს;
- მენეჯმენტის გეგმებს სტანდარტული ოპერირების ან/და ინციდენტების დროს, ასევე განახლების და გაუმჯობესების გეგმებს.

კომპანიის წყლის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის ფუნქციაა, მონაწილეობა მიიღოს წყლის უსაფრთხოების გეგმების შემუშავებაში.⁵⁹

აღსანიშნავია, რომ კომპანიის დებულებით არ არის განსაზღვრული, მიწოდებული წყლის უსაფრთხოების გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელი სუბიექტი და არ არსებობს სასმელი წყლის უსაფრთხოების გეგმები. წყლის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის განმარტებით, წყლის უსაფრთხოების გეგმის არსებობა სასურველია, თუმცა არა სავალდებულო. კომპანიამ წარმოადგინა ქ. გორის მაგალითზე შედგენილი წყლის უსაფრთხოების გეგმის ელექტრონული ფაილი, რომელიც არ არის სამოქმედოდ შემოღებული და აღნიშნა, რომ მსგავსი გეგმები სამომავლოდ შემუშავდება ამ მაგალითის მიხედვით. აუდიტის ჯგუფმა შეამოწმა წარმოდგენილი ელექტრონული ფაილის სისრულე და დადგინდა, რომ იგი არ მოიცავს:

⁵⁶ აუდიტორული კომპანიის მიერ, 2017-2018 წლების საანგარიშგებო პერიოდზე, აუდიტორული დასკვნა გამოქვეყნდა 2019 წლის სექტემბერში.

⁵⁷ კომპანიის დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁵⁸ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინი (2017).

⁵⁹ კომპანიის დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

- კონტროლის ღონისძიებების მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებს (რა ჩაითვლება შესრულების მისაღებ დონედ და რა მექანიზმებით ტარდება მონიტორინგი, რა პროცედურებით მოწმდება წყლის უსაფრთხოების გეგმის პრაქტიკული შესრულება და მიზნების მიღწევა);
- მხარდაჭერ პროგრამებს (ტრენინგები, სტანდარტული საოპერაციო პროცედურები, აღჭურვა და გაუმჯობესება, კვლევა და განვითარება და ა.შ.);
- მართვის პროცედურებს სტანდარტულ პირობებში და ინციდენტების დროს;
- დოკუმენტების და კომუნიკაციის პროცედურებს.

დასკვნა

არ არის შემუშავებული სასმელი წყლის უსაფრთხოების გეგმები, რაც კომპანიას მისცემდა სასმელი წყლის ხარისხის შეფასების, სისტემის დაცვის და მიწოდების პროცესის სრულყოფილი კონტროლის შესაძლებლობას. წყლის უსაფრთხოების გეგმების არარსებობა ზრდის სისტემური ჩავარდნის რისკს, ვინაიდან წინასწარ არ არის განსაზღვრული გაუთვალისწინებელ ვითარებაში წყლის ხარისხზე გავლენის მქონე მოვლენებზე (გვალვები, ძლიერი ნალექი ან წყალდიდობა და სხვ.) საპასუხო ღონისძიებები. შესაბამისად, კომპანიის მიერ სასმელი წყლის ხარისხზე კონტროლი არ შეიძლება ჩაითვალოს სათანადოდ ორგანიზებულად და ყოვლისმომცველად.

რეკომენდაცია N2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

სასმელი წყლის ხარისხის შეფასების, სისტემის დაცვის და მიწოდების პროცესის სრულყოფილი კონტროლის მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, შეიმუშაოს და დანერგოს წყლის უსაფრთხოების გეგმები.

3.2 სასმელი წყლის ხარისხზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარვეზები

მიმწოდებელი კომპანია ვალდებულია, აწარმოოს სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი, მიღებული მონაცემების აღრიცხვისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.⁶⁰

მონაცემები, რომლებიც მიღებულია სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის შედეგად, პროაქტიულად არ ქვეყნდება.

სასმელი წყლის ხარისხის ადგილობრივი და ცენტრალური კონტროლის შედეგები აკუმულირდება 3 სხვადასხვა ფორმით: ლაბორატორიის ელექტრონულ პროგრამაში, ცენტრალური ლაბორატორიის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, მატერიალურ ჟურნალებში. მიუხედავად ზემოაღნიშნული ქმედებებისა, მონაცემები ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული და მათი კომპლექსური დამუშავების გარეშე შეუძლებელია განხორციელებული კონტროლის შედეგებზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა.

დასკვნა

კომპანიის მიერ სასმელი წყლის კონტროლის და მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე არ არის შექმნილი ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზა. არ არის უზრუნველყოფილი კონტროლის შედეგების პროაქტიული ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისთვის. ამასთანავე, ერთიანი ინფორმაციის არარსებობა ართულებს აღნიშნული მონაცემების სრულყოფილ სტატისტიკურ დამუშავებას და რისკების სათანადოდ შეფასებას.

⁶⁰ რეგლამენტის 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტი.

რეკომენდაცია N3. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

სასმელი წყლის ხარისხის შემოწმების შედეგების სრულყოფილი აღრიცხვისა და მიღებული ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ შექმნას ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის და მონიტორინგის შედეგების ამსახველი ინფორმაციის ერთიანი ელექტრონული ბაზა და უზრუნველყოს დაინტერესებული პირებისთვის აღნიშნული ინფორმაციის პროაქტიული საჯაროობა.

3.3 სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის და მონიტორინგის პროცესის მართვის ნაკლოვანებები

წყლის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასებისა და ანალიზის მიზნით, კომპანიაში უნდა მზადდებოდეს ტექნიკურ საკითხებში დირექტორის მოადგილის ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშები დირექტორისთვის წარსადგენად.⁶¹

კომპანიამ ვერ წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასებისა და ანალიზის მიზნით დირექტორისათვის მომზადებული აგრეგირებული კვარტალური და წლიური ანგარიშები (წარმოდგენილია მხოლოდ 2018 წლის წლიური ანგარიში). შესაბამისად, დოკუმენტურად არ დასტურდება:

- მენეჯმენტის მიერ წყლის ხარისხის კონტროლის და მონიტორინგის შედეგების პერიოდულად და დროულად განხილვა;
- სასმელი წყლის ხარისხის ნორმატიულ მაჩვენებლებთან შეუსაბამობებიდან გამომდინარე საფრთხეების გათვალისწინება;
- იდენტიფიცირებულ რისკებთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების გადახედვა;
- არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მოკლევადიანი და გრძელვადიანი ქმედებების დაგეგმვა და მენეჯმენტის მხარდაჭერა;
- წყლის ხარისხის კონტროლის მდგომარეობის შემოწმება შიდა აუდიტის მიერ.

დასკვნა

წყლის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასებისა და ანალიზის მიზნით, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების არარსებობის გამო, შეუძლებელია მენეჯმენტის იმ გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება, რომლებიც მიღებულია წყლის ხარისხის კონტროლის შედეგებზე დაყრდნობით.

რეკომენდაცია N4. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირების, გაუმჯობესების გეგმების შემუშავების და ინფორმირებული მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ შიდა საზედამხებდებლო მექანიზმების და შიდა აუდიტის მეშვეობით, უზრუნველყოს წყლის ხარისხის კონტროლის მონაცემების რეგულარული დამუშავება, შეფასება, პერიოდული ანგარიშების მომზადება და მიღებული შედეგების გამოყენება მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაგეგმვის პროცესში.

3.4 სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი – რეგლამენტის შეუსაბამოდ

კომპანიის მიერ მიწოდებული სასმელი წყალი უნდა იყოს ეპიდემიური და რადიაციული თვალსაზრისით უსაფრთხო და ქიმიური შემადგენლობით – უვნებელი, ამასთანავე, უნდა ჰქონდეს დადგენილი ნორმების

⁶¹ კომპანიის დებულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

შესაბამისი ორგანოლეპტიკური⁶² თვისებები.⁶³ კომპანია ვალდებულია აწარმოოს რეგლამენტით გათვალისწინებულ მაჩვენებლებთან⁶⁴ შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი.⁶⁵

კომპანიის მიერ 2017-2018 წლებში ჩატარებული სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის და მონიტორინგის მონაცემების (ელექტრონული ლაბორატორიის მონაცემები და ცენტრალური ლაბორატორიის მონაცემები) დამუშავების შედეგად გამოვლინდა შეუსაბამოებები რეგლამენტით მოთხოვნილ გასაკონტროლებელ მაჩვენებლებსა და კომპანიის მიერ გაკონტროლებულ მაჩვენებლებს შორის, კერძოდ:

I. კომპანია არ ახორციელებს ან ვერ ადასტურებს რეგლამენტით გათვალისწინებული შემდეგი მაჩვენებლების მონიტორინგს და კონტროლს:

- საერთო მინერალიზაცია (მშრალი ნაშთი): კომპანიის განმარტებით, აღნიშნულ მაჩვენებელს არ აქვს ჯანმრთელობაზე დაფუძნებული სახელმძღვანელო მნიშვნელობა და ცენტრალური ლაბორატორია აკეთებს TDS-ს,⁶⁶ რაც EPA-ს სტანდარტის მიხედვით იგივე მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ EPA არის ამერიკის შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტო და ამ სააგენტოს სტანდარტების შესრულებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამდენად, კომპანია სასმელ წყალში საერთო მინერალიზაციას აკონტროლებს რეგლამენტით მოთხოვნილისგან განსხვავებული სტანდარტით.
- ციანიდების (CN-)⁶⁷ და პესტიციდების საერთო შემცველობა:⁶⁸ კომპანიის განმარტებით, ციანიდებსა და პესტიციდების საერთო შემცველობაზე კვლევა ტარდება მხოლოდ ცენტრალურ ლაბორატორიაში. 2017-2018 წლებში ამ მაჩვენებლებზე ცენტრალურ ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევების შესახებ კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან არ ირკვევა სინჯების აღების თარიღი, პერიოდულობა, აღებული სინჯების რაოდენობა.⁶⁹
- პათოგენური მიკროორგანიზმები:⁷⁰ რეგლამენტის მიხედვით, პათოგენური მიკროორგანიზმების არსებობა სასმელ წყალში დაუშვებელია. ამ მაჩვენებლების კონტროლს რუტინული კვლევა არ ითვალისწინებს, თუმცა აუცილებელია, რომ მიმწოდებლის გამანაწილებელ ქსელში სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები შეესაბამებოდეს რეგლამენტის მოთხოვნებს.⁷¹ კომპანია მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხს ამ მაჩვენებლების მხრივ არ აკონტროლებს, რასაც ხსნის კვლევისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობით.
- ქლოროფორმი:⁷² წყლის ქლორირების შემთხვევაში, რეგლამენტით მოთხოვნილია სასმელ წყალში ქლოროფორმის მაჩვენებლის შემოწმება. კომპანიის განმარტებით, ქლოროფორმის შემოწმება არ უნდა განხორციელდეს ყველა შემთხვევაში და საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც ნარჩენი ქლორის მაჩვენებელი იქნება ნორმაზე მაღალი. თუმცა, ქლოროფორმის კონტროლის საჭიროება ნარჩენი ქლორის მაღალი

⁶² სუნი, გემო, ფერი, სიმღვრივე.

⁶³ რეგლამენტის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁶⁴ ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებთან; მიკრობიოლოგიურ, ვირუსოლოგიურ და პარაზიტოლოგიურ მაჩვენებლებთან; ქიმიურ (ზოგადი მაჩვენებლები, არაორგანული და ორგანული ნივთიერებები) მაჩვენებლებთან; რადიაციული უსაფრთხოების მაჩვენებლებთან..

⁶⁵ რეგლამენტის 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტი.

⁶⁶ Total dissolved solids - წყალში არსებული მყარი ნაწილაკები, რაც რჩება აორთქლების შემდეგ.

⁶⁷ რეგლამენტის მიხედვით ამ მაჩვენებლის ნორმატივია, არაუმეტეს, 0,07 მგ/ლ.

⁶⁸ რეგლამენტის მიხედვით ამ მაჩვენებლის ნორმატივია, არაუმეტეს, 0,05 მგ/ლ.

⁶⁹ ინფორმაციაში წარმოდგენილი მონაცემები არ ადასტურებს კვლევების რეგლამენტით გათვალისწინებული რაოდენობით ჩატარების ფაქტს.

⁷⁰ მათ შორის, Salmonella; კოლიფაგები, Streptococcus faecalis, ლამბლიებისცისტები და დიზენტერიული ამებასიცისტები. რეგლამენტის მიხედვით ამ მაჩვენებლის ნორმატივია - „არ დაიშვება“.

⁷¹ რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁷² რეგლამენტის მიხედვით ამ მაჩვენებლის ნორმატივია, არაუმეტეს, 0,3 მგ/ლ.

მაჩვენებლის არსებობაზე არ არის დამოკიდებული და წყლის ქლორირების შემთხვევაში რეგლამენტით სავალდებულო საკონტროლო მაჩვენებელს წარმოადგენს,⁷³ რასაც კომპანია არ ახორციელებს.

▪ საერთო რადიოაქტივობა: მოქმედი ნორმების შესაბამისად,⁷⁴ სასმელი წყლის რადიოლოგიური კვლევა წლის განმავლობაში უნდა ტარდებოდეს, მინიმუმ, ერთხელ, თუმცა კომპანიას აღნიშნული კვლევა არასდროს ჩაუტარებია.⁷⁵ წარმოდგენილი განმარტებით, რადიოლოგიური კვლევები არ ტარდება შესაბამისი აპარტურის უქონლობის გამო.

II. მაჩვენებლების კონტროლისთვის კომპანიის მიერ გამოყენებული ნორმატივები არ შეესაბამება რეგლამენტით გათვალისწინებულ ნორმატივებს.

კომპანია იყენებს რეგლამენტთან შეუსაბამო ნორმატივებს წყალბადის, სიხისტის და ნარჩენი ქლორის მაჩვენებლებზე სასმელი წყლის ნიმუშების კონტროლის დროს (იხ. ცხრილი N8). ასევე ნარჩენი ქლორის შემთხვევაში რეგლამენტი არ ითვალისწინებს წყლის მიმწოდებლის მიერ საკონტროლო მაჩვენებლების დიფერენცირებას „ქსელში“ და „სათავეზე“, რასაც რეალურად მიმართავს კომპანია.

ცხრილი N8. კომპანიის მიერ გამოყენებული და რეგლამენტით განსაზღვრული ნორმატივები

მაჩვენებელი	ნორმატივი რეგლამენტით	კომპანიის მიერ გამოყენებული ნორმატივი	საზომი ერთეული
წყალბადი ⁷⁶	არაუმეტეს 6-9	9	PH
სიხისტი ⁷⁷	არაუმეტეს 7-10	10	მგ-კვ/ლ
ნარჩენი ქლორი ⁷⁸	0.3-0.5	ქსელში 0.2-0.5; სათავეზე 0.3-1.0	მგ/ლ

ზოგადად, კომპანიამ ყველა ზემოაღნიშნულ შეუსაბამობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ძირითადად ხელმძღვანელობს ეროვნული რეგლამენტით, ამასთანავე, ითვალისწინებს სხვადასხვა გაიდლაინს, EPA-ს სტანდარტს, ევროდირექტივებს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს და ამიტომ წყლის ხარისხის დასადგენად განსასაზღვრე პარამეტრების ჩამონათვალი ეროვნული რეგლამენტით დადგენილი მაჩვენებლების ზუსტი ასლი არ იქნება. ასევე კომპანიამ განმარტა, რომ მას არ ევალება და სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს პარაზიტოლოგიურ, ვირუსოლოგიურ და რადიაციულ მაჩვენებლებზე კვლევებს, შერჩევით.

კომპანიას არ წარმოუდგენია კონკრეტული დასაბუთება, რომლის საფუძველზეც გადაწყდა სასმელი წყლის ხარისხის რეგლამენტით განსაზღვრული მაჩვენებლების შეუსაბამოდ გაკონტროლება. რეგლამენტის შესაბამისად,⁷⁹ „სამელი წყლის მიმწოდებელი ნებისმიერი ორგანიზაცია, მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა, ვალდებულია აწარმოოს

⁷³ რეგლამენტის N6 ცხრილი.

⁷⁴ რეგლამენტის N7 ცხრილის რადიოლოგიური მაჩვენებელი.

⁷⁵ „საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის N132/ნ ბრძანების შესაბამისად, „წყლის სასმელად გამოყენების დაშვების წინასწარი შეფასება შეიძლება გაიცეს ჯამური ალფა და ბეტა აβ- ხვედრითი აქტივობის მიხედვით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს, შესაბამისად, 0,1 და 1,0 ბკ/კგ.

⁷⁶ COUNCIL DIRECTIVE 98/83/EC of 3 November 1998 on the quality of water intended for human consumption-ის შესაბამისად, ეს ნორმატივია 6.5-დან 9.5 PH-ის ჩათვლით (წყალი არ უნდა იყოს აგრესიული). კომპანიამ განმარტა, რომ წყალბადის ნორმატივი ელექტრონული პროგრამის ხარვეზია და კომპანია უზრუნველყოფს გასწორებას.

⁷⁷ კომპანიამ განმარტა, რომ ნორმატივია „არაუმეტეს“ და მნიშვნელოვანია ზედა ზღვარი, რომელიც ნაცვლად 10-ისა, სასურველია განისაზღვროს 7 მგ/ლ-ით.

⁷⁸ კომპანიის განმარტებით, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქვედა ზღვარი - 0.2მგ/ლ და ზედა ზღვარი 0,1 მგ/ლ ნარჩენი ქლორი იძლევა ბაქტერიოციდულ ეფექტს.

⁷⁹ რეგლამენტის 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტი.

სასმელი წყლის რეგლამენტებით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი“. უნდა აღინიშნოს, რომ სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი მიღებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების, ევროდირექტივების, რეგიონალური თავისებურებებისა და კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით.⁸⁰ შესაბამისად, წყლის მიმწოდებელი ნებისმიერი ორგანიზაცია ვალდებულია, მაჩვენებლების მონიტორინგის და კონტროლის პროცესში სრულად ხელმძღვანელობდეს ამ რეგლამენტით.

დასკვნა

კომპანიის მიერ სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის პროცესი არ მიმდინარეობს რეგლამენტით გათვალისწინებული საკონტროლო მაჩვენებლების შესაბამისად, კერძოდ:

- o კომპანიის მიერ მიწოდებული სასმელი წყალი რეგლამენტით დადგენილი 50-ზე მეტი მაჩვენებლიდან 5 მაჩვენებელზე ან არ კონტროლდება, ან შედეგები სათანადოდ არ დოკუმენტირდება;
- o კომპანიის მიერ მიწოდებული სასმელი წყალი, 3 მაჩვენებელზე კონტროლდება რეგლამენტთან შეუსაბამო ნორმატივებით.

რეკომენდაცია N5. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

კომპანიამ მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგი და კონტროლი უზრუნველყოს რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში, მოამზადოს წინადადებები რეგლამენტში ცვლილებების დადგენილი წესით ინიცირებისათვის.

3.5 გადახრები სასმელი წყლის ხარისხის ნორმატივებიდან

კომპანიის მიერ მიწოდებული სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ეპიდემიური და რადიაციული თვალსაზრისით, ქიმიური შემადგენლობით უვნებელი და ჰქონდეს კეთილსასურველი ორგანოლეპტიკური თვისებები. სასმელი წყლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს რეგლამენტით დადგენილ სანიტარიულ ნორმებს.⁸¹ ქლორის ჭარბი დოზებით დეზინფექცია აუარესებს წყლის ორგანოლეპტიკურ თვისებებს და შესაძლებელია წარმოქმნას ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერებები.⁸²

2017 წელს კომპანიის მიერ სულ გამოკვლეულია სასმელი წყლის 47,351 ნიმუში, საიდანაც 4,176 შემთხვევაში გამოვლინდა დადგენილ ნორმებთან სხვადასხვა მაჩვენებლის 4,654 შეუსაბამობა. ანალოგიურად, 2018 წელს სულ გამოკვლეულია სასმელი წყლის 46,784 ნიმუში, საიდანაც 2,965 შემთხვევაში გამოვლინდა 3,197 შეუსაბამობა.⁸³ კომპანიის შემოწმებების საფუძველზე გამოვლენილი გადახრების რაოდენობა, კონკრეტული მაჩვენებლების ჭრილში, მოცემულია ქვემოთ: (იხ. ცხრილი N9)

⁸⁰ რეგლამენტის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁸¹ რეგლამენტის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

⁸² საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N62 დადგენილებით დამტკიცებული „ცენტრალიზებული და ადგილობრივი წყალმომარაგების სასმელ-სამეურნეო წყლის ქლორით გაუსწავრებისა და წყალსადენის ნაგებობების დეზინფექციის სანიტარიული წესების“ მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

⁸³ გადახრების შესახებ რაოდენობრივი მონაცემები აღებულია კომპანიის ელექტრონული პროგრამიდან.

ცხრილი N9. საკონტროლო მაჩვენებლების შეუსაბამობები რეგლამენტთან

საკონტროლო მაჩვენებელი	შეუსაბამობა 2017 წელს	შეუსაბამობა 2018 წელს
სუნი	2	2
გემო	1	1
ფერი	46	0
სიმღვრივე	203	63
წყალბადის მაჩვენებელი	9	7
პერმანგანატული ჟანგვადობა	72	56
ქლორიდები	2	1
ქლორი ნარჩენი თავისუფალი (სათავეზე) ⁸⁴	108	67
ქლორი ნარჩენი თავისუფალი (ქსელში) ⁸⁵	3,628	2,611
სულფატები	0	2
ნიტრიტები	4	9
ნიტრატები	26	27
რკინა	29	26
სიხისტე	78	11
მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები	141	125
საერთო კოლიფორმული ბაქტერიები	124	89
E.Coli	16	18

აღსანიშნავია, რომ გადახრების დიდი რაოდენობა ნარჩენი თავისუფალი ქლორის მაჩვენებელზე მოდის, მათ შორის, ფიქსირდებოდა გადაჭარბებული რაოდენობები.⁸⁶ ფაქტობრივად, აღრიცხული რაოდენობებიც შემცირებულად არის წარმოდგენილი, ვინაიდან დაანგარიშებულია რეგლამენტთან შეუსაბამო ნორმების მიხედვით.⁸⁷

კომპანიის განმარტებით, გამოვლენილ გადახრებზე ტარდება შემდეგი ღონისძიებები: დაზიანების შეკეთება, განმეორებითი ანალიზი, ქლორის დოზის მომატება, წყლის მიწოდების შეწყვეტა, ალტერნატიული მიწოდება და სხვა, თუმცა არ არის გაწერილი და დამტკიცებული ინსტრუქცია წყლის ხარისხის თითოეული გადახრის აღმოჩენის შემთხვევაში განსახორციელებელი კონკრეტული პროცედურების შესახებ.

გამოვლენილ შეუსაბამობებზე გატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შერჩევის მეთოდით გამოითხოვა 58 შემთხვევასთან დაკავშირებით.⁸⁸ ინფორმაცია წარმოდგენილია მხოლოდ საერთო კოლიფორმული ბაქტერიების 5 შემთხვევაზე, ხოლო დანარჩენ 53 გადახრაზე ვერ დავრწმუნდით, განახორციელა თუ არა კომპანიამ შესაბამისი რეაგირება.

დასკვნა

კომპანიაში არ არის გაწერილი და დამტკიცებული ინსტრუქცია წყლის ხარისხის გადახრების აღმოჩენის შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურების შესახებ. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, გამოვლენილ გადახრებზე ტარდება შემდეგი ღონისძიებები: დაზიანების შეკეთება, განმეორებითი ანალიზი, ქლორის დოზის მომატება, წყლის მიწოდების შეწყვეტა/ალტერნატიული მიწოდება და სხვ.,

⁸⁴ კომპანიის მიერ გამოყენებული ნორმა 0.3-1.0.

⁸⁵ კომპანიის მიერ გამოყენებული ნორმა 0.2-0.5.

⁸⁶ 2017 წელს ნარჩენი თავისუფალი ქლორი - სათავეზე, კომპანიის მიერ განსაზღვრულ დასაშვებ ნორმას (1მგ/ლ) აჭარბებდა 6 შემთხვევაში, ქსელში (ნორმა - 0,5მგ/ლ) - 67 შემთხვევაში, ხოლო 2018 წელს - სათავეზე, კომპანიის მიერ განსაზღვრულ დასაშვებ ნორმას (1მგ/ლ) აჭარბებდა 5 შემთხვევაში, ქსელში (ნორმა - 0,5მგ/ლ) - 79 შემთხვევაში.

⁸⁷ რეგლამენტით ქლორის მაჩვენებლის ნორმატივად განსაზღვრულია 0,3-0,5 მგ/ლ, თუმცა კომპანიის მიერ ნორმატივი სათავეზე 0.5 მგ/ლ-დან გაზრდილია 1 მგ/ლ-მდე.

⁸⁸ მათ შორის, სუნთან დაკავშირებული გადახრა - 4, გემო - 2, ნიტრიტები - 13, საერთო კოლიფორმული ბაქტერიები - 5, E.Coli - 34.

თუმცა აღნიშნულის დამადასტურებლად დოკუმენტაცია შერჩეული 58 შემთხვევიდან კომპანიამ წარმოადგინა მხოლოდ 5-ზე. შესაბამისად, ვერ დავრწმუნდით, ხორციელდება თუ არა სათანადო რეაგირება საკონტროლო მაჩვენებლების რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან შეუსაბამობის ფაქტებზე.

3.6 სასმელი წყლის ხარისხის საოპერაციო მონიტორინგის სამუშაო პროგრამების ნაკლოვანებები

დებულების შესაბამისად, კომპანიამ სასმელი წყლის კონტროლის მიზნით, ტერიტორიული ერთეულების მიხედვით უნდა შეიმუშაოს ლაბორატორიების წლიური სამუშაო პროგრამა (გეგმა-გრაფიკი) და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს მისი შესრულების კონტროლი.⁸⁹

მიმწოდებლის მიერ გამანაწილებელ ქსელში სასმელი წყლის განსასაზღვრი მაჩვენებლები და გამოსაკვლევი სინჯების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს N10 ცხრილში მოცემულ მოთხოვნებს (სინჯების რაოდენობა წელიწადში არანაკლებ):⁹⁰

ცხრილი N10. გამოსაკვლევი სინჯებისა და მოსახლეობის რაოდენობის ურთიერთკავშირი

მაჩვენებლები	წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა (ათასი ადამიანი)				
	მიწისქვეშა წყაროები			ზედაპირული წყაროები	
	20-მდე	20-100	100-ზე მეტი	100-მდე	100-ზე მეტი
მიკრობიოლოგიური	12	24	365	365	365
პარაზიტოლოგიური	არ წარმოებს			4	4
ორგანოლექტიური	12	24	365	365	365
ზოგადი მაჩვენებლები	4	6	12	12	24
არაორგანული და ორგანული ნივთიერებები	1	1	1	4	12
რადიოლოგიური	1	1	1	1	1
წყალმომზადების ტექნოლოგიასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	ნარჩენი ქლორი, ნარჩენი ოზონი – არანაკლებ, საათში ერთისა, დანარჩენი რეაგენტები – არანაკლებ, ცვლაში ერთისა				

კომპანია მომსახურებას უწევს რეგიონულ სათავე ნაგებობებსა და გამანაწილებელ ქსელს. მისი ტერიტორიული ერთეულები აწარმოებენ ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე მოწყობილი სათავე ნაგებობების წყლის, სათავე ნაგებობიდან გამოსული გაწმენდილი და წყალგამანაწილებელი ქსელის სასმელი წყლების ხარისხის საოპერაციო მონიტორინგს წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის (შემდეგში – სამუშაო პროგრამების) მიხედვით.

კომპანია სამუშაო პროგრამებს ადოკუმენტირებს MS Excel-ის ფაილების სახით. სამუშაო პროგრამები შედგენილია მხოლოდ ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების და მიკრობიოლოგიური (რეგიონული ლაბორატორიის მიერ) მაჩვენებლების კონტროლის მიზნით, წლების მიხედვით, თითოეული რეგიონული ფილიალის/სერვისცენტრისთვის და მათში აღნიშნულია შემდეგი კომპონენტები: საკონტროლო წერტილები/რეზერვუარები/სათავე ნაგებობები (მისამართები), სინჯის აღების პერიოდულობა, სინჯის აღების თარიღები.

სამუშაო პროგრამები არ მოიცავს ადგილზე ვიზუალურ ინსპექტირებებს და მათ პერიოდულობას, სანიტარიული დაცვის ზონების და რეზერვუარების მდგომარეობის შემოწმებების მიზნით.⁹¹ ამ

⁸⁹ კომპანიის დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁹⁰ რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁹¹ სეწმეკ-ის N32 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

თვალსაზრისით კომპანიის მიერ წარმოდგენილია ე.წ. „რეზერვუარების რეცხვის აქტები“, რომლებიც ადასტურებენ კონკრეტულ თარიღში პასუხისმგებელი პირების მიერ შესაბამისი ობიექტების სანიტარიული დამუშავების ფაქტს, თუმცა არ არსებობს მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, ამ სამუშაოების შესრულება იყო კომპანიის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის ნაწილი, თუ განსაკუთრებული აუცილებლობა. სამუშაო პროგრამები ასევე არ მოიცავს მითითებებს, როგორ უნდა იმოქმედოს ნორმებიდან გადახრების შემთხვევებში.

სამუშაო პროგრამებში⁹² არ არის აღნიშნული თითოეული წყალმომარაგების სისტემიდან წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა და წყაროების ტიპი (მიწისქვეშა/ზედაპირული), რაც რეგლამენტის შესაბამისად, კონკრეტული წლის განმავლობაში ასაღები სინჯების რაოდენობის განსაზღვრის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

სინჯის აღების პერიოდულობა განსაზღვრულია მაჩვენებლების მიხედვით, თუმცა აღნიშნული ზუსტად არ შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს, კერძოდ, კომპანიის მიერ კონკრეტულად არ არის განსაზღვრული სინჯის აღების ჯერადობა.

ამასთანავე, კომპანიის დოკუმენტაციიდან არ ირკვევა სამუშაო პროგრამებში გამოსაკვლევი სინჯების რაოდენობის, შესაძლებელი მაჩვენებლების განსაზღვრის წინაპირობები. ასევე დოკუმენტურად არ დასტურდება, სამუშაო პროგრამების შედგენისას ხდება თუ არა საკონტროლო ერთეულებში საფრთხეების იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც უნდა შეფასდეს, რამდენად საჭიროა რეგლამენტით გათვალისწინებულ მინიმალურ რაოდენობაზე მეტი ოდენობის კონტროლის/მონიტორინგის განხორციელებისთვის დამატებითი რესურსი.

დასკვნა

კომპანიის სამუშაო პროგრამებში არ არის გაწერილი იდენტიფიცირებული პოტენციური საფრთხეები და შემოწმებათა საჭირო რაოდენობა რეგლამენტით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიხედვით, ასევე სანიტარიული დაცვის ზონების და რეზერვუარების მდგომარეობის შემოწმებების მიზნით, ადგილზე ვიზუალური ინსპექტირებები და მათი პერიოდულობა. შესაბამისად, სამუშაო პროგრამები არსებული სახით ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელებას რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად და არ არის პასუხისმგებელი პირებისთვის ზუსტი საოპერაციო მონიტორინგის გეგმა.

რეკომენდაცია N6. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

კომპანიის სამუშაო პროგრამების გაუმჯობესებისა და სამუშაოთა რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, დაგეგმვა-განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით კომპანიამ სამუშაო პროგრამების შემუშავებისას გაითვალისწინოს იდენტიფიცირებული საფრთხეები და რეგლამენტით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიხედვით, კონკრეტულად მიუთითოს კომპანიის პასუხისმგებელი პირების მხრიდან შემოწმებების საჭირო რაოდენობა, ასევე სანიტარიული დაცვის ზონების და რეზერვუარების მდგომარეობის შემოწმებების მიზნით, ადგილზე ვიზუალური ინსპექტირებების საჭიროება და მათი პერიოდულობა.

3.7 სასმელი წყლის ხარისხის შიდა და გარე კონტროლის ხარვეზები

სასმელ წყალში ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მაჩვენებლების კონტროლი⁹³ უნდა განხორციელდეს შენობისა და სათავსის შიგნით, უშუალოდ ონკანიდან, საიდანაც ჩვეულებრივ ხორციელდება წყლის მოხმარება;⁹⁴ ასევე სასმელი წყლის დაქლორვის ეფექტურობაზე სანიტარიულ-

⁹² ასევე ელექტრონული ლაბორატორიის პროგრამაში.

⁹³ მათ შორის, სახელმწიფო კონტროლი - სეს-ის მიერ, შიდა კონტროლი - კომპანიის მიერ.

⁹⁴ ტექნიკური რეგლამენტის 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

ლაბორატორიული კონტროლი კომპანიამ უნდა განახორციელოს წყალგანაწილების ყველაზე სახასიათო წერტილებში.⁹⁵

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო ვალდებულია⁹⁶ განახორციელოს მოსახლეობის დროული ინფორმირება ბაზარზე განთავსებულ სურსათთან დაკავშირებით, თუ დადასტურებულია, რომ ეს სურსათი (მათ შორის, სასმელი წყალი) ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობისათვის მავნეა.

წყლის ხარისხის კონტროლს აწარმოებენ აკრედიტებული დამოუკიდებელი ლაბორატორიები.⁹⁷

აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ სეს-ის და კომპანიის მიერ ერთსა და იმავე პერიოდებში, ერთსა და იმავე მისამართზე ჩატარებული შემოწმების შედეგები არ ემთხვევა ერთმანეთს. სეს-ისგან განსხვავებით, კომპანია სინჯებს არ ამოწმებს აკრედიტებულ ლაბორატორიებში. აღნიშნული გარემოება არ იძლევა კომპანიის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგების სანდოობაში დარწმუნების შესაძლებლობას.⁹⁸

ცხრილი N11. კომპანიის რეაგირება სააგენტოს მიერ 2017-2018 წლებში გამოვლენილ გადახრებზე⁹⁹

კომპანიის და სააგენტოს კვლევები აღმოჩნდა იდენტური	კომპანიამ პრობლემის აღმოსაფხვრელად განახორციელა ქმედება	შემთხვევების რაოდენობა
კი	კი	1
არა	კი	5
	არა	10
სულ რაოდენობა:		16

ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ 16 შემთხვევიდან 15-ში სააგენტოსა და კომპანიის შემოწმების შედეგები ერთმანეთს არ დაემთხვა. მათ შორის, 10 შემთხვევაში სააგენტოს მიერ გამოვლენილი წყლის ხარისხთან დაკავშირებული დარღვევა კომპანიის მხრიდან რეაგირების გარეშე დარჩა, ასევე სააგენტო განმეორებით შემოწმებებს არ ახორციელებს. ყოველივე ზემოაღნიშნული, სასმელი წყლის შიდა და გარე კონტროლის ხარვეზებს წარმოადგენს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 16 შემთხვევიდან 4-ში სააგენტომ კომპანიის ინფორმირება განახორციელა დაგვიანებით.¹⁰⁰ წყლის ხარისხის დადგენილი ნორმებიდან გადახრის ოპერატიულად შეტყობინება ხელს შეუწყობს პრობლემის დროულ მოგვარებას და აბონენტების მიერ დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამო სასმელი წყლის მიღების რისკის შემცირებას.

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ლაბორატორიული კვლევების შედეგების შესახებ ინფორმაცია აბონენტებს მიეწოდებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემოწმება მათი მოთხოვნით ჩატარდა, სხვა შემთხვევებში კი გაიცემა რეკომენდაციები წყლის მიმწოდებელი კომპანიების მიმართ, რათა მათ უზრუნველყონ მომხმარებლების დროული ინფორმირება. ჩვენ ვერ დავრწმუნდით მომხმარებლების

⁹⁵ სატუმბო სადგურთან უახლოეს, დაცილებულ, ამაღლებულ წერტილებში, ჩიხებში, წყალგამანაწილებელ წერტილებში.

⁹⁶ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 თებერვლის N2-107 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად.

⁹⁷ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁹⁸ 2020 წლის 25 მარტს კომპანიის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება – „შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ არსებული სასმელი წყლის ლაბორატორიების აკრედიტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების შესახებ“.

⁹⁹ სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 2017-2018 წლებში სლოაგენტომ განახორციელა კომპანიის წყლის 419 შემოწმება, საიდანაც დარღვევა გამოვლინდა 57-ში. აუდიტის მიზნებისთვის 57-დან შერჩეულია 32 გადახრა, საიდანაც გაანალიზდა ის 16 გადახრა, სადაც კომპანიამ დაადასტურა იმავე დღეს პარალელური შემოწმების ჩატარება.

¹⁰⁰ ლაბორატორიული კვლევების თითოეულ სახეობას სჭირდება 1-დან 12 დღემდე პერიოდი. შესაბამისად, დაგვიანებულად ჩაითვალა სინჯის აღებიდან 12 დღის გასვლის შემდეგ გაგზავნილი შეტყობინებები. გამოვლინდა: 10 დღით დაგვიანების - 1 შემთხვევა, 30-67 დღემდე - 3 შემთხვევა.

ინფორმირების ზემოაღნიშნული მექანიზმის ეფექტიანობაში, რადგან სააგენტოს მიერ გამოვლენილი 16 გადახრიდან, 15 შემთხვევაში 2 დამოუკიდებელი კვლევის შედეგები ერთმანეთს არ დაემთხვა. ამასთანავე, ვერ მივიღეთ ინფორმაცია, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ 16-დან რამდენი აბონენტის ინფორმირება განახორციელა. მსგავს შემთხვევებში მომხმარებლების არაინფორმირებულობა წარმოშობს დადგენილ ნორმებთან შეუსაბამო სასმელი წყლის მიღების რისკებს.

დასკვნა

- წყლის ხარისხთან დაკავშირებით გამოვლენილი 16 შემთხვევიდან 15-ში სააგენტოსა და კომპანიის შემოწმების შედეგები ერთმანეთს არ დაემთხვა;
- კომპანია სინჯებს არ გადაამოწმებს აკრედიტებულ ლაბორატორიებში. აღნიშნული გარემოება არ იძლევა კომპანიის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგების სანდოობაში დარწმუნების შესაძლებლობას;
- 16-დან 10 შემთხვევაში სააგენტოს მიერ გამოვლენილი დარღვევა კომპანიის მხრიდან რეაგირების გარეშე დარჩა;
- სააგენტო მომხმარებლებს გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას აცნობებს მხოლოდ მათი მოთხოვნით ჩატარებული კვლევების შემთხვევაში, სხვა დროს კი აბონენტების ინფორმირების რეკომენდაციას გასცემს წყლის მიმწოდებელ კომპანიებზე;
- ვერ მივიღეთ დასაბუთება, კომპანია ახორციელებს თუ არა მომხმარებლების ინფორმირებას სააგენტოს მიერ გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით;
- სააგენტო განმეორებით შემოწმებებს არ ახორციელებს;
- სააგენტო წყლის ხარისხთან დაკავშირებულ დარღვევებს რიგ შემთხვევებში კომპანიას დაგვიანებით აცნობებს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, წყლის ხარისხის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების და ხარვეზების აღმოფხვრის მექანიზმები არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად.

რეკომენდაცია N7. სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო მაკონტროლებლის ფუნქციის სრულყოფილად განხორციელების და სახელმწიფო კონტროლის შედეგების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სისტემატურად გადაამოწმოს მის მიერ გამოვლენილ შეუსაბამობაზე გაცემული მითითებების შესრულების მდგომარეობა.

რეკომენდაცია N8. სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ დანერგონ კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ მომხმარებლების და მიმწოდებლების დროულ ინფორმირებას და ხარვეზების აღმოსაფხვრელად სათანადო ზომების გატარებას.

რეკომენდაცია N9. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

შიდა კონტროლის შედეგების საიმედოობის უზრუნველსაყოფად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი განახორციელოს აკრედიტებული დამოუკიდებელი ლაბორატორიების მეშვეობით.

4. შემოსავლების ფორმირებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

წარმოდგენილი ინფორმაციით, 2017-2018 წლებში კომპანიის მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 77,534 ათასი ლარი შეადგინა. (იხ. ცხრილი N12)

ცხრილი N12. კომპანიის შემოსავლები 2017-2018 წლებში (ათასი ლარი)

შემოსავლები	2017	2018
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან	36,152	38,135
სხვა შემოსავალი	2,860	387
ჯამი:	39,012	38,522

4.1 სულადობის მიხედვით აბონენტების აღრიცხვის ნაკლოვანებები

კომპანიის მიერ მისაღები შემოსავლების სისრულის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანია უნდა ახორციელებდეს სულადობის მიხედვით აბონენტების რაოდენობის მუდმივ მონიტორინგს.

აბონენტების სულადობის ცვლილება ხორციელდება კომპანიაში შექმნილი სულადობის დამდგენი კომისიის მიერ. ცვლილების საფუძველი შეიძლება იყოს აბონენტის მოთხოვნა ან კომპანიის მიერ განხორციელებული ინსპექტირება. წარმოდგენილი ინფორმაციით, 2017 და 2018 წლებში ასეთი სახის ინსპექტირება ჩატარდა მხოლოდ ერთხელ ქუთაისში, ლანჩხუთში, ჩოხატაურსა და ოზურგეთში.¹⁰¹

დასკვნა

რამდენადაც, კომპანიის სულადობრივი აბონენტების ბაზა არ არის დაკავშირებული სამოქალაქო რეესტრის მონაცემებთან, სულადობრივ მონაცემებში ცვლილებების განხორციელება დამოკიდებულია ძირითადად აბონენტების მიერ ინფორმაციის წარმოდგენაზე. კომპანიის მიერ განხორციელებული ინსპექტირება კი შეეხო აბონენტების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, შესაბამისად, კომპანიამ ვერ უზრუნველყო შემოსავლების სისრულის მტკიცების დადასტურება.

რეკომენდაცია N10. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

კომპანიამ აბონენტების სულადობის სიზუსტის დასადასტურებლად, განახორციელოს სულადობის მიხედვით აბონენტების ბაზის სამოქალაქო რეესტრის ბაზასთან ინტეგრაცია. ასევე, უზრუნველყოს სულადობის მიხედვით აბონენტების სრული ინვენტარიზაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

4.2 სააბონენტო გადასახადის არასწორად დარიცხვა

სემეკის დადგენილება¹⁰² წყალმომარაგების ტარიფების შესახებ განსაზღვრავს მრიცხველიან აბონენტებზე დარიცხული ტარიფის ოდენობას, ხოლო კომპანიის დებულების მიხედვით,¹⁰³ გაყიდვების სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო აბონენტების ჩვენებების სიზუსტის გადამოწმება.

ნულოვან აბონენტებზე (ისეთი აბონენტები, რომლებსაც 2017-2018 წლებში ერიცხებოდათ 0 ლარი) დარიცხვების სიზუსტის დასადასტურებლად, აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა მრიცხველის ფოტოსურათები და შეადარა ბილინგის ბაზის მონაცემებს.

იურიდიულ პირებზე დარიცხვების სიზუსტის დასადასტურებლად, 5,154 აბონენტიდან შეირჩა 131 აბონენტი. კომპანიამ წარმოადგინა მხოლოდ 29 მრიცხველის ფოტოსურათი (22%), საიდანაც:

¹⁰¹ 2017 წლის 23 იანვრის N18 ბრძანება.

¹⁰² 2017 წლის 23 იანვრის N18 ბრძანება.

¹⁰³ მუხლი 4, „ა.ა.“ ქვეპუნქტი.

- 2 აბონენტს უფიქსირდება წყლის მოხმარება (ფოტოზე მრიცხველის ჩვენება მეტია ბილინგის ბაზის მონაცემზე) ჯამურად – 31,459 ლარის ოდენობით;
- ერთი აბონენტის რეალური ჩვენება უმნიშვნელო თანხით ნაკლებია ბილინგის ბაზის მონაცემზე. ფიზიკურ პირებზე დარიცხვების სიზუსტის დასადასტურებლად, 93,690 აბონენტიდან შეირჩა 46 აბონენტი, ფოტოსურათები მიღებულია მხოლოდ 18-ზე (39%), 2 აბონენტს უფიქსირდება წყლის მოხმარება, ჯამურად – 18 ლარის ოდენობით;
- ერთი აბონენტის რეალური ჩვენება უმნიშვნელო თანხით ნაკლებია ბილინგის ბაზის მონაცემზე.

დასკვნა

ჩატარებული პროცედურების შედეგად ირკვევა, რომ კომპანიის შემოსავლების დარიცხვები არაზუსტია, კერძოდ, შემოწმებულ ნულოვან აბონენტებს (26% შერჩეულიდან) რეალურად მოხმარებული აქვთ 31,459 ლარის ღირებულების წყალი, ხოლო ბილინგის ბაზაში დარიცხულია – 0 ლარი. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ კომპანია ბილინგის პროცესთან დაკავშირებული ნაკლოვანებების გამო კარგავდეს მნიშვნელოვან შემოსავლებს.

5. შესყიდვებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

2017-2018 წლებში კომპანია ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და დონორების მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურებით. ინფორმაცია შესყიდვების ტიპების, რაოდენობის და სახელშეკრულებო თანხების შესახებ მოცემულია ცხრილში N13:

ცხრილი N13. კომპანიის მიერ განხორციელებული შესყიდვები 2017-2018 წლებში

შესყიდვის ტიპი	რაოდენობა	სახელშეკრულებო თანხა (ლარი)
სახელმწიფო შესყიდვები	640	63,639,593
ტენდერი	303	55,396,436
გამარტივებული შესყიდვა	337	8,243,157
დონორების წესებით შესყიდვები	24	471,875,454
ტენდერი	22	440,465,488
პირდაპირი დაკონტრაქტება	2	31,409,966
სულ შესყიდვები:	664	535,515,047

5.1 სახელმწიფო შესყიდვები

5.1.1 ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული ხარვეზები

ყოველი შესყიდვის¹⁰⁴ პროცედურების დაწყებამდე, შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს, მათ შორის, აზუსტებს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას.¹⁰⁵ პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მოკვლევის შედეგებს.¹⁰⁶

აუდიტის ჯგუფმა 303 ტენდერიდან შეარჩია 83 ტენდერი,¹⁰⁷ საიდანაც 49 შემთხვევაში კომპანიას კანონმდებლობით განსაზღვრული ბაზრის კვლევა არ განუხორციელებია. (იხ. ცხრილი N14)

¹⁰⁴ გადაუღებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვების გარდა.

¹⁰⁵ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁰⁶ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების მე-4 მუხლის 6¹ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁷ 2017-2018 წლების - 73, ხოლო 2015 წლიდან გამოცხადებული - 10 გარდამავალი შესყიდვა.

ცხრილი N14. ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული მონაცემები

	შერჩეული აუდიტის ჯგუფის მიერ	ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა ¹⁰⁸	%
ტენდერების რაოდენობა	83	49	59%
სავარაუდო ღირებულება	82,502,646	54,996,987	67%

აღსანიშნავია, რომ 16 ტენდერის სავარაუდო ღირებულებები, რომლებზეც ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა, აღემატებოდა 1,000,000 ლარს.

დასკვნა

აუდიტის პროცედურებისათვის კომპანიის მიერ განხორციელებული 303 ტენდერიდან შეირჩა 83 ტენდერი, საიდანაც 49 შემთხვევაში კომპანიას არ ჩაუტარებია ბაზრის კვლევა პოტენციური მიმწოდებლებისგან ფასების გამოკითხვის, შესასყიდი საქონლის არსებული პოტენციური მიმწოდებლების განსაზღვრის და მათი შესაძლებლობების შეფასების მიზნით. მინიმუმ, 55 მილიონი ლარის სავარაუდო ღირებულების შესყიდვა ბაზრის კვლევის გარეშე ჩატარდა, რაც ზრდის სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკებს.

რეკომენდაცია N11. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“, სახსრების ეკონომიურად ხარჯვისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, დაწეროს ბაზრის კვლევის ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს ბაზარზე არსებული პოტენციური მიმწოდებლების განსაზღვრას, საკმარისი ინფორმაციის მიღებას სატენდერო წინადადების შემუშავებისა და საბაზრო ღირებულებასთან მაქსიმალურად მიახლოებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დასადგენად.

5.1.2 სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დაუსაბუთებლად გაცემული ავანსები

სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების¹⁰⁹ მიხედვით, მიმწოდებლებს ავანსის მისაღებად უნდა წარმოედგინათ დასაბუთებული მოთხოვნა, ხოლო მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში – ავანსის ხარჯვის დოკუმენტაცია.

შერჩეული 83 ტენდერიდან 20 შემთხვევაში გაიცა ავანსი, საიდანაც 17-მა კომპანიამ¹¹⁰ ვერ წარმოადგინა სათანადო დასაბუთება. (იხ. დანართი N5)

დასკვნა

კომპანიამ 20 გაცემული ავანსიდან 17 შემთხვევაში, რაც ჯამურად 6,058,657 ლარს შეადგენს, ვერ შეძლო სათანადო დასაბუთების წარმოდგენა. ასევე კონტრაქტორებს კომპანიისთვის არ წარუდგენიათ ავანსის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნული ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მოთხოვნებს და ფულადი სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს წარმოშობს.

¹⁰⁸ დანართი N4.

¹⁰⁹ მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

¹¹⁰ 15 შემთხვევა - 2017-2018 წლებში გაფორმებული, 2 შემთხვევა - 2015 წლის შემდეგ გაფორმებული ხელშეკრულებებით.

5.1.3 სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული კონტროლის ნაკლოვანებები

სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების¹¹¹ მიხედვით, კომპანია უფლებამოსილია განახორციელოს შესყიდვების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი.

შემოწმებული 29 სამშენებლო შესყიდვიდან,¹¹² 10 შემთხვევაში, 17,837,421 ლარის სახელშეკრულებო ღირებულების შესყიდვებზე, კომპანიამ ვერ წარმოადგინა შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და მოცულობების პერიოდული ინსპექტირების დასკვნები. (იხ. დანართი N6)

დასკვნა

აუდიტის პერიოდში განხორციელდა 29 სამშენებლო შესყიდვა. კომპანიამ 10 შემთხვევაში არ გამოიყენა ხელშეკრულებით განსაზღვრული მონიტორინგის და კონტროლის უფლება. მსგავსი კონტროლის მექანიზმის გამოყენებით კომპანია შეამცირებდა 17,837,421 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოების შესრულების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. ამასთანავე, კომპანიას ექნებოდა მეტი შესაძლებლობა გაეკონტროლებინა პროექტების ვადაში დასრულება.

5.1.4 ხელშეკრულებებში სათანადო დასაბუთების გარეშე შეტანილი ცვლილებები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების¹¹³ შესაბამისად, დაუშვებელია ხელშეკრულების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით¹¹⁴ დადგენილი შემთხვევებისა.

ქვემოთ მოცემული ტენდერების შემთხვევაში, ხელშეკრულებებში შესულია ცვლილებები ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, სათანადო დასაბუთების გარეშე. (იხ. ცხრილი N15)

ცხრილი N15. ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებები სათანადო დასაბუთების გარეშე

ტენდერი	ხელშეკრულების ღირებულება	მიმწოდებელი	შესყიდვის საგანი	გახანგრძლივებული დღეები ¹¹⁵
DAPI80000033	607,585	შპს „ნდს მშენებლობა“	რეზერვუარის მშენებლობა	39 ¹¹⁶
DAPI70000187	507,063	შპს „ნიუმშენი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	96 ¹¹⁷

დასკვნა

2 ხელშეკრულებაში შეტანილია ცვლილებები ვადის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, სათანადო დასაბუთების გარეშე, რითაც შემსყიდველის სახელშეკრულებო პირობები გაუარესდა. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები ეწინააღმდეგება შესყიდვების კანონმდებლობას.

¹¹¹ სამშენებლო ხელშეკრულებების მე-5 მუხლის მოთხოვნა.

¹¹² 2017-2018 წლების - 19 სამშენებლო შესყიდვა, 2015 წლის შემდეგ გაფორმებულიდან - 10 შესყიდვა (29 კონტრაქტის სახელშეკრულებო ღირებულება - 51,335,142 ლარი). ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შესაბამისად აუდიტმა სამშენებლო შესყიდვების 100% დაგრა.

¹¹³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება N9, მუხლი 20, პუნქტი 2.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება N12, მუხლი 36, პუნქტი 2.

¹¹⁴ „ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი“.

¹¹⁵ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია აუდიტის პერიოდში ხელშეკრულებების მოქმედების ვადის, სათანადო დასაბუთების გარეშე გახანგრძლივების შესახებ.

¹¹⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტის მონაცემებით, 01.01.2020 წლის მდგომარეობით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ გახანგრძლივდა 354 დღით.

¹¹⁷ აუდიტის პერიოდში ხელშეკრულების მოქმედების ვადა გახანგრძლივდა 138 დღით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტის მონაცემებით, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ გახანგრძლივდა 275 დღით.

5.1.5 გაშვებული საგარანტიო ვადები

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, კონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა ძირითადად შეადგენს ერთ წელს. აღნიშნულ პერიოდში კონტრაქტორები ვალდებული არიან საკუთარი ხარჯებით უზრუნველყონ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

კომპანიაში დანერგილია კონტროლის მექანიზმი, რაც ითვალისწინებს საგარანტიო ვადის ბოლოს დეფექტური აქტის შედგენას იმის გადასამოწმებლად, საჭიროა თუ არა კომპანიის მხრიდან საგარანტიო უფლების გამოყენება. კომპანია აღნიშნულ კონტროლის მექანიზმს ყველა შემთხვევაში არ იყენებს. შედეგად, კომპანიამ დაკარგა ჯამურად 2,018,272 ლარის სამუშაოებზე გარანტიის გამოყენების უფლება. ქვემოთ ცხრილ N16-ში მოცემულია ინფორმაცია იმ შესყიდვების შესახებ, რომელთა ფარგლებშიც არ შედგა დეფექტური აქტები.

ცხრილი N16. ხელშეკრულებები, სადაც დროულად არ გაფორმდა დეფექტური აქტები

შესყიდვის ნომერი	მიმწოდებელი	შესყიდვის საგანი	სახელშეკრულებო ღირებულება
SPA160018856	შპს „ნდს მშენებლობა“	დრენაჟის მშენებლობა	573,555
SPA130019984	შპს „გეო ლოდი“	მდინარის ნაპირის დამცავი სამუშაოები	493,000
SPA120001347	შპს „სპეცსეისმომონტაჟი“	საზოგადოებრივი ტულეტების მშენებლობა	287,777
SPA110001462	შპს „მშენებელი XXI+“	ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა	214,900
SPA110024749	შპს „მშენებელი XXI+“	ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა	168,750
SPA120001348	შპს „კონსტრუქცია XXI“	საზოგადოებრივი ტულეტების მშენებლობა	159,000
SPA130024605	შპს „ჰიდრომშენი 2011“	მდინარის ნაპირის დამცავი სამუშაოები	80,380
SPA120008054	შპს „უნივერსალი 2010“	ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა	40,910
სულ:			2,018,272

დასკვნა

ჯამურად, 2,018,272 ლარის ღირებულების 8 კონტრაქტის შემთხვევაში, კომპანიამ ვერ უზრუნველყო სახელშეკრულებო უფლების გამოყენება საგარანტიო ვადის პერიოდში, მისთვის მიყენებული შესაძლო ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, კომპანიამ დაკარგა შესაძლებლობა, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, კონტრაქტორისთვის მოეთხოვა მათი გამოსწორება.

5.1.6 გვიან გამოცხადებული ტენდერები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის¹¹⁸ მოთხოვნების მიხედვით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შესყიდვების განხორციელება დგინდება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით.

ცხრილში მოცემულ შემთხვევებში, შეზღუდულ ვადებში განსახორციელებელი შესყიდვები რეალურად გამოცხადდა მთავრობის შესაბამისი განკარგულების გამოცემიდან მნიშვნელოვანი დაგვიანებით. (იხ. ცხრილი N17)

¹¹⁸ მუხლი 10¹, მე-3 პუნქტი, „დ“ ქვეპუნქტი.

ცხრილი N17. დაგვიანებით გამოცხადებული ტენდერები

ტენდერი	მიმწოდებელი	სავარაუდო ღირებულება	შესყიდვის საგანი	დაყოვნების პერიოდი
DAP180000033	შპს „ნდს მშენებლობა“	650,000	რეზერვუარის მშენებლობა	33 დღე
DAP180000038	შპს „კავკასიენერგო“	343,385	სანაპიროს დამცავი ნაგებობების მშენებლობა	80 დღე

დასკვნა

993,385 ლარის ღირებულების 2 ტენდერში, ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, კომპანიას შესაძლებლობა ჰქონდა გამარტივებული ტენდერის ნაცვლად შესყიდვა განუხორციელებინა ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, რასაც შესაძლოა გაეზარდა კონკურენცია და დაეზოგა კომპანიის სახსრები.

5.1.7 არაერთგვაროვანი მიდგომა

მოთხოვნები, რომელთაც განსაზღვრავს სატენდერო კომისია, უნდა გამომდინარეობდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან, უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებასა და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.¹¹⁹ ზოგიერთ შესყიდვასთან დაკავშირებით კომპანიამ გამოიყენა არაერთგვაროვანი მიდგომა (იხ. ცხრილი N18), კერძოდ:

ცხრილი N18. ტენდერები, სადაც კომპანიის მიერ მსგავს შესყიდვებში გამოყენებულია არაერთგვაროვანი მიდგომა

ტენდერი	სავარაუდო ღირებულება (ლარი)	ფაქტობრივი გარემოება	შენიშვნა
NAT180008902 ¹²⁰	283,450	წინა ტენდერში „DAP170000080“ კონტრაქტორს უნდა ჰქონოდა 1,500,000 ლარის ოდენობის სამუშაოების შესრულების გამოცდილება (630,000 ლარის სავარაუდო ღირებულების სამუშაოებზე). მოცემულ შემთხვევაში, 283,450 ლარის სამუშაოებზე მოთხოვნილი იყო 2,000,000 ლარის სამუშაოების გამოცდილება.	
DAP170000087	8,000,000	სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 6 თვე; სხვა მსგავს სამუშაოებზე; ¹²¹ NAT180015034 ხელშეკრულების გაფორმებიდან – 18 თვე; NAT180015043 ხელშეკრულების გაფორმებიდან – 18 თვე.	ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 30.07.2020 წლამდე

დასკვნა

2 შესყიდვასთან დაკავშირებით, რომელთა ჯამურმა სავარაუდო ღირებულებამ 8,283,450 ლარი შეადგინა, კომპანიამ არ გამოიყენა კანონმდებლობით მოთხოვნილი ერთგვაროვანი მიდგომის პრინციპი და მსგავსი შესყიდვები მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით გამოაცხადა. მაგალითად: 8,000,000 ლარის ღირებულების შესყიდვაზე სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრა 6 თვე, როდესაც მსგავს შესყიდვებზე პრეტენდენტებს კომპანიის მხრიდან 18 თვე ეძლეოდათ. აღნიშნულმა შეამცირა კონკურენცია, შესაბამისად, გაიზარდა სახსრების არაეკონომიურად ხარჯვის რისკი.

¹¹⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება N12 „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 18, პუნქტი 2.

¹²⁰ ტენდერი გამოცხადდა, DAP170000080 ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, სადაც სამუშაოები ნაწილობრივ (283,715 ლარი) შესრულებული იყო.

¹²¹ სავარაუდო ღირებულებები: NAT180015034 – 7,720,677 ლარი; NAT180015043 – 2,995,137 ლარი; NAT180015037 – 1,350,000 ლარი.

5.1.8 სახელმწიფო შესყიდვების კანონთან შეუსაბამოდ გაფორმებული ხელშეკრულება

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იმ ორგანიზაციებმა, რომელთა აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით) შესყიდვები უნდა განახორციელონ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის თანახმად.

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ და შპს „ჭიათურის წყლის კომპანიას“ შორის ხელშეკრულება (გადაუმუშავებელი წყლის მიწოდების შესახებ) გაფორმებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის გვერდის ავლით.

5.2 დონორების სახსრებით განხორციელებული შესყიდვების შედეგად გაფორმებული კონტრაქტების მართვის ნაკლოვანებები

5.2.1 კონტრაქტების მართვის გეგმები არ არსებობს

მსესხებელმა შესაბამისი აღმასრულებელი სააგენტოს მემგვობით აქტიურად უნდა მართოს და მონიტორინგი გაუწიოს კონტრაქტებს შესრულების ვადის განმავლობაში, რათა უზრუნველყოს მხარეების მიერ საკონტრაქტო პირობების დამაკმაყოფილებელი შესრულება.¹²² შესყიდვების რეგულაციების შესაბამისად,¹²³ ADB-ისთვის მისაღები „კონტრაქტის მართვის გეგმა“ უნდა შემუშავდეს კონტრაქტის შექმნის განმავლობაში და დასრულდეს მისი ხელმოწერისთანავე. ზემოაღნიშნული გეგმა უნდა მოიცავდეს შესრულების ძირითად ინდიკატორებს და ეტაპებს.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ და აუდიტის პერიოდში მიმდინარე კონტრაქტებთან დაკავშირებით, კომპანიამ ვერ წარმოადგინა ADB-ის შესყიდვების რეგულაციებით გათვალისწინებული კომპონენტების¹²⁴ მითითებით შედგენილი, თითოეული კონტრაქტის მართვის გეგმა და ამ გეგმის მიხედვით მომზადებული ხელშეკრულებების შესრულების შეფასების ანგარიშები. კომპანიის განმარტებით, კონტრაქტების მართვის გეგმის ყველა პუნქტი სრულდება სხვადასხვა დოკუმენტის მეშვეობით.¹²⁵ აღნიშნულ კონტექსტში კომპანიამ წარმოადგინა საზედამხედველო კომპანიების ანგარიშები და პროექტების მართვის დეპარტამენტის მიერ შედგენილი კონტრაქტების პროგრესის ცხრილი. ეს უკანასკნელი აღწერს არა კომპანიის მხრიდან კონტრაქტების მიმდინარეობაზე მონიტორინგის შინაარსს ან ანალიზს პროექტების გაჭიანურებასთან დაკავშირებით, არამედ მასში მითითებულია პროექტის შესრულების სტატუსი მიმდინარე მომენტისთვის.

დასკვნა

კონტრაქტების მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი შესრულების მიზნით, კომპანიის მხრიდან არ დასტურდება მათი პროაქტიული მართვა, ADB-ის შესყიდვების რეგულაციებით გათვალისწინებული კომპონენტების მითითებით შედგენილი „კონტრაქტის მართვის გეგმის“ შესაბამისად.

¹²² Procurement Regulations for ADB Borrowers, Contract Management. 54.

¹²³ Procurement Regulations for ADB Borrowers, appendix 8.

¹²⁴ Appendix 8.5-ის (a) და (b).

¹²⁵ Feasibility study, Detailed design, Contract, Progress reports.

ამასთანავე, კომპანიის დებულებით მკაფიოდ არ არის განსაზღვრული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში შესაბამისი კონტრაქტების მმართველი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შინაარსი და პასუხისმგებლობები.

რეკომენდაცია N12. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში მხარეთა მიერ საკონტრაქტო პირობების შესრულების შემადგერხებელი საკითხების ადრეული აღმოჩენისა და დროული რეაგირების მიზნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ თითოეული კონტრაქტის გაფორმებისას შეიმუშაოს კონტრაქტის მართვის გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება პოტენციური რისკები, კონტრაქტის ეტაპები, შესრულების ინდიკატორები და მათი გაზომვის გზები.

5.2.2 ხელშეკრულებების გაფორმება / ცვლილების შეტანა მთავრობასთან შეუთანხმებლად

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა საწარმოებმა უცხოელ კონტრაქტორებთან საჯარო-სამართლებრივი მიზნების გასატარებლად გასაფორმებელი კერძო ხასიათის ხელშეკრულებების პროექტის ტექსტში დავების გადაწყვეტის მექანიზმად საერთაშორისო არბიტრაჟის მითითების შემთხვევაში, ხელშეკრულების პროექტი, შესაბამისი უწყებების დასკვნებთან ერთად, განსახილველად უნდა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას, ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების წინასწარი შეფასების მიზნით.

2017-2018 წლებში მოქმედი 15 სამშენებლო ხელშეკრულებიდან¹²⁶ 11 ხელშეკრულება¹²⁷ გაფორმებულია უცხოელ კომპანიებთან და დავის გადაწყვეტის მექანიზმად ითვალისწინებს საერთაშორისო არბიტრაჟს, თუმცა ამ ხელშეკრულებების გაფორმება მოხდა საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად. რაც შეეხება სამშენებლო ხელშეკრულებებში შეტანილ ცვლილებებს, კომპანიამ მათი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმება დაიწყო 2018 წლის ოქტომბრიდან.¹²⁸

დასკვნა

კომპანია უცხოელ კონტრაქტორებთან, ისეთ სამშენებლო ხელშეკრულებებს (და მათში ცვლილებებს), რომლებიც დავის გადაწყვეტის მექანიზმად ითვალისწინებდა საერთაშორისო არბიტრაჟის გამოყენებას, აფორმებდა შესაბამისი ხელშეკრულებების/ცვლილებების პროექტების საქართველოს მთავრობასთან წინასწარი შეთანხმების და ფაქტობრივი და სამართლებრივი რისკების წინასწარი შეფასების გარეშე.

5.2.3 ხელშეკრულებების ცვლილებები სამართლებრივი ექსპერტიზის გარეშე

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება საწარმოთა მიერ, რომელთა აქციათა საკონტროლო პაკეტს ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო, იმ დასაბუთებ ხელშეკრულებათა პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა, საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომლებიც ითვალისწინებს მხარეთა შორის დავის გადაწყვეტას არბიტრაჟის ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ.¹²⁹

¹²⁶ იხ. დანართი N7.

¹²⁷ ABA-01, CHI-01, JVARI-01, KUT-01, POT-01, POT-02, REG-02, REG-03a, URE-02, ZUG-01, ZUG-02.

¹²⁸ მაგალითად: KUT-01-ში შეტანილი N13 ცვლილება.

¹²⁹ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N389 დადგენილებით დამტკიცებული „იუსტიციის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლი.

აუდიტის ფარგლებში შესწავლილ, კომპანიის მიერ მომზადებულ პროექტთაგან, იუსტიციის სამინისტროს დადებითი დასკვნა არსებობს მხოლოდ კომპანიასა და Akkord Industry Construction Investment Corporation-ს შორის სამშენებლო მომსახურების თაობაზე 2017 წლის 21 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესატანი პირველი ცვლილების პროექტთან¹³⁰ და კომპანიასა და Ludwig Pfeiffer Hoch-und Tiefbau GmbH & Co. KG-ს შორის სამშენებლო მომსახურების თაობაზე 2016 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესატანი მე-4 ცვლილების პროექტთან დაკავშირებით.¹³¹

სხვა შემთხვევებში ხელშეკრულებებში ცვლილებები/ხელშეკრულებები მოწონებულია მთავრობის განკარგულებით ისე, რომ იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დასკვნები ამ ცვლილებების პროექტებთან დაკავშირებით თავისი შინაარსით არ იყო დადებითი. (იხ. ცხრილი N19)

ცხრილი N19. იუსტიციის სამინისტროს დასკვნები, რომლებიც თავისი შინაარსით არ არის დადებითი

პროექტი	ცვლილება	იუსტიციის სამინისტროს დასკვნა	მთავრობის განკარგულება მოწონების შესახებ
KUT-01 ¹³²	მე-13 ცვლილება	24.09.2018	29.10.2018
ZUG-01 ¹³³	მე-6 ცვლილება	07.12.2018	28.12.2018
ZUG-01 ¹³⁴	მე-7 ცვლილება	N699 16.01.2019	13.02.2019
GUD-02 ¹³⁵	ხელშეკრულების პროექტი	21.12.2018	N2514 28.12.2018
MAR-01 ¹³⁶	ხელშეკრულების პროექტი	N11188 05.11.2018	N2215 19.11.2018
JVARI-01 ¹³⁷	მე-2 ცვლილება	N699 16.01.2019	N1271 03.06.2019
ABA-01 ¹³⁸	1-ლი ცვლილება	N3443 05.03.2019	N704 29.03.2019
REG-02 ¹³⁹	მე-5 ცვლილება	N5780 16.04.2019	N1067 14.05.2019
URE-02 ¹⁴⁰	მე-4 ცვლილება	N4829 28.03.2019	N1272 03.06.2019

დასკვნა

კომპანია ხელშეკრულებებს აფორმებს/ცვლილებები შეაქვს დადებითი სამართლებრივი ექსპერტიზის დასკვნის არარსებობის პირობებში და სათანადოდ არ უზრუნველყოფს იმ ხელშეკრულებათა პროექტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას, რომლებიც ითვალისწინებს მხარეთა შორის დავის გადაწყვეტას არბიტრაჟის ან უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ.

¹³⁰ იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის 7 მაისის N6828 წერილი.

¹³¹ იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის 7 მაისის N6827 წერილი.

¹³² კომპანიასა და თურქულ კომპანია - SMK Ulusal Insaat Ve Ticaret A.S. (Turkey)-ს შორის 2015 წლის 22 აპრილს გაფორმებული ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა - ფაზა II No. P43405-ICB-KUT-01 ხელშეკრულება.

¹³³ კომპანიასა და AS Inshaat-N LLC (Azerbaijan)-ს შორის 2015 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული სამშენებლო მომსახურების თაობაზე დადებული ხელშეკრულების მე-6 ცვლილების პროექტი.

¹³⁴ კომპანიასა და AS Inshaat-N LLC (Azerbaijan)-ს შორის 2015 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული სამშენებლო მომსახურების თაობაზე დადებული ხელშეკრულების (წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა ზუგდიდში N P43405-ICB-ZUG-01).

¹³⁵ კომპანიასა და China Nuclear Industry 23 Construction Co. LTD-ს (ჩინეთი) შორის ხელშეკრულება.

¹³⁶ კომპანიასა და სს Alke Insaat Sanaye ve Ticaret OJSC (Azerbaijan)-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

¹³⁷ კომპანიასა და შპს AS Insaat-N-ს შორის 2017 წლის 17 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება.

¹³⁸ კომპანიასა და AS Inshaat-N LLC (Azerbaijan)-ს შორის 2017 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულება.

¹³⁹ კომპანიასა და ერთობლივ საწარმო Ludwig Pfeiffer Hoch-und Tiefbau GmbH & Co.KG and ProtecnoSrl-ს შორის 2014 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება.

¹⁴⁰ კომპანიასა და ერთობლივ საწარმო Ludwig Pfeiffer-Aritim-ს შორის 2015 წლის 30 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება.

5.2.4 ADB-ს მიერ დაფინანსებული ვადაში დაუსრულებელი პროექტები

კომპანიამ აქტიურად უნდა მართოს და მონიტორინგი გაუწიოს კონტრაქტებს, რათა უზრუნველყოს მხარეების მიერ საკონტრაქტო პირობების დამაკმაყოფილებელი შესრულება შეთანხმებულ ვადებში.¹⁴¹

კომპანიის ხელმძღვანელი ვალდებულია, საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.¹⁴²

კონტრაქტორებმა ვერ შეასრულეს ხელშეკრულების პირობები თავდაპირველად შეთანხმებულ ვადებში (იხ. ცხრილი N20). შედეგად, 2016-2018 წლებში დასასრულებელი 9 კონტრაქტი 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობითაც არ არის დასრულებული.

ცხრილი N20. სხვაობა სამუშაოების დასრულების თავდაპირველ და განახლებულ თარიღებს შორის¹⁴³

ხელშეკრულების N	დასრულების თავდაპირველი თარიღი	დასრულების საბოლოო თარიღი	სხვაობა თარიღებს შორის
REG-02	12/8/2016	10/2/2019	1028 დღე
URE-02	6/8/2017	9/11/2019	825 დღე
OFFICE-01	8/23/2017	9/29/2019	767 დღე
URE-01	11/23/2017	9/11/2019	657 დღე
KUT-01	7/7/2018	12/23/2019	534 დღე
ZUG-01	12/8/2018	7/29/2019	233 დღე
ABA-01	2/2/2019	6/30/2019	148 დღე
JVARI-01	9/27/2018	1/17/2019	112 დღე

აუდიტის შედეგად შესწავლილი¹⁴⁴ გადავადების მიზეზები და მათი შინაარსი თითოეული კონტრაქტის მიხედვით აღწერილია და შეფასებულია ქვემოთ:

- **REG-02:** მესტიის წყლის გამწმენდი ნაგებობის რეზერვუარებისა და მაგისტრალური წყალსადენის მშენებლობა და ანაკლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა¹⁴⁵ – პროექტის განხორციელება,¹⁴⁶ რომლის თავდაპირველი ღირებულება 19,503,481 ლარი იყო, დაიწო 2014 წლის 8 დეკემბერს და უნდა დასრულებულიყო 2016 წლის 7 დეკემბერს. პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად კონტრაქტის ღირებულება შემცირდა 2,040,772 აშშ დოლარით და შეადგინა 17,462,709 აშშ დოლარი.¹⁴⁷ 2016 წლის 8 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით, დასრულების ვადამ გადაიწია 2017 წლის 2 ივლისამდე. 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით პროექტი დასრულებული არ არის.

¹⁴¹ Procurement Regulations for ADB Borrowers, Contract Management. 54.

¹⁴² „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

¹⁴³ ცხრილში არ არის მოცემული პროექტი REG-01, რამდენადაც აღნიშნული პროექტი კომპანიის მიერ 2016 წლის ბოლოსათვის ფიქსირდება დასრულებულად. თუმცა მე-4 სექციის დამატების და 2017-2018 წლებში გაგრძელების გამო, პროექტის დასრულების ვადების საკითხი განხილულია ამავე ქვეთავში.

¹⁴⁴ გაანალიზდა მხოლოდ იმ სამშენებლო კონტრაქტების ვადებში დაუსრულებლობის მიზეზები, რომლებშიც აუდიტის პერიოდში (2017-2018 წლებში) შევიდა ცვლილებები ან განხორციელდა ინიცირება ვადის გაზრდასთან დაკავშირებით.

¹⁴⁵ UWSCG/ICB/CW-2014-REG-02 პროექტი, ADB-I და II ტრანში მოიცავდა 2 სექციას.

¹⁴⁶ სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს კომპანია - Ludwig Pfeiffer-Aritim.

¹⁴⁷ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მესტიის სექციასთან დაკავშირებით, კონტრაქტორი სამუშაოების დროულად შეუსრულებლობისათვის დაჯარიმდა 751,374 აშშ დოლარით, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული¹⁴⁸ დავების საბჭოს გადაწყვეტილებით,¹⁴⁹ აღნიშნული ჯარიმა გაბათილდა და კომპანიას პირიქით დაეკისრა კონტრაქტორისთვის პროექტის ვადის გახანგრძლივების გამო¹⁵⁰ 124,747 აშშ დოლარის კომპენსაციის გადახდა.

რაც შეეხება ანაკლიის სექციას, 2019 წლის 14 მაისის მე-5 ცვლილებით სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 730 დღე, რასაც მოგვიანებით დაემატა 698 დღე.¹⁵¹ აღნიშნულის მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ კომპანიამ ვერ შეძლო წყალარინების გამწმენდი ნაგებობის წინა საექსპლოატაციო ტესტირება, მინიმალური დატვირთვის არარსებობის გამო.¹⁵² შესაბამისად, დავების საბჭოს გადაწყვეტილებით, სამუშაოების შეჩერების პერიოდში კონტრაქტორის სათავო ოფისის და სხვა პირდაპირი ხარჯების კომპენსაციისთვის, კომპანიას კონტრაქტორის სასარგებლოდ დაეკისრა 183,416 აშშ დოლარის გადახდა.

გარდა აღნიშნულისა, საზედამხედველო კომპანიის ანგარიშების თანახმად, სამუშაოები მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი შეფერხებებით.¹⁵³

- **URE-02:** ურეკის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა¹⁵⁴ – სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2015 წლის 9 ივნისს და უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 8 ივნისამდე. კონტრაქტის თავდაპირველი ღირებულება შეადგენდა 7,459,808 აშშ დოლარს, რაც პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაიზარდა 110,609 აშშ დოლარით და შეადგინა 7,570,417 აშშ დოლარი. დამატებითი სამუშაოების გამო, 2017 წლის 10 ოქტომბრის ცვლილებით სამუშაოების დასრულების ვადა გაიზარდა 2018 წლის 1 მაისამდე. კომპანიამ ვერ წარმოადგინა არგუმენტირებული განმარტება, შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული დამატებითი სამუშაოების გათვალისწინება დაგეგმვის ეტაპზე.

საზედამხედველო კომპანია მუდმივად მიუთითებდა პროექტის განხორციელების შემაფერხებელ სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტორზე.¹⁵⁵ ამასთანავე, ნაგებობა მზად იყო წინასაექსპლოატაციო სამუშაოებისთვის, მაგრამ შეჩერდა საექსპლოატაციო ტესტირება კანალიზაციის წყლის ნაკლებობის გამო. ტესტირებისათვის წყლით უზრუნველყოფა წარმოადგენდა კომპანიის ვალდებულებას, რისი შეუსრულებლობის გამოც, კონტრაქტორისთვის სამუშაოების გახანგრძლივების პერიოდში, კომპანიამ მხოლოდ 2018 წლის 4 აპრილიდან 2019 წლის 19 მაისამდე პერიოდში დამატებით გადაიხდა 210,288 აშშ დოლარი.¹⁵⁶ 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით სამუშაოები დაუსრულებელია.¹⁵⁷

¹⁴⁸ UWSCG/ICB/CW-2014-REG-02 ხელშეკრულების სპეციალური პირობების 45.1 მუხლი.

¹⁴⁹ დავების საბჭოს 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება.

¹⁵⁰ 2018 წლის 20 ოქტომბრამდე.

¹⁵¹ შეჩერების ორდერის თარიღიდან - 2017 წლის 28 ივლისიდან;

¹⁵² მიღებული განმარტებით, გამწმენდი ნაგებობის დატვირთვა ვერ განხორციელდა, ვინაიდან მოსახლეობა ქსელზე ვერ დაერთდა. აღნიშნული დაკავშირებული იყო გარკვეულ ხარჯებთან, რისი გადახდაც მოსახლეობამ არ ისურვა.

¹⁵³ მესტიის სექციაზე არასაკმარისი სამუშაო ძალა, სამუშაოს არადაამაკმაყოფილებელი ხარისხი და ინტენსივობა; ახალი ობიექტის - ჰიდროციკლონის და შემოვლითი ნაწილის დაგვიანებით დამტკიცება; მესტია 1-სა და მესტია 2-ში წყლის ყველა მაგისტრალისთვის წნევის ტესტის გახანგრძლივება, მიუხედავად იმისა, რომ ფიქსირდებოდა გაჟონვის ფაქტები.

¹⁵⁴ URE-02; ADB-III ტრანში; სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს Ludwig Pfeiffer-Aritim.

¹⁵⁵ შემოწმებული სატუმბო სადგურის ამუშავება და მომხმარებელთა საკანალიზაციო ქსელთან მიერთების გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, ამ საკითხებთან დაკავშირებული სამუშაოების დაგეგმვის და კოორდინირების აუცილებლობა; ნარჩენების გასატანი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება; სამუშაო ძალისა და მასალების შესყიდვასთან დაკავშირებული საკითხები.

¹⁵⁶ ობიექტის ექსპლოატაციაში გაშვებამდე კონტრაქტორისთვის გადასახდელი კომპენსაცია - დაუსრულებელი ობიექტის მოვლა-შენახვა.

¹⁵⁷ წარმოდგენილი ინფორმაციით, მიმდინარეობს ტესტირების დაგეგმვის პროცედურები.

- **OFFICE-01:** ახალი სათავო ოფისის მშენებლობა¹⁵⁸ – ADB-ს მიერ 2012 წელს გამოყოფილი სესხის ნაწილი კომპანიამ გამოიყენა ახალი სათავო ოფისის მშენებლობისთვის. შენობის პროექტის მომზადება 2012-დან 2015 წლამდე გაგრძელდა. შენობის ფორმის და ლოკაციის ცვლილებების გამო, კომპანიამ საპროექტო სამუშაოებში გასწია ზედმეტი ხარჯები, შესაბამისად, 70,000 და 27,665 ლარის ოდენობით.¹⁵⁹ შესაბამისად, შპს „ჰაუსარტ პროჯექტისთვის“ ჯამურად გადახდილი 247,516 ლარიდან სათანადო გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა 97,665 ლარის დაზოგვა.

კომპანიის ახალი სათავო ოფისის სამშენებლო სამუშაოებს 2015 წლის 1 დეკემბრიდან აწარმოებს შპს „დაგი“. მშენებლობა, რომლის თავდაპირველი ღირებულებაც იყო 9,989,088 ლარი, უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 23 აგვისტომდე. ფაქტობრივად, 2017 წლამდე შესრულებული იყო მხოლოდ ფუნდამენტის მოწყობის სამუშაოები. 2017 წლის იანვრიდან ნოემბრამდე პერიოდში სამშენებლო სამუშაოები შეჩერებული იყო პროექტის კიდევ ერთი ცვლილებისა და მუნიციპალიტეტის შესაბამისი ნებართვის უქონლობის გამო. სამუშაოები განახლდა 2017 წლის ნოემბრიდან და საჭირო გახდა წინა პროექტის ფარგლებში ფუნდამენტის სამუშაოებზე შესრულებული კონსტრუქციების ნაწილის დემონტაჟი. 2017 წლის დეკემბრის ბოლოსთვის, გასული იყო სახელშეკრულებო დროის 54%, ხოლო სამუშაოების შესრულების პროგრესი 9% იყო.¹⁶⁰

შედეგად, ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 920,938 ლარით¹⁶¹ და 10,910,026 ლარი შეადგინა. ასევე გახანგრძლივდა სამუშაოების შესრულების ვადა 830 დღით, 2019 წლის 29 სექტემბრამდე.¹⁶² მშენებლობა 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით არ არის დასრულებული. აღსანიშნავია, რომ კომპანიის წლიური საიჯარო ხარჯი 1 მლნ ლარს აღემატება.

ამასთანავე, საზედამხედველო კომპანიის 2018 წლის დეკემბრის ანგარიშის თანახმად, ობიექტის მე-4 სართულზე ჩამოსხმულ ბეტონის სტრუქტურას ჰქონდა მნიშვნელოვანი ხარვეზები. დამქირავებელმა და ზედამხედველმა მოსთხოვეს კონტრაქტორს დამოუკიდებელი ექსპერტის მოწვევა და მისი რეკომენდაციების შესაბამისად დეფექტების გამოსწორება. ექსპერტიზის სათანადო დასკვნა არ გამოცემულა, თუმცა საზედამხედველო კომპანია „ეპტისას“ წერილით,¹⁶³ კონტრაქტორმა გამოასწორა ყველა დეფექტი პროექტის ავტორის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია N13. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

საზედამხედველო კომპანიის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, სათავო ოფისის მშენებლობის დროს გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით კომპანიამ უზრუნველყოს დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება.

- **URE-01:** ურეკის წყლისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა¹⁶⁴ – სამშენებლო სამუშაოები რომელთა ღირებულება განისაზღვრა 61,645,406 ლარით დაიწყო 2014 წლის 24 ნოემბერს¹⁶⁵ და უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 23 ნოემბერს.

ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებით, დამატებითი სამუშაოების გამო ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 1,967,398 ლარით და შეადგინა 63,612,804 ლარი. კომპანიამ ვერ წარმოადგინა

¹⁵⁸ OFFICE-01; ADB-I ტრანში.

¹⁵⁹ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N3636.

¹⁶⁰ წყარო: საზედამხედველო კომპანია Eptisa-ს ყოველთვიური ანგარიშები.

¹⁶¹ 2018 წლის 8 აგვისტოს N3 ცვლილების ორდერისა და N1 ცვლილების საფუძველზე.

¹⁶² აღნიშნულმა გამოიწვია ასევე ზედამხედველი ექსპერტებისათვის ხელშეკრულებების გახანგრძლივება.

¹⁶³ კომპანია „ეპტისას“ წერილი გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას - N EPT/USIIP/TL/2303, 19.03.2020.

¹⁶⁴ URE – 01; ADB – I, II, III ტრანშები.

¹⁶⁵ სამუშაოებს აწარმოებს JV Peri LTD and Slon LTD.

არგუმენტირებული განმარტება, შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული სამუშაოების დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება.¹⁶⁶

საზედამხედველო კომპანია მუდმივად მიუთითებდა პროექტის განხორციელების შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორებზე,¹⁶⁷ ასევე იმაზე, რომ თავდაპირველად დეტალური პროექტი არ ითვალისწინებდა მოსახლეობის ნაკვეთების წყალმომარაგების დაერთებას ახალ ქსელზე, რაც შემდგომში ცვლილების საფუძველი გახდა. 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით პროექტი არ არის დასრულებული.¹⁶⁸

- **KUT-01:** ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, მეორე ფაზა¹⁶⁹ – სამშენებლო სამუშაოები,¹⁷⁰ რომელთა თავდაპირველი ღირებულება იყო 86,963,480 ლარი, დაიწყო 2015 წლის 8 ივლისს და უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 7 ივლისს. პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად სამუშაოების მოცულობის 5%-ით ზრდის გამო, კონტრაქტის ღირებულება გაიზარდა 6,069,764 ლარით და შეადგინა 93,033,244 ლარი. შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული დამატებით სამუშაოების გათვალისწინება დაგეგმვის ეტაპზე, კომპანიამ არგუმენტირებული განმარტება ვერ წარმოადგინა.

ზედამხედველის ანგარიშის მიხედვით, კონტრაქტორი 2017 წლის დასაწყისში უსაფუძვლოდ აყოვნებდა დოკუმენტებისა და სამუშაო ნახაზების ჩაბარებას. აღმოსავლეთის ახალ რეზერვუარზე სამუშაოები გვიან დაიწყო¹⁷¹ და ზოგადად, სამუშაოები არადაამკაყოფილებლად პროგრესირებდა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით სამუშაოები არ არის დასრულებული.

- **ZUG-01:** ზუგდიდის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა¹⁷² – სამშენებლო სამუშაოები,¹⁷³ რომლის თავდაპირველი ღირებულება შეადგენდა 39,593,106 აშშ დოლარს, დაიწყო 2015 წლის 9 დეკემბერს და უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 8 დეკემბერს. პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 1,617,147 აშშ დოლარით და შეადგინა 41,210,253 აშშ დოლარი, ხოლო დამატებითი სამუშაოების გამო ვადა გაგრძელდა 233 დღით.¹⁷⁴ კომპანიამ ვერ წარმოადგინა არგუმენტირებული განმარტება, შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული სამუშაოების დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება.

პროექტის მიმდინარეობის პროცესთან დაკავშირებით, 2017-2018 წლებში ზედამხედველი კომპანია მიუთითებდა პროექტის განხორციელებისათვის კონტრაქტორის არასათანადო მზაობაზე. შესაბამისად, სამუშაოების მიმდინარეობა მუდმივად ჩამორჩებოდა დადგენილ გრაფიკს. განსაკუთრებით დაბალი პროგრესი იყო ინგირის სატუმბ სადგურზე.¹⁷⁵

¹⁶⁶ კომპანიის განმარტებით, „URE-01 პროექტი მიმდინარეობს 2014 წლიდან. შესაბამისად, პროექტში გარკვეული დამატებითი სამუშაოების შეტანის აუცილებლობა პერიოდულად ხდება, რაც იწვევს ვადის გადაწვევას“.

¹⁶⁷ საზედამხედველო კომპანიის და წყალმომარაგების კომპანიის მიერ მდინარის და რკინიგზის კვეთის საკითხის განხილვის და დამტკიცების გაჭიანურება; გარემოს დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის გაჭიანურება გრუნტის წყლების შესაძლო დაზიანებასთან დაკავშირებით; სამუშაოების ნელი პროგრესი; კონტრაქტორის მიერ ქსელის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გამოცდის გაჭიანურება და ასევე დამკვეთის მიერ მოლოდინში მყოფ რიგ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების დაგვიანება.

¹⁶⁸ წარმოდგენილი ინფორმაციით, მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცედურები.

¹⁶⁹ KUT-01; ADB-III ტრანში.

¹⁷⁰ სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს SMK Ulsan Insaat Ve Ticaret AS.

¹⁷¹ ვინაიდან ხუთი თვის განმავლობაში ვერ იქნა მოპოვებული ოფიციალური ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროდან, რომ შესაბამისი ტერიტორია თავისუფალი იყო საომარი მოწყობილობებისაგან.

¹⁷² ZUG – 01; IV ტრანში.

¹⁷³ სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს AS Inshaat-N LLC.

¹⁷⁴ 2018 წლის ბოლოს პროექტს ცალკე სექციად დაემატა ანაკლიის პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები (წყალარინების ქსელზე მოსახლეობის დაერთება), რის შესასრულებლადგან განისაზღვრა 180 დღე.

¹⁷⁵ პროექტის შეფერხების მიზეზებიდან აღსანიშნავია ზედამხედველის ანგარიშებში მოცემული შემდეგი ფაქტები: მექანიკური და ელექტროსამუშაოების დეტალური პროექტის დაგვიანებით წარდგენა და განხორციელება, კომპანიის მიერ ხელშეკრულების ცვლილების ორდერის განხილვის გახანგრძლივება, თუჯის მიღების მონტაჟის შეუსაბამობა დადგენილ ნორმებთან და ა.შ. კონტრაქტორი 7 თვის განმავლობაში აგვიანებდა მდინარის კვეთების, ასევე რკინიგზის გაჯვარედინების პროექტის ინჟინერთან

2018 წლის დეკემბრისათვის ამოიწურა ხელშეკრულების მოქმედების ვადა, თუმცა პროგრესის მაჩვენებელი იყო, დაახლოებით, 83%. კონტრაქტორმა მოითხოვა სამუშაოების ვადის 360 დღით გახანგრძლივება. ინჟინერი და დამკვეთი შეთანხმდნენ 233 დღის დამატებაზე და პროექტის დასრულების ახალ თარიღად დადგინდა 2019 წლის 29 ივლისი, თუმცა 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით, სამუშაოები არ არის დასრულებული.

- **ABA-01:** აბაშის წყალმომარაგების ახალი მაგისტრალური ხაზის მშენებლობა¹⁷⁶ – პროექტი უნდა დაწყებულიყო 2018 წლის 2 თებერვალს,¹⁷⁷ თუმცა კომპანიამ აღნიშნული თარიღიდან 5 თვის შემდგომ აიღო აბაშის მუნიციპალიტეტისგან სამშენებლო ნებართვები¹⁷⁸ და შესაბამისად, კონტრაქტორს სამუშაოების დაწყების შესაძლებლობა მიეცა 5 თვის დაგვიანებით. ამასთანავე, სამუშაოების დასრულების ახალ ვადად განისაზღვრა 2019 წლის 30 ივნისი, რის შედეგადაც პროექტი 148 დღით გახანგრძლივდა.

კონტრაქტის თავდაპირველი ღირებულება შეადგენდა 4,910,278 აშშ დოლარს, რაც პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაიზარდა 137,662 აშშ დოლარით და შეადგინა 5,047,940 აშშ დოლარი.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით, სამუშაოები არ არის დასრულებული.

- **JVARI-01:** ჯვრის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია¹⁷⁹ – ჯვრის წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო სამუშაოები, რომლის თავდაპირველი ღირებულება შეადგენდა 7,095,427 აშშ დოლარს და დაიწყო 2017 წლის 5 აპრილს.¹⁸⁰ სამუშაოების დასრულება იგეგმებოდა 2018 წლის 27 სექტემბრამდე. პროექტში შეტანილი ცვლილებების¹⁸¹ გამო, ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 2,909,408 აშშ დოლარით და შეადგინა 10,004,835 აშშ დოლარი.

პროექტის ხარვეზების გამო, შეთანხმების პროცესი გაგრძელდა 2017 წლის მაისიდან ოქტომბრამდე და კონტრაქტორმა სამუშაოების დაწყებაზე დასტური მხოლოდ 2017 წლის ოქტომბერში მიიღო.¹⁸² შესაბამისად, პროექტის დაგვიანებით დამტკიცებამ სამუშაოების დროის 112 დღით გახანგრძლივება გამოიწვია.¹⁸³ აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით სამუშაოები კვლავ არ არის დასრულებული.

ამასთანავე, 2018 წლის დასაწყისიდან საზედამხედველო კომპანია მუდმივად მიუთითებდა პროექტის მართვის საკითხებში კონტრაქტორის სისუსტესა და სამუშაოების უკონტროლოდ და არასისტემურად მიმდინარეობაზე.¹⁸⁴

- **REG-01:** ქუთაისის, ანაკლიის და ფოთის წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მოწყობა,¹⁸⁵ სამუშაოები,¹⁸⁶ რომელთა თავდაპირველი ღირებულება იყო 59,513,441 ლარი, დაიწყო 2013 წლის 16

დასამტკიცებლად წარდგენას, ხოლო წარდგენის შემდეგ, დაბალი ხარისხის გამო, მისი ნაწილი უარყოფილ იქნა საზედამხედველო კომპანიის მიერ, რამაც პროექტის დამტკიცების გადავადება განაპირობა.

¹⁷⁶ ABA-01; ADB – III ტრანში.

¹⁷⁷ სამუშაოებს აწარმოებს AS Inshaat-N LLC.

¹⁷⁸ ნებართვები გაიცა 2018 წლის 26 ივნისს.

¹⁷⁹ P43405-DC-JVARI-01; ADB – IV ტრანში.

¹⁸⁰ სამუშაოებს აწარმოებდა AS Inshaat-N LLC.

¹⁸¹ განხორციელდა ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება, რაც გათვალისწინებული არ ყოფილა დაგეგმვის ეტაპზე.

¹⁸² წყარო – საზედამხედველო კომპანია Safege-ს ყოველთვიური ანგარიშები.

¹⁸³ 112 დღით გადავადების მიზეზი, ADB-ს 2019 წლის 15 თებერვლის თანხმობის წერილის შესაბამისად, იყო ქსელის პროექტის დაგვიანებით დამტკიცება.

¹⁸⁴ მათ შორის: პრობლემები არსებობდა კვალიფიციური თანამშრომლების რაოდენობის, ტექნიკის გამართულობის და მასალების ლაბორატორიულ კვლევებსა და სერტიფიკატებთან დაკავშირებით. კონტრაქტორი ვერ ახერხებდა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გეგმის გატარებას.

¹⁸⁵ REG-01; ADB-I ტრანში.

¹⁸⁶ სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს COBRA Instalaciones Y Servicios SA (spain).

სექტემბერს და უნდა დასრულებულიყო 2016 წლის 16 მაისს. პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 14,537,534 ლარით და შეადგინა 74,050,975 ლარი. ამასთანავე, კონტრაქტში შესული ბოლო ცვლილებით,¹⁸⁷ სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 მაისი, რის შედეგადაც პროექტი 745 დღით გახანგრძლივდა.

2017 წლის დასაწყისისთვის, კონტრაქტი კომპანიის მიერ მიჩნეულია დასრულებულად და დაწყებულია დეფექტების გამოსწორების პერიოდი. საზედამხედველო კომპანიის ანგარიშების თანახმად, კონტრაქტორის მიერ 2017 წლის ბოლომდე არ იყო გამოსწორებული გამოვლენილი დეფექტები,¹⁸⁸ ხოლო 2018 წელს დეფექტების აღმოფხვრა განხორციელდა არადაამკამყოფილებლად. მიუხედავად აღნიშნულისა, აუდიტის პერიოდისთვის კომპანიას რეაგირება არ განუხორციელებია.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2018 წელს კომპანიამ გადაიხადა კონტრაქტორის მიერ კერძო პირებისათვის მიყენებული ზიანის თანხა – 295,199 ლარის ოდენობით, რაც ხელშეკრულების 17.1 მუხლის თანახმად, უნდა ანაზღაურებულიყო არა კომპანიის, არამედ კონტრაქტორის მიერ.

2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით პროექტი არ არის დასრულებული.

რეკომენდაცია N14. შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები კერძო პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, პასუხისმგებელი კომპანიის – COBRA Instalaciones Y Servicios SA ნაცვლად, მის მიერ გადახდილი 295,199 ლარის დაბრუნების მიზნით.

დასკვნა

აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული 16 პროექტიდან 9 შემთხვევაში პროექტების შესრულების ვადები მნიშვნელოვნად გახანგრძლივდა. გახანგრძლივების ძირითადი მიზეზები იყო:

- ა) სამშენებლო ნებართვების დაგვიანებით აღება;
- ბ) ხარვეზი საპროექტო სამუშაოებში;
- გ) ზედამხედველის რეკომენდაციების უგულებელყოფა;
- დ) თავდაპირველად დაუგეგმავი ცვლილებები პროექტებში და მათი შეთანხმების გახანგრძლივება;
- ე) კომპანიის მიერ წინასაექსპლოატაციო ტესტირებების არასათანადო დაგეგმვა;
- ვ) კონტრაქტორის არასათანადო მზაობა, მათ შორის, ნელი ტემპით მიმდინარე სამუშაოები.

პროექტის დასრულების ვადების გახანგრძლივებასთან ერთად, 8 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება გაიზარდა 30 მლნ-ზე მეტი ლარით, ხოლო ერთი პროექტის შემთხვევაში შემცირდა, დაახლოებით, 2 მლნ აშშ დოლარით. შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინება დაგეგმვის ეტაპზე, კომპანიამ არგუმენტირებული განმარტება ვერ წარმოადგინა.

2017-2018 წლებში საზედამხედველო კომპანიების მომსახურებაში გადახდილია 29 მლნ ლარზე მეტი, თუმცა კომპანია სათანადოდ არ რეაგირებს საზედამხედველო კომპანიების მიერ პროექტების მიმდინარეობასთან დაკავშირებით მომზადებულ ანგარიშებზე, სადაც აღწერილი საკითხები საჭიროებენ ოპერატიულ გადაწყვეტას. ამდენად, კომპანია სათანადოდ არ იყენებს საზედამხედველო მექანიზმს პროექტების გახანგრძლივების და არაჯეროვანი შესრულების თავიდან ასაცილებლად.

¹⁸⁷ ამ ცვლილებით განისაზღვრა დამატებითი მე-4 სექციის (სოფელ ნოსირში ქსელის გაფართოება, კანალიზაციის ქსელზე აბონენტების დაერთება ანაკლიაში, ნაბადას უბნის შენობა-ნაგებობის ღობის რეაბილიტაცია; მდინარე რიონის ხიდის მილსადენის დაგრძელება) მშენებლობა, ღირებულება გაიზარდა 132,756 ათასი ლარით და შესრულების ვადა გაგრძელდა 2018 წლის 30 ივლისამდე.

¹⁸⁸ კომპანიის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, ყველა დეფექტი აღმოფხვრილია ანაკლიის და ქუთაისის სექციებში, ხოლო გამოსასწორებელია – ფოთის სექციაზე.

კომპანიის მიერ კონტრაქტორი დაჯარიმდა 751,374 აშშ დოლარით, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავების საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნული ჯარიმა გაბათილდა და კომპანიას პირიქით დაეკისრა კონტრაქტორისთვის პროექტის ვადის გახანგრძლივების გამო 124,747 აშშ დოლარის კომპენსაციის გადახდა.

აღსანიშნავია, რომ კომპანიამ გასწია ზედმეტი ხარჯები. მაგალითად: მშენებლობის პროექტის ექსპლოატაციაში შესვლის დაყოვნების გამო გადაიხადა 210,288 აშშ დოლარი, კონტრაქტორის ნაცვლად ანაზღაურა მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანი 295,199 ლარი, ოფისის მშენებლობისთვის გამოუყენებელ პროექტში გადაიხადა 97,665 ლარი. ამასთანავე, კომპანია სათავო ოფისის მშენებლობის გახანგრძლივების გამო, იჯარაში ყოველწლიურად 1 მლნ ლარზე მეტს იხდის.

რეკომენდაცია N15. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ კონტრაქტებით განსაზღვრული სამუშაოების თავდაპირველად დაგეგმილ ვადებში შესრულების მიზნით, გააანალიზოს სამუშაოების გახანგრძლივების მიზეზები და გაატაროს ღონისძიებები ანალოგიური მიზეზებით სამუშაოთა დაუსრულებლობის თავიდან ასაცილებლად, ასევე, სამუშაოების დაწყებამდე, ზედამხედველი კონსულტანტების მეშვეობით უზრუნველყოს დეტალური დიზაინის განხილვა, შეცდომების და არათანმიმდევრულობის აღმოფხვრა და კონტრაქტორის დაქირავება საბოლოოდ შეთანხმებული დეტალური დიზაინის შესაბამისად. ამასთანავე, კომპანიამ აქტიურად მართოს კონტრაქტები, ადეკვატური რეაგირება განახორციელოს ზედამხედველის ანგარიშებში მითითებულ ფაქტებზე და შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით და კონტრაქტით გათვალისწინებული რეაგირების მექანიზმები.

6. ძირითადი აქტივების აღრიცხვის და მართვის ნაკლოვანებები

6.1 ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის ნაკლოვანებები

კომპანიის მიერ ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად.¹⁸⁹

კომპანიის მიერ ძირითადი აქტივების ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარდა 2013 წელს, რაც არ მოიცავდა მიწის ქვეშ არსებულ კომუნიკაციებსა და ელექტროგადამცემ ხაზებს. 2017 წლის 12 დეკემბერს კომპანია „ეპტისასთან“¹⁹⁰ დაიდო შეთანხმება,¹⁹¹ რომლითაც განისაზღვრა „ეპტისას“ მიერ კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების¹⁹² ინვენტარიზაციის ჩატარება. შემდგომში, ინვენტარიზაციის პროცესის მიმდინარეობისას შეიცვალა¹⁹³ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და მოიცვა 6,128 კმ წყალმომარაგების, 1,645 კმ წყალარინების და 226 კმ ენერგომომარაგების ქსელი. კომპანიაში შეიქმნა ინვენტარიზაციის კომისია, რომელმაც განსაზღვრა,¹⁹⁴ რომ „ეპტისას“ მიერ ინვენტარიზაცია ჩაუტარდებოდა მხოლოდ კომპანიის საკუთრებაში არსებულ მოქმედ აქტივებს, ხოლო იმ აქტივებზე, რომლებიც კომპანიას სახელმწიფოს მიერ გადაეცა და არ იყო მოქმედი იმ პერიოდში, აღნიშნული ინვენტარიზაციის ხელშეკრულება არ გავრცელდა.

¹⁸⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის ბრძანებულება N70, მუხლი 15, პუნქტები: 2 და 3.

¹⁹⁰ Association of Eptisa servicios de Ingenieria S.L. (Spain); SAFEGE (Belgium).

¹⁹¹ შეთანხმება მიღწეულია კომპანია „ეპტისასთან“ გაფორმებული №UWSCG/USHP/QCBS/01- 2011 წლის N27 ხელშეკრულების ცვლილების საფუძველზე.

¹⁹² 7888.44 კმ – წყალმომარაგების, 3072.55 კმ – წყალარინების და 81.671 კმ – ენერგომომარაგების ქსელი, რაც შემდგომში შემცირდა, შესაბამისად, 6127.74 კმ-მდე, 1645.05 კმ-მდე და 226.43 კმ-მდე.

¹⁹³ ძირითადი ხელშეკრულების N33 ცვლილება.

¹⁹⁴ N1 სხდომის ოქმი.

„ეპტისასთან“ გაფორმებული შეთანხმების თავდაპირველ ღირებულებად განისაზღვრა 1,717,134 აშშ დოლარი, ხოლო საბოლოო ღირებულებამ შეადგინა 1,290,650 აშშ დოლარი. ინვენტარიზაცია უნდა დასრულებულიყო 2018 წლის სექტემბერში, თუმცა შეტანილი ცვლილებებით ვადა გაგრძელდა 2019 წლის ივლისის ბოლომდე.

დასკვნა

ვინაიდან კომპანიის მიერ არ განხორციელებულა 2017-2018 წლებში ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია, არ არსებობს რწმუნება კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების სისრულის და არსებობის შესახებ. ამასთანავე, მიმდინარე ინვენტარიზაციის შედეგად კომპანია ინფორმაციას მიიღებს მის საკუთრებაში არსებულ მხოლოდ მოქმედ ძირითად აქტივებზე. შესაბამისად, იზრდება ორგანიზაციის დაარსების დღიდან სახელმწიფოს მიერ კომპანიის კაპიტალში შეტანილი გამოუყენებელი აქტივების დანაკარგების რისკი.

6.2 კომპანიის საკუთრებად დაურეგისტრირებელი ქონება

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად, კომპანიის მიერ უნდა განხორციელდეს აღნიშნული აქტივის რეგისტრაცია¹⁹⁵ საჯარო რეესტრში.

კომპანიის ბალანსზე არსებული გარკვეულ შენობა-ნაგებობი და ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებულია აღნიშნული შენობა-ნაგებობები, არ არის დარეგისტრირებული კომპანიის საკუთრებად. კერძოდ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნულ 2 მიწის ნაკვეთზე კომპანიამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი საკადასტრო კოდები, ხოლო დანარჩენი 4 – სახელმწიფო საკუთრებაა. (იხ. ცხრილი N21)

ცხრილი N21. ძირითადი აქტივები, რომლებზეც არ არის დარეგისტრირებული კომპანიის საკუთრებად

ანგარიში	დასახელება	ღირებულება
2140/01350	კანალიზაციის ქსელი – 30კმ თუჯი დ 700 მმ 5 კმ 400 მმ	350,000
2140/01427	ყვარლის 3 სუბარტეზიული ჭაბურღილის სარეაბილიტაციო სამუშაოები	294,220
2140/03438	სოფელ აძვი-ახალუბნის ჭაბურღილის მოწყობა (ტუმბოებით და ავტომატური მართვის მოწყობილობით)	616,520
2140/03477	სადრენაჟო მოედანი (EIB)	1,194,339
2140/0000147805	სადგერის წყალგამწმენდი ნაგებობის პროექტირება-მშენებლობა	8,143,133
2140/0000147929	ბაკურიანის წყალგამწმენდი ნაგებობის პროექტირება-მშენებლობა MCG/CW/BAKUR/ICB/02	5,718,119
სულ:		16,316,331

ასევე, 3 შემთხვევაში კომპანია კვლავ¹⁹⁶ არ ფლობს ინფორმაციას ბალანსზე აღრიცხული მიწის ნაკვეთების ფიზიკური ადგილმდებარეობის შესახებ. (იხ. ცხრილი N22)

¹⁹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 183 - „უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენა გარიგების საფუძველზე“.

¹⁹⁶ 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული მიწის ნაკვეთების ფიზიკური ადგილმდებარეობის შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობდა.

ცხრილი N22. ბალანსზე აღრიცხული მიწის ნაკვეთები, რომელთა ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას, კომპანია არ ფლობს

ანგარიში	დასახელება	ფართობი	ღირებულება
2110/00029	მიწის ნაკვეთი (ქონების მართვა)	-	30,024
2110/00030	მიწა	41,700	15,012
2110/00020	სასაწყობო მიწა	137	2,165
სულ:			47,201

ამასთანავე, 3 შემთხვევაში,¹⁹⁷ ერთ საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი კომპანიის მიერ აღრიცხულია სხვადასხვა ღირებულებით, 2-ჯერ. (იხ. ცხრილი N23)¹⁹⁸

ცხრილი N23. ერთ საკადასტრო კოდზე არსებული და კომპანიის მიერ 2-ჯერ აღრიცხული მიწის ნაკვეთები

საკადასტრო კოდი	დასახელება	ფართობი (კვ.მ)	ღირებულება
04.01.02.805	სანიტარიული ზონა - ფოთი	50,000	4,082,400
	მიწის ნაკვეთი - 48,668 კვ.მ, ქ. ფოთი, ხობის ქუჩა	48,668	1,798,769
04.01.04.241	მიწის ნაკვეთი რკინიგზის	3,323	251,224
	მიწა - ფოთი წყალსაქაჩი შენობა, ქ. ფოთი, რუხაძის 30	3,325	122,892
80.06.61.038	ქ. ბოლნისში სასმელი წყლის რეზერვუარის ტერიტორიის ფართი	-	19,440
	მიწა - სოფ. დისველის სატუმრო სადგურის ტერიტორია	13,500	243,000

დასკვნა

ბალანსზე არსებული ძირითადი აქტივების გარკვეული ნაწილი არ არის რეგისტრირებული კომპანიის საკუთრებად. ასევე, 3 შემთხვევაში მიწის ნაკვეთები კომპანიის მიერ აღრიცხულია დუბლირებულად და ამასთანავე, სხვადასხვა ღირებულებებით.

7. წინა აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის შედეგად გაცემულია 13 რეკომენდაცია. მიმდინარე აუდიტის ფარგლებში შემოწმდა მათი შესრულების მდგომარეობა და გამოვლინდა, რომ გაცემული 13 რეკომენდაციიდან:

- არ შესრულდა – 3;
- ნაწილობრივ შესრულებულია – 3;
- სრულად შესრულდა – 7.

არ შესრულდა:

N2 რეკომენდაცია. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საქმიანობისა და სამომავლო გეგმების სრულყოფილი ანალიზის მიზნით, კომპანიის მიერ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენილ ბიზნესგეგმებში მკაფიოდ აისახოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებები.

¹⁹⁷ 2013-2014 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული მიწის ნაკვეთების ფიზიკური ადგილმდებარეობის შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობდა.

¹⁹⁸ კომპანიის მიერ ინფრასტრუქტურის სამინისტროში გაგზავნილი, 2017 წლის 5 ივნისის N 5770/1 წერილის დანართი N1.

სრული ინფორმაცია იხ. ანგარიშის 2.2 ქვეთავში: „ბიზნესგეგმებთან დაკავშირებული ხარვეზები“.

N3 რეკომენდაცია. ხელმძღვანელობამ შემოსავლების სრულად და ზუსტად აღრიცხვის მიზნით დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი აბონენტების გადამოწმებას, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ სარგებლობენ კომპანიის მომსახურებით. კონტროლის მექანიზმის დანერგვამდე კომპანიამ ჩაატაროს ამ კონტროლის დანერგვისთვის გასაწევი ხარჯებისა და მისგან მისაღები სარგებლის ანალიზი.

მოწოდებული ინფორმაციისა და ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად, ეს რეკომენდაცია ვერ ჩაითვლება სრულყოფილად შესრულებულად, რადგან კვლავ გამოვლინდნენ ისეთი ნულოვანი აბონენტები, რომლებიც რეალურად მოიხმარენ წყალს.¹⁹⁹

N9 რეკომენდაცია. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილოს კომპანიის ადმინისტრაციული ოფისის დედაქალაქში ფუნქციონირების საჭიროება იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მომსახურების არეალში შედის მხოლოდ რეგიონები.

ნაწილობრივ შესრულდა:

N1 რეკომენდაცია. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უარყოფითი ფინანსური შედეგები და გაანალიზოს მათი გამომწვევი მიზეზები. ყოველწლიურად ბიუჯეტიდან ათეულობით მილიონი ლარის დაზოგვის მიზნით, სამინისტრომ იმსჯელოს კომპანიის ხარჯების ოპტიმიზაციაზე და განიხილოს ყველა შესაძლო ალტერნატივა.

რეკომენდაციის შესრულების პასუხად, კომპანიამ წარმოადგინა 2016 წელს შემუშავებული განვითარების სამწლიანი გეგმა.²⁰⁰ გეგმაში დასახული მიზნების შესრულების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ბიზნესგეგმის 7 ძირითადი კომპონენტის შესრულების მდგომარეობა, კერძოდ:

- კადრების ოპტიმიზაცია;
- სათავე ნაგებობებზე და ზონალურ კვანძებთან მრიცხველების დამონტაჟება;
- ექსპლოატაციაში არსებულ 41 ძალოვან ტრანსფორმატორებზე აღრიცხვის კვანძების გადატანა დაბალიდან მაღალ მხარეზე;
- აღრიცხვის ახალ პროგრამაზე (ERP-საწარმოო რესურსების დაგეგმვა) გადასვლა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის ფინანსური ანგარიშგება სრულ შესაბამისობაში მოვიდოდა საერთაშორისო სტანდარტებთან;
- 2020 წლისათვის საყოფაცხოვრებო აბონენტების სრული გამრიცხველიანება;
- დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით ჯართისა და მეორადი მილების რეალიზაცია;
- სრული ინდივიდუალური გამრიცხველიანება და ელექტრონული აღრიცხვის სისტემების დანერგვა.

აქედან, პირველი 4 საკითხი საერთოდ არ შესრულებულა, ხოლო 3 – შესრულებულია ნაწილობრივ.

N8 რეკომენდაცია. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ მივლინების ხარჯების მიზანშეწონილობის შესაფასებლად, დანერგოს მივლინების ანგარიშების წარმოება. იმ მივლინებებთან დაკავშირებით, რომლებზეც არ არის წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი

¹⁹⁹ სრული ინფორმაცია შემოსავლების აზვაცში.

²⁰⁰ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წერილი N10485/1, 05.09.2017.

დოკუმენტები, უზრუნველყოს სათანადო დოკუმენტების მოძიება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – შესაბამისმა პირებმა უზრუნველყონ აღნიშნული თანხების კომპანიის ანგარიშზე დაბრუნება.

რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ. კერძოდ, კომპანიის მიერ დაწესებულია მივლინების ანგარიშის ფორმები, თუმცა, შესამოწმებლად შერჩეულ 20 მივლინებასთან დაკავშირებით, ბრძანებით დადგენილი ანგარიშები არ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება თანხის დაბრუნების ნაწილს, ამსტერდამის (ნიდერლანდები) მივლინებასთან დაკავშირებით, კომპანიამ მოიძია კონფერენციის ორგანიზატორის წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ თანამშრომლებმა ნამდვილად მიიღეს მონაწილეობა, თუმცა შესაბამისი ანგარიშგაქტურა და მსგავსი დოკუმენტაცია კვლავ არ არის წარმოდგენილი.

N12 რეკომენდაცია. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ უზრუნველყოს იმ პირთა იდენტიფიცირება, რომლებზეც გაცემულია დანაკლისად აღიარებული ფასეულობები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული ფასეულობების დაბრუნების მიზნით. სამომავლოდ, პერსონალზე მატერიალური ფასეულობების დროებით სარგებლობაში გადაცემისას შეადგინოს დოკუმენტი, სადაც დაფიქსირდება მატერიალურად პასუხისმგებელი პირი და გადაცემული ფასეულობის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები.

რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ, რადგან დაბრუნებულია დანაკლისის მხოლოდ გარკვეული ნაწილი, ხოლო 7 ერთეული, დაბრუნების ნაცვლად ჩამოწერილია. კომპანიის განმარტებით, ჩამოწერილი მატერიალური ფასეულობების შენახვაზე პასუხისმგებელი პირები ვერ დადგინდა, კომპანიაში გატარებული ხშირი სტრუქტურული ცვლილებებისა და თანამშრომლების უფლებებსა და პასუხისმგებლობების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების არარსებობის გამო.

დანართი N1. არასწორად დაგეგმილი ასიგნებები 2017-2018 წლების ბიუჯეტებით 25 04 04 პროგრამულ კოდზე (ლარი)

გადასახდელის სახე	დამტკიცებული ბიუჯეტით	უნდა დამტკიცებულიყო	სხვაობა
2017 წელი			
ფინანსური აქტივების ზრდა	138,600,000	100%	138,600,000
საშინაო სესხები, უცხოური კრედიტები	112,300,000	81.02%	117,463,500
აქციები და სხვა კაპიტალი - საბიუჯეტო სახსრები თანადაფინანსება	26,300,000	18.98%	21,136,500
2018 წელი			
ფინანსური აქტივების ზრდა	150,000,000	100%	150,000,000
საშინაო სესხები, უცხოური კრედიტები	121,000,000	80.67%	127,125,000
აქციები და სხვა კაპიტალი - საბიუჯეტო სახსრები თანადაფინანსება	29,000,000	19.33%	22,875,000

დანართი N2. მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

პრიორიტეტებისა და მათ ფარგლებში განხორციელებული პროგრამის/ქვეპროგრამისა და ღონისძიების დასახელება	მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი	მიზნობრივი მაჩვენებელი - 2018 წელი	კონტრაქტის გაფორმების თარიღი	სტატუსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ურეკის სასმელი წყლის და წყალარინების სისტემის მშენებლობა	დასრულებული ურეკის სასმელი წყლის და წყალარინების სისტემების მშენებლობა.	დასრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი.	28-Oct-14	სამუშაოები არ არის დასრულებული.
ურეკის წყალარინების გამწმენდი მშენებლობა	დასრულებული წყალარინების გამწმენდი ნაგებობა.	დასრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი.	30-Apr-15	სამუშაოები არ არის დასრულებული.
მესტიის სასმელი წყლის გამწმენდი მშენებლობა	დასრულებული სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობა.	დასრულებული სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობა.	22-Sep-14	სამუშაოები არ დაწყებულია.
ანაკლიის კანალიზაციის გამწმენდი მშენებლობა	დასრულებული კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა.	დასრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი.	22-Sep-14	სამუშაოები არ არის დასრულებული.
ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მეორე ფაზა	სარეაბილიტაციო სამუშაოები.	აშენებული და რეაბილიტირებული წყალმომარაგების სისტემა.	22-Apr-15	სამუშაოები არ არის დასრულებული.
ზუგდიდის სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა	სამშენებლო სამუშაოების წარმოება.	აშენებული წყლის ცენტრალური სისტემა	26-Oct-15	სამუშაოები არ არის დასრულებული (შესრულებულია 2018 წელს მხოლოდ 51%).
ფოთის კანალიზაციის სისტემების მშენებლობა	სამშენებლო სამუშაოების წარმოება.	სამშენებლო სამუშაოების დაწყება.	20-Dec-17	2017 წელს არ დაწყებულია სამუშაოები.
ზუგდიდის კანალიზაციის ქსელების მშენებლობა	სამშენებლო სამუშაოების წარმოება.	სამუშაოების წარმოება.	26-Oct-16	26 თვეში შესრულდა სამუშაოების -26,5%.
ფოთის კანალიზაციის გამწმენდი მშენებლობა	სამშენებლო სამუშაოების წარმოება.	სამშენებლო სამუშაოების დაწყება.	21-Dec-17	2017 წელს სამუშაოები არ დაწყებულია.

ზუგდიდის გამწმენდი მშენებლობა	კანალიზაციის ნაგებობების	სამშენებლო სამუშაოების წარმოება.	გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის დაწყება.	11-Dec-17	2017 წელს სამუშაოები არ განხორციელებულა.
მესტიის გამწმენდი მშენებლობა	კანალიზაციის ნაგებობების	სამშენებლო სამუშაოების წარმოება.	გამოცხადებული ტენდერი კანალიზაციის გამწმენდ ნაგებობაზე.	ტენდერი არ ჩატარებულა.	პროექტი არ განხორციელებულა.
მარნეულის სასმელი წყლის და კანალიზაციის მშენებლობა	სისტემების	სამშენებლო სამუშაოები.	სამშენებლო სამუშაოები.	20-Nov-18	2018 წელს მხოლოდ საავანსო გადახდა-22,325,701 ლარი.
მარნეულის გამწმენდი მშენებლობა	კანალიზაციის ნაგებობების	სამშენებლო სამუშაოები.	ტენდერი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაზე; სამ.დაწყება.	ტენდერი არ ჩატარებულა.	პროექტი არ განხორციელებულა.
ჭიათურის სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა		სამშენებლო სამუშაოები.	დასრულებული სამუშაოები.	21-Aug-17	არ არის დასრულებული.
ბოლნისის კანალიზაციის ქსელების მშენებლობა		სამშენებლო სამუშაოები.	დასრულებული სამუშაოები.	20-Nov-18	სამუშაოები არ დაწყებულა.
გუდაურის სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა		სამშენებლო სამუშაოები.	დასრულებული ტენდერი. სამუშაოების დაწყება.	4-Jan-19	2017-2018 წლებში პროექტი არ განხორციელებულა.
გუდაურის სისტემების მშენებლობა	კანალიზაციის	სამშენებლო სამუშაოები.	დასრულებული ტენდერი. სამუშაოების დაწყება.	4-Jan-19	2017-2018 წლებში პროექტი არ განხორციელებულა.
გუდაურის გამწმენდი მშენებლობა	კანალიზაციის ნაგებობის	სამშენებლო სამუშაოები.	დასრულებული ტენდერი. სამუშაოების დაწყება.	3-Jun-19	2017-2018 წლებში პროექტი არ განხორციელებულა.
ჯვრის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა		სამშენებლო სამუშაოები.	აშენებული სასმელი წყლის სისტემა.	17-Jan-17	მიმდინარეობს მშენებლობა (შერულებულია 2018 წელს მხოლოდ 23%).
აბაშის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა		სამშენებლო სამუშაოები.	სარეაბილიტაციო სამუშაო წყლის მაგისტრალურ სისტემაზე.	13-Oct-17	მიმდინარეობს მშენებლობა.
ბაკურიანის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა		სამშენებლო სამუშაოები.	ტენდერი. სამუშაოების დაწყება.	ტენდერი არ ჩატარებულა.	2017 წლის ბიუჯეტში დაიგეგმა 4,358,013 ლარის სამუშაოები.

დანართი N3. ინფორმაცია პროექტების განხორციელების ვადის გახანგრძლივების შესახებ

ADB-სთან გაფორმებული სასესიო ხელშეკრულების თარიღი და N	ADB-სთან გაფორმებული სასესიო ხელშეკრულები ს თანხა- შესაბამის ვალუტაში	ADB-სთან გაფორმებული სასესიო ხელშეკრულები ს თანხა დოლარებში	სასესიო ხელშეკრ ულებით სესიის დახურვის თარიღი	სესიის გახანგრძლ ივების პერიოდი (29.03.2019)	ქალაქები, სადაც ხორციელდება წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტები
პროექტი 1 - N2749 10.05.2011	51,343,000 SDR	71,407,330	30.09.2016	4.5 წელი	წყალმომარაგება - ანაკლია, ქუთაისი, ფოთი, მესტია, ურეკი, ოფისი - თბილისი.
პროექტი 2 - N2807 01.12.2011	25,047,000 SDR	34,834,117	30.06.2017	3.75 წელი	წყალმომარაგება და წყალარინება - მესტია, ურეკი, ანაკლია.
პროექტი 3 - N3078 19.12.2013	64,205,000 SDR	89,295,672	30.06.2018	2.75 წელი	წყალმომარაგება და წყალარინება - ქუთაისი (მე-2 ფაზა), ურეკი, გუდაური (წყლარინება), აბაშა, თელავი.
პროექტი 4 - N3238 05.02.2015	108,000,000 \$	108,000,000	30.06.2018	2.75 წელი	წყალმომარაგება - ზუგდიდი, ჯვარი, გუდაური. წყალარინება - ფოთი.
პროექტი 5 - N3291, N3292 ²⁰¹ 26.10.2015	43,000,000 \$ 23,005,000 SDR	43,000,000 31,995,124	30.06.2019	1.75 წელი	კანალიზაციის ქსელის და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა- ზუგდიდი; კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა - მესტია.
პროექტი 6 ²⁰² - N3441 15.12.2016	99,000,000 \$	99,000,000	30.09.2019	1.5 წელი	წყალმომარაგება და წყალარინება - მარნეული; წყალარინების სისტემა- ბოლნისი; წყალმომარაგება და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა - ჭიათურა.
		477,532,243			

²⁰¹ პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღი - 2018 წლის 31 დეკემბერი.

²⁰² პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღი - 2019 წლის 31 მარტი.

დანართი N4. ტენდერები, სადაც არ ჩატარებულა ბაზრის კვლევა

შესყიდვის ნომერი	მიმწოდებელი	შესყიდვის საგანი	სავარაუდო ღირებულება
DAP170000087	„კომფორტმენ XXI“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	8,000,000
NAT180015034	„ინ-სი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	7,720,677
SPA150031633	„ინ-სი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	4,699,936
NAT180015583	„ბილდინგ-დეველოპერ“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	4,658,902
DAP170000143	„გროსინვესტ კაპიტალი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	3,333,790
SPA160009720	„იმედი XXI“	არტეზიული ჭების ბურღვა	3,156,000
NAT180015043	„ალგეტი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	2,995,137
NAT180010707	„მუნიციპალპროექტი“	საინჟინრო-საპროექტო მომსახურება	1,875,000
NAT180011244	„ავტოტრანსსერვისი“	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1,466,954
NAT180015037	„ნდს მშენებლობა“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	1,350,000
NAT180018115	„ავტოტრანსსერვისი“	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1,310,750
NAT180017623	„თეგეტა მოტორსი“	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1,097,146
NAT180012655	„თეგეტა მოტორსი“	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1,089,683
DAP170000100	შპს „ვი-აი-პი +“	კანალიზაციის მშენებლობა	1,076,573
MEP170000107	„თეგეტა მოტორსი“	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	1,024,482
MEP170000067	CASPIAN BUSINESS MANAGEMENT END CONSULTING LIMITED LIABILITY COMPANY	საინჟინრო-საპროექტო მომსახურება	1,000,000
DAP180000033	„ნდს მშენებლობა“	რეზერვუარის მშენებლობა	650,000
SPA160018856	„ნდს მშენებლობა“	დრენაჟის მშენებლობა	637,671
DAP170000080	შპს B&B	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	630,000
DAP170000187	„ნიუმენი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	588,579
DAP170000073	„ბილდინგ-დეველოპერ“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	587,592
DAP170000055	„ბილდინგ-დეველოპერ“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	574,560
NAT180017503	შპს „ჰიდროინჟინერია“	საინჟინრო-საპროექტო მომსახურება	565,000
SPA160024083	შპს „ჰიდროგეო“	არტეზიული ჭების ბურღვა	499,753
NAT180015042	„ლ და კ“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	449,838

SPA150028117	„ნდს მშენებლობა“	დრენაჟის მშენებლობა	439,800
NAT180010701	შპს „არქ დიზაინ მშენი“	საინჟინრო-საპროექტო მომსახურება	410,000
MEP170000038	LMC	საინჟინრო-საპროექტო მომსახურება	350,000
DAP180000038	შპს „კავკასიენერგო“	სანაპიროს დამცავი ნაგებობების მშენებლობა	343,385
MEP170000040	შპს „გურო-95“	ცენტრიდანული ტუმბოები	319,000
SPA160026470	„ნდს მშენებლობა“	კანალიზაციის მშენებლობა	299,776
MEP170000039	CASPIAN BUSINESS MANAGEMENT END CONSULTING LIMITED LIABILITY COMPANY	საინჟინრო-საპროექტო მომსახურება	290,000
NAT180008902	„ლ და კ“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	283,450
SPA160022125	შპს B&B	მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო-ადგენითი სამუშაოები	235,987
SPA150028118	შპს B&B	მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო-ადგენითი სამუშაოები	231,500
MEP170000037	LMC	საინჟინრო-საპროექტო მომსახურება	210,000
MEP170000089	შპს „პლაზმა 2“	ლუკებისა და ჭების ელემენტები/დეტალები	72,400
SPA170000059	„არქთერიდი“	სხვადასხვა სახის ავეჯი და მოწყობილობები	60,000
MEP170000003	შპს „პლაზმა 2“	ლუკებისა და ჭების ელემენტები/დეტალები	49,920
NAT180009044	„თეგეტა მოტორსი“	სატვირთო მანქანების საბურავები	45,800
NAT180001369	შპს „პომპა-გეო“	ტუმბოების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	44,969
NAT180011134	შპს „პომპა-გეო“	ელექტრომრავლების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	44,969
MEP170000105	შპს „პომპა-გეო“	სითხის ტუმბოების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	44,089
NAT170012837	შპს „ნიუ თაიმი“	კაპიტალური რემონტი (შეკეთება) და რეკონსტრუქცია	38,000
NAT180015421	შპს Urban Motors	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	32,063
NAT180011240	შპს Urban Motors	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	32,033
MEP170000083	„წყლისა და შენობების ინჟინერია“	დაპროექტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები	29,925
NAT180008892	შპს „პლაზმა 2“	ლუკებისა და ჭების ელემენტები/დეტალები	27,750
SPA150015843	შპს „მშენსპეცი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	24,148
			54,996,987

დანართი N5. ტენდერები, სადაც ავანსი გაიცა სათანადო დასაბუთების გარეშე

შესყიდვის ნომერი	მიმწოდებელი	შესყიდვის საგანი	გაცემული ავანსი
NAT180015034	„ინ-სი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	1,949,818
DAP170000143	„გროსინვესტ კაპიტალი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	893,500
NAT180015043	„ალგეთი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	799,667
NAT180015037	„ნდს მშენებლობა“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	344,100
SPA160009720	„იმედი XXI“	არტეზიული ჭების ბურღვა	299,778
DAP170000062	შპს „ჯი-ი-ეს“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	274,799
MEP170000067	CASPIAN BUSINESS MANAGEMENT END CONSULTING LIMITED LIABILITY COMPANY	საინჟინრო-საპროექტო მომსახურება	231,000
DAP180000033	„ნდს მშენებლობა“	რეზერვუარის მშენებლობა	182,276
DAP170000187	„ნიუმშენი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	152,119
DAP170000018	შპს „ალიანსი“	კანალიზაციის მშენებლობა	172,733
SPA160018856	„ნდს მშენებლობა“	დრენაჟის მშენებლობა	172,067
NAT180010707	მუნიციპალპროექტი	საინჟინრო-საპროექტო მომსახურება	150,000
NAT180015042	„ლ და კ“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	119,990
DAP180000039	„ნდს მშენებლობა“	სანაპიროს დამცავი ნაგებობების მშენებლობა	87,350
DAP180000038	შპს „კავკასიენერგო“	სანაპიროს დამცავი ნაგებობების მშენებლობა	82,826
DAP170000184	„ნდს მშენებლობა“	დამხმარე სამუშაოები მილსადენებისა და კაბელებისათვის	82,634
MEP170000039	CASPIAN BUSINESS MANAGEMENT END CONSULTING LIMITED LIABILITY COMPANY	საინჟინრო-საპროექტო მომსახურება	64,000
			6,058,657

დანართი N6. ტენდერები, სადაც კომპანიამ ვერ წარმოადგინა კონტროლის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაცია

შესყიდვის ნომერი	მიმწოდებელი	შესყიდვის საგანი	სახელმწიფო დირექტორატი
DAP170000136	შპს „ფერი“	რეზერვუარის მშენებლობა	11,388,298
DAP170000143	შპს „გროსინვესტ კაპიტალი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	2,978,394
DAP170000100	შპს „ვი-აი-პი +“	კანალიზაციის მშენებლობა	826,403
DAP170000018	შპს „ალიანსი“	კანალიზაციის მშენებლობა	575,776
DAP170000073	შპს „ბილდინგ- დეველოპერი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	529,056
DAP170000055	შპს „ბილდინგ- დეველოპერი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	518,092
SPA160024083	შპს „ჰიდროგეო“	არტეზიული ჭების ბურღვა	446,438
DAP180000038	შპს „კავკასიონერგო“	სანაპიროს დამცავი ნაგებობების მშენებლობა	276,088
DAP170000184	შპს „ნდს მშენებლობა“	სანაპიროს დამცავი ნაგებობების მშენებლობა	275,449
SPA150015843	შპს „მშენსპეცი“	წყლის გამანაწილებელ მილსადენებთან დაკავშირებული სამუშაოები	23,427
			17,837,421

დანართი N7. 2017-2018 წლებში მოქმედი სამშენებლო კონტრაქტები


ხელშეკრულების ნომერი	ხელშეკრულების საგანი	ზედამხედვე ლი კომპანია	სამუშაოების დაწყების თარიღი	სტატუსი 31.12.2018
P43405-DC-ABA-01	აბაშის ახალი მაგისტრალური ხაზის მშენებლობა	Eptisa	2/2/2018	არ არის დასრულებული
P43405-ICB-CHI-01	ჭიათურის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა	Hill	10/23/2017	არ არის დასრულებული
P43405-DC-JVARI-01	ჯვრის წყალმომარაგების სისტემა	Safege	4/5/2017	არ არის დასრულებული
P43405-ICB-KUT-01	ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა (მეორე ფაზა)	Eptisa	7/8/2015	არ არის დასრულებული
P43405-ICB-MAR-01	მარნეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის, ბოლნისის კოლექტორისა და წყალარინების სისტემის მშენებლობა	N/A	12/10/2018	არ არის დასრულებული
UWSCG/CW/ICB/Off ice-01-2015	წყალმომარაგების კომპანიის სათავო ოფისის მშენებლობა	Eptisa	12/1/2015	არ არის დასრულებული
P43405-ICB-POT-01	ფოთის კანალიზაციის სისტემის მშენებლობა	Safege	2/12/2018	არ არის დასრულებული
UWSCG-ICB-POT-02	ფოთის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა	Safege	2/20/2018	არ არის დასრულებული
UWSCG/ICB/CW- 2014-REG-02	მესტიის წყლის გამწმენდი ნაგებობის, რეზერვუარებისა და მაგისტრალური წყალსადენის და ანაკლიის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა	Eptisa	12/6/2014	არ არის დასრულებული
UWSCG-USIP-ICB- REG-03a	ზუგდიდის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა	Posch	1/15/2018	არ არის დასრულებული
P43405-ICB-URE-01	ურეკის წყლისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა	Eptisa	11/24/2014	არ არის დასრულებული
P43405-ICB-URE-02	ურეკის წყლისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა	Eptisa	6/9/2015	არ არის დასრულებული
P43405-ICB-ZUG-01	ზუგდიდის წყალმომარაგების სისტემა	Safege	12/9/2015	არ არის დასრულებული
P43405-ICB-ZUG-02	ზუგდიდის კანალიზაციის სისტემის მშენებლობა	Posch	2/1/2017	არ არის დასრულებული
UWSCG/ICB/CW/201 3-REG-01	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა (ქუთაისი, ფოთი, ანაკლია)	Eptisa	9/16/2013	არ არის დასრულებული

აუდიტორები

ქართლოს სახვადე
წამყვანი აუდიტორინოდარ ვეკუა
მთავარი აუდიტორიმაკა ჭიხორია
წამყვანი აუდიტორი

ხელმოწერა





გიორგი ვასილევსკი
აუდიტორი

სიმონ კიპაროძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

გ. ვასილევსკი

ს. კიპაროძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38